

გელა გამყრელის

ტექსტი
კონცეფტის
ძველი
ნიმუშისა და მიზანი



„მაცხოველება“

შიგნი ექლვნება ძევლი კოლხეთის შესწავლას. მას საფუძვლად უდევს სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ახალი არქეოლოგიური მასალები. ნაშრომში სოფ. მთისძირს სათანადო აღილი აქვს მიჩენილი კოლხეთის ანტიკური ხანის და აღრეული შუასაუკუნეების ძეგლებს შორის.

სოფ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე აღდგნილია ძველი „მთისძირის“ სამოსახლოს ცხოვრების განვითარების ეტაპბრივი სექტა. ავტორი, რომელიც 1973—1977 წწ. მ ძეგლის გათხრას აწარმოებდა, მოვკითხობს ძველი მთისძირებულის ძის ყოფა-ცხოვრების, სამეურნეო საქმიანობის შესახებ და აღწერის თავდაცვით ნაგებობებს. ნაშრომი ამდიდრებს ცოდნას ძველი კოლხეთის სამოსახლოების შესახებ. წიგნი გათვალისწინებულია არქეოლოგების და მხარეთმცოდნებისათვის.

Книга, Гамкелидзе Г. А. «Древние поселения Центральной Колхиды», посвящена исследованию древней Колхиды. В основу книги положены новооткрытые археологические материалы с. Мтисдзири. Исследуемому с. Мтисдзири отведено соответствующее место среди памятников Колхида античного и раннесредневекового периодов.

На основе археологических памятников с. Мтисдзири восстановлена поэтапная схема развития жизни в поселении древнего «Мтисдзири». Автор в 1973—1977 гг. ведущий раскопки этого памятника рассказывает о его оборонительных сооружениях, хозяйственной деятельности и быте древних мтисдзирцев. Книга обогащает наши знания о поселениях древней Колхиды. Книга рассчитана на археологов и краеведов.

ეძღვნება
ალექსანდრე გამყრელიძის
ხსოვნას

፩፭፻፯፳፭

ნაშრომი ეხება საქართველოს ორქეოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. ანტიკური ხანის ურბანისტული ცენტრების სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის კვლევას. ქალაქის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის სრული აღდგენა-წარმოდგენა. ამ პრიბლე-მასთან მიმართებაში, ორქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, შესწავლილია ცენტრალური კოლხეთის, მდ. რიონის შუა წელის ერთ-ერთი სამოსახლოს („მთისძირი“) ისტორიული განვითარების პროცესი.

ნაშრომის ძირითადი მზანია განიხილოს და ისტორიულ-არქეოლოგიურად დაახასიათოს სოფ. მთისძირის უახლესი არქეოლოგიური მასალა და საერთოდ მდ. რიონის შუა წელის სხვა ნამოსახლარები; სათანადო ადგილი მიუჩინოს „მთისძირს“ კოლხეთის ე. წ. ანტიკური საბანის და ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებს შორის; სოფ. მთისძირის ტერიტორიიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა შეიტანოს სამეცნიერო მიმოქცევაში და შეისწავლოს მონოგრაფიულად; განსაზღვროს მდ. რიონის შუა წელის ადგილის მნიშვნელობა ძეგლი კოლხეთის განვითარების კულტურულ-ისტორიულ პროცესში.

სოფ. მთისძირიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა შევის-წავლე კომპლექსურად (სტრატიგრაფიული კორელაციის, სტატის-ტიკურ-ტიპოლოგიური, C¹⁴-ის მეთოდების გამოყენებით; ბილო-გიური, შეტაღურგიული, ისტრეოლოგიური, პეტროლოგიური, წარი-

ლობითი და ეთნოგრაფიული მონაცემების მოშველიებით). ნაშრომში მოცემულია სოფ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია და ამის საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში, აღდენილია ძველი „მთისძირის“ სამოსახლოს ცხოვრების განვითარების ეტაპობრივი სქემა.

სოფ. მთისძირთან ერთად ნაშრომში განხილულია მდ. რიონის შუა წელის ანტიკური ხანის და აღრეული შუა საუკუნეების სხვა არქეოლოგიური ძეგლებიც. მდ. რიონის შუა წელი ამ პერიოდის კოლხეთის ცენტრშია და მის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს. ძეგლი კოლხეთის, შემდგომ ლაზიების ისტორია და არქეოლოგიური ძეგლები კარგა ხანია მკვლევრების დიდ ინტერესს. იწვევს. დაიწერა არაერთი სპეციალური ნაშრომი, რომელიც ამ მხარის ისტორიისა და არქეოლოგიის ცალკეული საკითხების გაშუქებას მიეძლვნა. გათხარა ამ პერიოდის ახალი ძეგლები, მაგრამ მაინც დღემდე იგრძნობა არქეოლოგიური მონაცემების ნაკლებობა. ამდენად, სოფ. მთისძირში მოპოვებული უახლესი არქეოლოგიური მასალა ფრიად საყურადღებოა მდ. რიონის შუა წელის ისტორიისათვის და, კერძოდ კოლხეთის, ხოლო შემდგომ ლაზიების ისტორიის შესასწავლი.

სოფ. მთისძირის, როგორც ცენტრალური კოლხეთის ერთ-ერთი
პუნქტის, არქეოლოგიური შესწავლა განაპირობა ე. წ. „გინის ქვეყ-
ნის“ გეგმაზომიერმა ისტორიულ-არქეოლოგიურმა კვლევამ, მისი სა-
სოფლო ტერიტორიის შესწავლამ. ამ საკითხთან დაკავშირებით აუ-
ცილებელი გახდა ახლანდელი ვანის და სამტრედის რაიონებში ინ-
ტენსიური ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური სამუშაოე-
ბის ჩატარება, რომელთა მიზანია ამ რეგიონის ბუნებრივი თვალისე-
ბის ჩატარება, რომელთა მიზანია ამ რეგიონის ბუნებრივი თვალისე-
ბის უძველესი სამოსახლოების და მათი სოციალურ-ეკონო-
მიკური დაწინაურების დონის, ე. წ. ურბანიზებული ტერიტორიის
წარმოშობის ფაქტორების შესწავლა. სოფ. მთისძირის არქეოლო-
გიური შესწავლაც ამ ოვალსაზრისით დაიწყო; მაგრამ გათხრების
პროცესში, განსაკუთრებით კი აღრეული შეა საუკუნეების ნაევ-
ბობის იღმოჩენის შემდეგ, დასმული პრობლემის (ძველი ქალაქი)
სასოფლო ტერიტორიის შესწავლა) გარდა წამოიჭრა ლაზიების ხა-
ნასთან დაკავშირებული სხვა საინტერესო საკითხებიც. ამ პერიოდი
სათვის ძველი „ვანი“ უკვე დანგრეულია.

სოფ. მთისძირის არქეოლოგიურმა რაზმმა ველზე დაცუო ხუთ საველე სეზონი (1973 წლიდან 1978 წლამდე). ჩატარდა ღიღი მოცულობის მიწის სამუშაოები. საკუთრივ სოფ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლების გარდა ნაშრომში განხილულია სოფ. მთისძირი

შიმდებარე ტერიტორიის (მდ. რიონის მარცხენა შენაკადის — მდ. ყუმურის ხეობა) ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებიც.

სოფ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები ქრონიკოლოგიურად ეკუთვნის როგორც ე. წ. წინარეანტიკურ და ანტიკურ ხანას, ისე ძღვანელ შუა საუკუნეებს.

სოფ. მთისძირის აღქვეოლოგიური შესწავლა დაიწყო შემთხვევაში აღმოჩენით ჯერ კიდევ 1952 წელს. ამ წელს სოფ. მთისძირელი გლეხი ჭ. სტურუა წაბლა ღელეში წასწყდომია ძვირფას ნივთებს, რომლებიც დაბა ვანის მხარეთ ცოდნეობის მუზეუმისათვის გადაუცია. მალე ახლად აღმოჩენილ ძვირფას ნივთებთან დაკავშირებით სოფ. მთისძირში მივლინებით ჩავიდა ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. ხოშტარია, რათა გასცნობოდა აღმოჩენის აღვილს და პირობებს!

1958 წელს, ისევ შემთხვევით, საღრენაჟო არხის გაჭრის დროს, წააწყდნენ დაზიანებულ ქვევრსა მარხებს, რომლებიც ე. წ. ნიკურაძეების უბანთან (სოფ. მთისძირის დასავლეთი მხარე) ომოჩნდა. ამ შემთხვევითი ომოჩნდას შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტი“-ში². შემდეგ მთისძირში კარგა ხანს არაფერი მომხდარი ისეთი, რომ არქეოლოგები დაინტერესებულიყვნენ. 1971 წ. ეს ადგილები დათვალიერეს ისტ. მეცნ. კანდიდატებმა ა. ჩამიშვილმა და ო. ლანჩავამ³, ხოლო 1972 წ. სოფ. მთისძირიდან ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ისტ. მეცნ. კანდიდატმა თ. ბერაძემ მოიტანა ანაკრეფთი არქეოლოგიური მასალა. ამ მასალამ ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა სოფ. მთისძირის მიდამოებში რაღაც საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლის არსებობა და ამიტომ გადაწყდა ამ ძეგლების გეგმაზომიერი რი შესწავლის დაწყება.

მთისძირის არქეოლოგიური რაზმი 1973 წლის საველე სეზონშივე შეუდგა ჭერ სოფ. მთისძირის ზედაპირულ არქეოლოგიურ დაზვერვას, ხოლო შემდეგ უფრო ფართო ხსიათის არქეოლოგიურ სამუშაოებს. სოფ. მთისძირის არქეოლოგიური რაზმის მონაბოვარი

¹ Н. В. Хоштариа, Археологические исследования в Вани и ванском районе в 1952 году, ქართ. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიურთა მუზეუმის, ტ. II, თბ., 1959, გვ. 149—162.

² გამ. „ქომუნისტი“, 1958 წ. 24 აგვისტო

ବ୍ୟାପିକ ପରିମାଣରେ ଏହାର ଉପରେ ଯାନିକି ପରିପାତା ଦେଖାଯାଇଛି ।

ინახება განის არქეოლოგიური ექსპედიციის ფონდებში და დაბა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ნაშრომში წარმოდგენილი ფოტოები და ნახატები შესრულებულია გ. ლეჭავის, გ. სალიკერის, თ. გაგოშიძის, გ. ყიფიანის და ჩემ მიერ.

თავი I

გვ. რიონის შუა ზელის არქეოლოგიური ძეგლის
შესჯავლისათვის

(ძვ. წ. VI — პს. წ. VIII სს.)

მდინარე რიონის შუა წელი არქეოლოგიური თვალსაზრისით კოლხეთის ფრიად საყურადღებო რეგიონს წარმოადგენს. ამ რეგიონის არქეოლოგიური შესწავლის ცდებს ჯერ კიდევ XIX ს-ის მეორე ნახევარში ვხვდებით. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის სიმცირე მაშინ რამე ისტორიული განზოგადების საშუალებას არ იძლეოდა. აქ არქეოლოგიურმა გათხრებმა ფართო ხასიათი მხოლოდ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მიიღო¹.

მდ. რიონი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან, ფასის მთის მყინვარიდან იღებს სათავეს. ქ. ქუთაისამდე მდ. რიონი მთის მჩქეფარე მდინარეს წარმოადგენს, ჩქარი დანება აქვს და უმეტესად ვიწრო ხეობაში მოედინება, ქ. ქუთაისის ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე გამოდის და ვაკის მდინარის მდორე დინება ახასიათებს; იტოტება და მთებიდან ჩამოტანილი შლამის დალექვით წარმოშობის კუნძულებს. მდ. რიონი ხშირად იცვლის კალაპოტს და კოლხეთის დაბლობზე კარგად შეიმჩნევა ე. წ. ნარიონალები — ამომშრალი კალაპოტები. საინტერესოა, მდ. რიონის (ფასისი) თვითმხილველის ფლავიუს არანეს (პ. წ. II ს.) ნაშრომში — „მოგზაურობა შავი ზღვის გარშე-

¹ შესწავლის ისტორია დაწერილებით იხ.: გ. ვ თ ბ ე კ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952; გ. ლ თ მ თ ა თ ი ძ ე, ივნე ჭავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში; კრებ. მიმომხილველი, II, თბ., 1951, გვ. 1—36; ნ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, გ. ლ თ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე დასავლეთი საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორიიდან; ფურნ. „ცისქარი“, 1974, № 5, გვ. 135—148; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოები ვზა, თბ., 1972.

მო” დაცული ცნობა: „ფასისის წყალს ტყვიის თუ კალის ფერი გადაქრიცხა, მაგრამ რომ გააჩერებ, ძალიან წმინდა ხდება“².

ძეველ ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში მდ. რიონი
ხშირად იხსენიება ფასისის სახელით, ოღონდ მისი მდებარეობა ზოგ-
ჯერ არასწორადაა მითითებული³. ღღემდე მოღწეულ წერილობით
წყაროთა შორის ფასისი პირველად იხსენიება ჰესიოდეს „თეოგო-
ნიაში“ (ძვ. წ. VIII—VII სს., ტ. 337—340). ჰესიოდეს იქვე იქვე მოხ-
სენებული მდ. რესოსიც (Φασίν τε ῥῆσάν). ზოგიერთ მკვლევარს ეს
სახელწოდება მდ. რიონის სახელის სახესხვაობად მიაჩნია⁴. არსებობს
აგრეთვე მოსაზრება, რომ მდ. ფასისის ზემო წელს ერქვა რისი
(Pis.). ეს მოსაზრება ეყრდნობა ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ.
IV ს.) ცნობას: „...მდ. ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი, მდინა-
რის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბა-
როსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. აქ არის მდ. რისი...“⁵ საფიქ-
რებელია, რომ მდ. რისად იწოდებოდა ჯერ ახლანდელი მდ. რიონის
(ფასისის) ზემო წელი, ხოლო შემდეგ ქვემო წელმაც იგივე სახელი
მიიღო⁶. ბერძნულ წერილობით წყაროებში მდ. რიონის (ფასისი)
ზემო და ქვემო დინებების სხვადასხვა სახელით მოხსენიება აღმარ-
იმითაც იყო განპირობებული, რომ ხშირად შეცდომით მიუთითებდ-
ნენ მდ. ფასისის (რიონის) სათავეს⁸. თვით სახელს — „ფასისი“
უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველურ ენბრივ სამყა-
როს უკავშირებენ⁹.

⁴ ଅ. ଶ୍ରୀ ପାତ୍ର, ମେଲି କମଲବେତୀ ଅନୁଷ୍ଠାନିକୀଳିଙ୍କିର୍ତ୍ତରେ ଉପସ୍ଥିତି, ପଦ., 1964, ୧୩, ୫୫୫-୫୬୫.

ს. განვითარები, თასიღი, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 271—281.

⁸ οὐδεὶς Στράβων (ΧΙ Μακεδ., ΙΙ ως τοῦ § 17).

⁹ ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით ა. პ. ბერძნები, ქართული მთა და მთის ცალკეობის თემაზე, 1969, გვ. 82; ა. მალინიშვილის სახელმ

მდ. რიონ-ფასისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სატრანზიტო-სავაჭრო გზა იყო¹⁰. ცნობები მისი სატრანზიტო-სავაჭრო გზად გამოყენების შესახებ ძირითადად შემონახულია სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებში. სტრაბონი აღწერს მდ. ფასის-ყვირილას მაგისტრალს — „ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე, ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტოოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მდ. მტკვარამდე“ (Strabo XI წიგნი, II თავი, § 17). ამ გზის გავრცელებას სტრაბონი ასე აგვიწერს — „...ინდური საქონელი შემოქვეთ ჰიტიკანის ზღვაში, ხოლო აქედან აღმანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრით და მის მომდევნო ადგილებით ეგვენის ზღვაში ჩაეჭვთ“ (Strabo XI წიგნი, VII თავი, § 3).

ამრიგად, სრულიად ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს საცხოვო გზას, რომელიც მოემართებოდა ინდოეთიდან მდ. მტკვარზე და მდ. ფასისზე გავლით შავი ზღვისკენ. ამავე გზას აღწერს პლინიუსი¹¹.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდგრადებს ანტიკური ხანის და ორეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი ნაწარმი (კერამიკა, სამუშალები, ლითონის და მინის ჭურცხოური ნაწარმი) 12). ამგვარი ნასახლარები მდ. რიონის ჩვენთვის საინტერესო

ოცელოს, კავკასიისა და მანძლობრივი აღმოსავლეთის უძველესი მისახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 50—68; ჩ. ვ თ რ დ ე ზ ი ა ნ ი, ფასისის ეტიმოლოგიისათვის, კრებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები B 2 (140), თბ., 1971, გვ. 181—186.

11 В. В. Латышевъ, Известия древнихъ писателей о Скифии и Кавказе, сбор. Записки классического отделения имп. Русского археологического общества, 1904, Санкт-Петербургъ, с. 178—179.

¹² О. Д. Лордкипанидзе, К проблеме греческой колонизации восточного причерноморья (Колхида), Тб., 1977, с. 86.

შონაკეთზე დადასტურებულია ვარციხე-პატრიქეთში¹³, განში¹⁴, საყინჩიაში¹⁵, ციხესულორში¹⁶, შუამთაში¹⁷, ფარცხანაყანეგში¹⁸, მთისძირში¹⁹, დაბლაგომში²⁰, დაფნარში²¹ და აგრეთვე ქ. ქუთაისში (მისი მიმდებარე ტერიტორიით), რომელიც მდ. რიონის შუა წელზე გვე მდებარეობს და რამდენადმე დაცილებულია სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს (სურ. 1).

მდ. რიონის შუა წელის ტერიტორიის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის შემორჩენილი წერილობით წყაროებში. ისინიც მირითადად ბერძნულ-რომაულენოვან თხზულებებშია შემონახული. მათშიაც უმეტესად ზღვისპირეთია ასახული. ამ წყაროთა დიდი ნაწილი არაა სინტერესო, რადგან ზოგჯერ ძნელი გასაჩევია ნამდვილი და ვამოგონილი, ხოლო ნაწილში კი ცნობათა უმრავლესობა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს და ზოგჯერ ერთსა და იმავე ამბავს იმეორებს.

¹³ ვ. გ. ფარიძე, ნაქალაქარ ვარციხის არქეოლოგიური შესწორისათვის, კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 84—105; ვ. გ. ფარიძე, მედილი ვარციხი („ვარციგორა“), კრებ. ძეგლის ძეგლაბრი, თბ., 1977, № 46, გვ. 43—50.

¹⁴ ვანი, კრებულები: I—1972, II—1976, III—1977 (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

¹⁵ ვ. ლიხილი, ახალამოჩენილი ნაქალაქარი საყანჩის ველზე. კრებ. ვანი, III, თბ., 1977, გვ. 52—57.

¹⁶ ვ. მიწიშვილი, ციხესულორის ნაციხარზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედევები, კრებ. ვანი II, თბ., 1976, გვ. 32—47; ვ. მიწიშვილი, 1973 წლს ციხესულორის ნაციხარის თხრის ინგარიში, კრებ. ვანი III, თბ., 1977, გვ. 43—51.

¹⁷ შუამთა შესახებ ცნობები იხ. ქვემოთ.

¹⁸ М. М. Иващенко, Кувшинный могильник в Западной Грузии. СА, XIII, М., 1950, с. 320—330.

¹⁹ მთისძირის შესახებ ცნობები იხ. ქვემოთ.

²⁰ Н. В. Хостарина, Древнее поселение в Даблагоми, სადასერტაციით ნაშრომი (ხელნაბეჭდი ინახება ივ. ჯგუბიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ნ. ხოშტარას არქივში). თბ., 1940; Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950; ვ. Торლოვ, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—71 წწ. კრებ. ვანი II, გვ. 48—67; ვ. Торლოვ და ვ. მიწიშვილი სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, გვ. 68—78; ვ. Торლოვ და ვ. მიწიშვილი არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973—1974 წლებში, ვანი III, გვ. 71—80; В. А. Толордава, Погребение с черепичным перекрытием из Даблагоми, КСИА, № 151, М. 1977, с. 48—54.

²¹ Н. Ш. Кигурадзе, Г. А. Лордкипаниძე, Дапнაрское селище и могильник, КСИА, № 151, М., 1977, с. 55—64; Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тб., 1976.

10

საინტერესოა თქმულება არგონავტებზე, რომელთა მოგზაურობის მიმბავს კოლხეთში — ააში²² თავის ნაწარმოებში შეხებია არა ერთი და ორი ავტორი. მათი უმრავლესობა მეცნ აიეტის სატაცტო ქალაქს შიდა კოლხეთში გულისხმობს (მდ. რიონზე)²³. როგორც ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხთა ძველი გაერთიანების განაღვეურების შემდეგ პოლიტიკური ცენტრი მდ. რიონის აუზში ინაცვლებს²⁴.

ჩვენთვის საინტერესო ცნობებს მდ. ფასის-რიონის აუზის ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემების შესახებ გვაწვდის ჰიპოკრატი (ძვ. წ. IV—V სს.)²⁵ თავის თხზულებაში — „პართა, წყალთა და ადგილთა შესახებ“: „...ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ (შეძლევი მაქვს სათქმელი): ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობში აქვთ, და (მათი) ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული...“; იქვე: „არსები ბევრა; თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინარი და ძალიან მდორედ მიედინება“²⁶.

როგორც ჩანს, ეს ცნობები ძირითადად მდ. რიონის ქვემ და ნაწილობრივ შუა დინებასაც ეხება. მაგრამ ზოგი მონაცემი თითქმის მთელ აუზზე ვრცელდება. მაგალითად, ჭაობიანობაში, არხების სიმრავლეში ალბათ უფრო ქვემო დინება იგულისხმება, ხოლო სითბო და ხშირი წვიმიანობა არ შეიძლება მხოლოდ პატარა ნაწილისთვის ყოფილიყოდამახასიათებელი. ის, ალბათ მთელ კოლხეთში დაახლოებით ერთნაირი იყო. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ საკვლევი რეგიონი და, განსაკუთრებით, მისი მიმდებარე ბორცვ-

²² იას კოლხეთობას სრულიდ დამაკრებლად ასაბუთებს — თ. ყაუხებიშვალი, ქეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 48; ზოგ მკვლევარს ის ქალაქიდ მიჩნას.

²³ კალიმაქე კვირინე ლი, ლიკონორინ ქალკიდე, აბო ლინის როსოს სართველი — იხ. ივ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში (ხელნაბეჭდი პარმალური ტექსტებით), თბ., 1964.

²⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რედ. ვ. მელიქიშვილი), ტ. I, თბ., 1970, გვ. 392—399.

²⁵ ფიქრობენ, რომ პიპოკრატე პირადად ყოფილა კოლხეთში და მისი მონათხობი უშუალო ნანახის შედევრი. მის შესახებ დაწერილებით იხ. — თ. ყაუხებიშვალი, ქალკიდატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 20 და იქ დასახლი.

²⁶ თ. ყაუხებიშვალი, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ (პარმალური ტექსტით), თბ., 1965, გვ. 45, ნაკ. 15.

გორევები მოხერხებულ ადგილებს წარმოადგენდა სამეურნეო თვალ-
საზრისით და შესაბამისად დასასახლებლადაც. რაც შეეხება ტყეებს
და ხისგან გამოთლილი ძელებისგან ნაგებ, ლერწმით გადახურულ
ნაგებობებს—მათი ნაშთები დღეს აღმოჩენილია მდ. რიონის გაყო-
ლებით გორაბორცვებზეც, სადაც შეუძლებელია, რომ ისინი წყალზე
მდგარიყვნენ. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავტორი ძირითადად მდ.
რიონის ქვემო დაჭაობებულ დინებას ცენობდა, რომელიც თთქმის
ბოლო ხანებამდე ასეთად რჩებოდა. იბადება კითხვა — რა აიძულე-
ბდა ხალხს ეცხოვარა დაჭაობებულ წყალზე ნაგებ სახლებში? ალბათ,
ადგილობრივი მცხოვრებლები განიცდიდნენ მეზობლების შე-
მოსევა-მოწოლას, ამიტომ ისინი მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელის
ჰალისკენ შევიწროვდნენ და სახლების შენება დაჭაობებულ წყალზე
დაიწყეს, რადგან ასეთი სახლები ძნელი მისადგომი იყო და თავ-
დაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა (მდ. რიონის გაყოლებაზე ბევრ-
გან არის დადასტურებული ბათქაშის და ძელების ნაშთები, რომლე-
ბიც არქეოლოგიური მასალის მიხედვით ზოგადად ძვ. წ. IV ს. თა-
რიღლდებიან). პიპოკრატეს ცენობებიც დაახლოებით ამ პერიოდს ქა-
ხავს.

ჩევნოგის საიხტერესო ცნობას შეიცავს ქსენოფონტეს (ჩვ. წ. IV ს.) თხზულება „ანაბასისი“ — „...უმჯობესეა ფასისისაკენ გაცურ-
გა, რავი ხომალდები არის, და ფასიანთა ქვეყნის დაპყრობა. იქ მაშინ
აიეტის შვილიშვილი მეფობდა“²⁷. აქ ფასიანთა ქვეყნაში მდ. რონ-
ფასისის მხარე იგულისხმება²⁸. რადგან ამ მხარის დაპყრობა განიზ-
რახეს, იგი იმ დროს ღარიბი არ უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია
ისიც, რომ იქ არც მხოლოდ ჭაობები არ იქნებოდა. იქვე აღნიშ-
ეული, რომ ამ მხარეში მაშინ ძლიერი და მდიდარი აიეტის შვილი-
შვილი მეფობდა.

²⁷ Anab. V, 6, 36. ၏. ဓါဂ္ဂ လာ ဂျ, ရွှေကြော်ရွှေချော်ဆိပ်, တန်., 1967, 23, 113.

28. ତ. ମିଶ୍ର ଲାକ୍ଷ୍ମୀ, ପ୍ରସନ୍ନତୁଳନଶ୍ରୀ..., ପୃ. 145; ତ. ମିଶ୍ର ଲାକ୍ଷ୍ମୀ, ଜୀବନ-
ନ୍ୟାୟିକ ସାହୁତାନନ୍ଦିଙ୍କା ଓ ଅଗ୍ରିଲ୍ସାମ୍ପର୍ଯ୍ୟାଣିକ ବାର୍ତ୍ତାଙ୍କାରୀଙ୍କା ସାହିତ୍ୟବିଦୀ, ପ୍ରକାଶ-
ପତ୍ରାନ୍ତକାରୀ ବାର୍ତ୍ତାଙ୍କାରୀ ଓ ବ୍ୟାକ୍ସନ୍‌କାରୀଙ୍କା ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କା, ପଠ., 1955, ପୃ. 23-32.

ნივ ეკავათ მაღალი ქავეკასიონი და აიას ქალაქი კუტაისი; აქე იყო არესის ველი...”²⁹. „შესასვლელთან გაჩერდნენ და გაოცებულნი (შე-სკერძოდნენ) მეფის (აიეტის—გ. გ.) (სასახლის) გალავანს, ფართო ჭიშკრებს და სვეტებს, რომლებიც შუკრივად აღმართულიყვნენ კედ-ლების გარშემო; სასახლის ზემოთ სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვის კოშეი...”³⁰ ასე აგვიწერს ქალაქ კუტაის მდ. რიონის შუა წელზე აპოლონიოს როდოსელი, რომელიც ამჟამად დამაჯერებლად არის ქ. ქუთაისითან გაიგივებული³¹.

სტრანინის (ძვ. წ. I ს.) „გეოგრაფიაში“ დაცული ცხობის მიეკ
დევით კოლხეთ-ფასიანების მხარე ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ
მდიდარ ქვეყნად წარმოგვიდგება: — „ქვეყანაში კარგი ნაყოფები
იცის, გარდა თაფლისა (ეს მეტწილად მწარევა) (და მოიპოვება) ნავთ-
ისაშენი ყოველივე მასალა: რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდი-
ნარებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცეილსა
და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: (ქვეყნის)
გარეთაც კი გააქვთ“³². ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილისის
(ახ. წ. I ს.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს
კერძავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალებით³³.

მდ. ფასისზე მდებარე სიმაგრეებს ახსენებს ბიზანტიული ისტორიული ძეგლი ზოსიმე (491—518 წწ.) თავის თხზულებაში „ისტორია“³⁴, მაგრამ, სამწუხაროდ, არა აქეს ისინი ჩამოთვლილი და არც მათ მდებარეობას მიუთითებს.

კოლხეთის და, კერძოდ, მდ. რიონის შუა წელის შესახებ წერილობით ცნობას შეიცვას ახ. წ. VI ს. გიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის თხზულებებიც. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ აღვილზე გვამიანევილებთ ყურადღებას: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაშეა

²⁹ ა პ ლ ო ნ ი ს რ თ დ ო ს ე ლ ი, ა რ გ მ ნ ე ვ ტ ი ფ (II, 1265), ბ ე რ ბ უ ლ ი რ ე ქ ს ტ ი ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ნ ი თ უ რ ი თ გ ა მ ს ც ა , შ ე ს ვ ა ღ ლ ი , კ ა მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი დ ა ს ა მ გ ე ბ ლ ი დ ა უ რ თ თ . უ რ უ შ ა ძ ე მ , თ ბ . , 1970 , გ ვ . 173 ; Аполлоний Родосский, Аргонавтика, перевод, введение и примечания Г. Ф. Церетели, Тб., 1964.

³⁰ զ Յ ո լ ո ն օ ռ ս հ ո գ ո ւ յ լ ո, ա ր ց ո ն ա շ է թ ի յ ա, III, 215.

³² Strabo XI, II, 17. მ. ყაუხები მიმდინარე, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 123—124.

³³ В. В. Латышевъ, *Scythica et Caucasica*, Санктпетербургъ, 1904, с. 377—378.

³⁴ გეორგია I, ზოსმე, II, 33 (ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცემის და განხილულების დაურთვეს ა. გომიჩელიძემ, ს. ყაუხებიშვილმ), თბ., 1961, 33. 269.

არქეოლოგის დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაშუალზეც ის საუკეთესო მხარეს წირმადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი“ (მდრიონი)³⁵. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოხირისი თუ მუხირისი³⁶ შიდა კოლხეთში მდებარე მხარედ არის ერთხმად მიჩნეული³⁷. იგი, როგორც ჩანს, კოლხეთის ეკონომიკურად ძლიერი მხარეა. მდ. რიონის შუა წელი ემთხვევა მუხირისის მხარის ცენტრალურ ნაწილს. სიკმიად რთულია მუხირისის მხარის საზღვრების ზუსტი დადგენა. საფიქრებელია, რომ მისი დასავლეთი საზღვარი მდ. ცენტრის შეცალზე (იპპისი) გადიოდა (პროკოპი კესარიელი, BG VIII, 1), ხოლო მისი სამხეთი საზღვარი მდ. რიონის მარცხნა მხარეზე გადადიოდა და მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავდა მაიაკოვსკის, ვანის და სამტრედიის რაიონების დაბლობ ნაწილს. აღმოსავლეთის საზღვარი კი, შესაძლოა, სკანდა-შორაპნის ხაზამდეც მიღიოდა³⁸ (მუხირისის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

მდ. რიონის შუა წელი დაახლოებით ემთხვევა აგრეთვე კოლხე-

³⁵ პროკოპი კესარიელი, BG VIII, 14; გეორგია II, თბ., 1965, გვ. 194.

³⁶ პროკოპი, კესარიელი, BG VIII, 1, 14, 16, 17; BP II, 29; აგათა, II, 19, 22; III, 6, 7, 19, 28; IV, 9, 13.

³⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I თბ., 1960, გვ. 254, 274, 425; ს. ყაუჩხიშვილი, გეორგია II, თბ., 1965, გვ. 208; Г. А. Меликян в Или, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 68; ს. ჯანაშია, ეგრძისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 320—321; ს. ბერეჯნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 442—537; დ. უსცელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 113—115; ს. ლომიური, ეგრძისის სამეფოს ისტორია თბ., 1968, გვ. 50—51, 76, 77; ს. ლომიური, Notitia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრებ. არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბინანტინისტიკა, თბ., 1975, გვ. 65—78; ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ქვემები, II, თბ., 1974, გვ. 102; თ. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან („მუხირისი“) ჭურნ. „მაცნე“, (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1974, № 4, გვ. 129—136.

³⁸ იხ. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან („მუხირისი“), უფრო „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1974, № 4, გვ. 131 და იქ დასახ. ლიტ.

თის ამ მხარის შედარებით გვიანდელ სახელწოდებას — სამოქალაქო, რომელიც აგრეთვე მძლავრ ეკონომიკურ რეგიონად არის ცნობილი³⁹.

მდ. რიონის შუა წელი საკვლევ პერიოდში რომ კოლხეთის დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც.

ქ. ქუთაისი და მისი მიმდებარე ტერიტორია ჯერჯერობით არქეოლოგიურად არადამაკმაყოფილებლად არის შესწავლილი⁴⁰. აქედან შემოსული არქეოლოგიური მასალა ძირითადად ფრაგმენტულია და შემთხვევით ხასიათს ატარებს. შედარებით უკეთ არის შესწავლილი ფარცხანაყანევი⁴¹, მაღლაკი⁴², ბანოჭი⁴³, ქვიტირი⁴⁴, ჭოგნარი⁴⁵, ოდილაური⁴⁶, გოდოვანი⁴⁷ და სხვ.

ქ. ქუთაისში გამამეობის გორაზე აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. კულტურული ფენა, რომელიც კარგა მოზრდილ ფართობზე ვრცელდება. ძვ. წ. V ს-ის კოლხური კერამიკა წარმოდგნილია სამეურნეო და საჯახო ჰურჭლის ფრაგმენტებით. ამავე ფენაში დადასტურდა აგრეთვე

³⁹ ქართლის ცხოვრება, მატიანე ქართლისა, რედ. ს. ყაუჩხიშვილი, ტ. I, თბ. 1955, გვ. 299, 319, 367; ტ. II, თბ., 1959, გვ. 49; ს. ჯანშია, ეგრძისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 320—321; ქ. ჩხატარაძეშვილი, ქართული ფენა სახედრო ორგანიზაციის ისტორიიდან, უფრო „მაცნე“, 1971, № 4, გვ. 131—139.

⁴⁰ 1963—65 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აედემისი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ბილიასის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩატარა არქეოლოგიური სიმუშაოები, რომლის ძირითადი მიზანიც იყო ქუთაისისა და მისი მიმდინარე ტერიტორიის არქეოლოგიური რუკის შედეგი (იხ. ლომიურთქიფანიქ, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 42 და შმდ.). ექსპედიციას 1965 წლის შემდეგ გუშაობა აღარ განუახლება.

⁴¹ მ. მ. ივაშენკი, კუвшинный могильник в Западной Грузии, СА, XIII, M., 1950, с. 320—330.

⁴² დაწერილებით იხ. თო. ლომიურთქიფანიქ, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 42 და შმდ.

⁴³ იხ. თო. ლომიურთქიფანიქ, ანტიკური სამყარო..., გვ. 42; ლ. ჯიმია, „ქუთაისის ქვეყანა“ არქეოლოგიური რუკა, კრებ. ძეგლის მემობარი, 1977, № 46, გვ. 26—30.

⁴⁴ დაწერილებით იხ. ლ. ჯიმია, „ქუთაისის ქვეყანა“ არქეოლოგიური რუკა, კრებ. ძეგლის მემობარი, 1977, № 46, გვ. 26—30.

⁴⁵ იხ. მ. მ. ივაშენკი, კუშაობის მემობარი, 1977, № 46, გვ. 26—30.

⁴⁶ ლ. ჯიმია, „ქუთაისის ქვეყანა“..., გვ. 26—30.

⁴⁷ იქვე, გვ. 29.

ატიკური შავლიერანი კერამიკის ნატეხები, რენის წილები, რენისა-
ვე თოხი, თიხის საბერველი მილი, ე. წ. კოლხური ცულისა და სა-
ტეხის ყალიბის ფრაგმენტები — მეტალურგიული წარმოების ნაშ-
თები⁴⁸.

ქუთაისშივე დათეშიძის გორაზე მიკვლეულია ძვ. წ. VIII—VII
ს. მოზრდილი ნამოსახლარი. აქ არქეოლოგიური მასალა უპირატე-
სად კერამიკულ ნაშთებს შეიცავს. ბევრია ხის ანაბეჭდიანი ბათქა-
ში⁴⁹.

ცაცხების უბანზე ქუთაისში ოლმოჩნდა აღრეანტიკური ხახის ორმოსამარხები. მათ ინვენტარში გვხვდება რეინის თოხების, რეინისავე ცულის, ყურმილიანი დოქის ფრაგმენტები, სალესი ქვები და მონეტები⁵⁰.

სოფ. ჭიგნარში ფარნალის გორაზე დაბასტურდა ე. წ. წიბა-
რეანტიკური, აღრეანტიკური და ელინისტური ხანის კულტურული
ფენები. აქ არის აგრეთვე გვიანდელი ბრინჯაოს და აღრეული რკინის
ხანის შემთხვევითი ნაპოვნები.

აღრეანტიკური ხანის მასალებს შორის აღსანიშვაგია ვერძის
შინიატურული სკულპტურული გამოსახულება, ძვ. წ. V ს. აზიკური
შავლაკიანი კერამიკის ნატეხები, რენის წილები; ბევრია ხის ანაბე-
ჭდიანი ბათქაში, ძვ. წ. IV—III სს. თაზისური ამფორის ყური, ელი-
ნისტური ხანის ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჭურები და ჭამე-
ბის თრაგეონტიბიბი⁵¹.

სოფ. ჭიერაშვილები (ბარონის ბორცვზე) აღმოჩენილია ე. წ. წი-
ნარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კულტურული
ფენომენები⁵².

სოფ. ბანოჭი 1946 — 1951 წლებში დაზეურა და საცდელი თხრილები გაავლო აჩქეოლოგიურმა ექსპედიციამ პ. კუფტინის ხელმძღვანელობით. აյ წინარეანტიკური ხანის მასალა აღმოჩნდა⁵³.

საყულიაში ქუთაისის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის
არქეოლოგიური განყოფილების თანამშრომლების მიერ შეგროვა-

⁴⁹ ମହାଲ୍ୟେଦି ନିର୍ବାକୁ କ୍ଷେତ୍ରାଳୋଦ ସାକ୍ଷେଳ୍ପିତ୍ତିଙ୍କ ନେତ୍ରନ୍ଧିରୁଙ୍କ ମୁଖୀୟମିଳ, ଏହିକୁ ଫଳ ଦେଇଲା.

50 მასალები ინახება იქვე.

51 მასალები ინახება იქვე.

52 მასალები ინახება იქვე.

⁵³ მასალა ინგრება საშინაოობის სახელმწიფო მუზეუმში.

ლია ე. ვ. ჭინარეანტიკური ხანის და აღმარენტიკური ხანის კერძოდ ნატეხები. აქვეა ნანახი ხის ანაბეჭდიანი ზაფქაშები⁵¹.

მდ. რონის შუა წელზევე გორა-ნამოსახლარები არის აგრძელებული ფარცხანაყანევში — საბჭიალოს, კირიების, შროშანების ბორცვებზე. ასეთივე ნამოსახლარები დასტურდება (ანაკრეფი მასალის მიხედვით) კოპიტნარში, ქვედა შესხეთში, ქვიტირში. აღნიშნულ ადგილებზე მიკვლეულია აღრეანტიკური ხანის მასალა და ხის ანაგენერიანი ბათქაში⁵⁵.

ქუთაისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვევრსამარხები
აღმოჩენილია ცაცხვების უბანში (ქ. ქუთაისი) და სოფლებში: ფარ-
ცხანაყანევში, ქვედა მესხეთში, მაღლაკში, ქვიტირში, მუხაიაში, უკა-
ნეთში, ოდილაურში, ბანოჯში. ამ პუნქტებში დადასტურებული ქვე-
ვრსამარხები ძირითადად ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იმყო-
ფებოდნენ. სამარხეული ინვენტარი უმეტესად ერთგვაროვანია. ესე-
ნია სამტუჩა და პირგადაშლილი (მსხლისებური ფორმის) დოქები
(ზოგჯერ ისინი შემკულია წითელი საღებავით შესრულებული ზო-
ლებით), პირაკეცილი ქუსლიანი ჯამები, ბრინჯაოს ზურგშეზნექილი
ან ზურგსწორი სამაჯურები (ზოგი ბოლოებზე შემკულია გველის თა-
ვის გამოსახულებით), ბრინჯაოს ბეჭდები, საყურე რგოლები, სარ-
დიონის, მინისა და პასტის მძივები. ზოგ ქვევრსამარხები ნანახია კო-
ლხური მონეტები⁵⁵. ეს ქვევრსამარხები ძირითადად ძვ. წ. IV ს. მე-
ორი ნახევრით — II საუკუნით თარიღდება.

ქუთაისის მიდამოებშივე დადასტურებულია დახხლოებით ოერ-
ოშეტამდე ბრინჯაო-ადრეკინის ხანის არქეოლოგიური განძი⁵⁷. ად-
რეანტიკური ხანის მასალები კი წარმოდგენილია ბრინჯაოს მუზარა-
დით⁵⁸, ატიკური და ადგილობრივი კირამიერის ნატეხებით.

⁵⁴ ლ. გ 0 0, „ქუთაისის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუქა, კრებ. ქვედამ შევიტარი, 1977, № 46, გვ. 28; მას ლა ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში.

55 మి. 80192, సూక్తాలు, నొఱలు, పా. 28

56 9439, 33, 29.

⁶⁷ ල. ගාසීර, ශ්‍රෙෂ්ඨ දෙපාලියා දා පැවත්තුරුණින් තාන්ත්‍ර යෝගුවේදී ජ්‍යෙෂ්ඨ මූල්‍යාංශයෙහා, ජුරුද. „ම්‍යාලුව්ද“—ජ්‍යෙෂ්ඨයින් ප්‍රතිච්‍රිතු උග්‍ර මූල්‍යාංශය III, ත්‍යා. 1978, පා. 143—175.

¹⁸ მთხუარადი ინახება მთაცოდის ქართველობის მუზეუმში, ნომ. № 61079.

89. ଟ. ଲୋକ ପାତ୍ର ନିର୍ଦ୍ଦେଶ, ଅନ୍ତର୍ଗୁର୍ରମ୍ ସମ୍ପର୍କ... , ୩୩: ୪୧-୫୬; ଓ ପାଇଁରୀଙ୍କ, କୃତ୍ସମିଳିତ କ୍ଷେତ୍ର ପରିବାରକୁ ଉପରେ, ୧୯୭୫, ୩୩: ୧୨.

2. ս. ամպետական

როგორც ჩანს, ზემოთ დასახელებულ ნამოსახლართა საფუძველზე ქუთაისში ე. წ. აღრეანტიკურ ხანაში ყალიბდება ქალაქური ტიპის დასახლება⁶⁰.

გეოგრაფიული სახელი ქუთაისი (კატაი, კვტაია) პირველად ძვ. წ. III ს. დასაწყისის მოღვაწეს ლიკოფრონ ქალკიდელს აქვს ნახენები თავის თხზულებაში „ალექსანდრა“.⁶¹ აქ იგი ასახელებს — კვტაიელ ასულს⁶². „კვტაელებს“ ასახელებს ავრეთვე ქალიმაქე კვირინელი (ძვ. წ. III ს.)⁶³. „კვიტაისა“ შესახებ ცნობები დაცულია ძვ. წ. III ს. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. მასში ნახენებია „კვიტაისი“, როგორც აისა ქალაქი⁶⁴.

ბიზანტიელმა პროკოპი კესარიელმა (ახ. წ. VI ს.) ანტიკური წერილობითი წყაროების „კვიტაიონი“ თავის თანამედროვე „კოტატისის“ ციხესთან გააიგივა: მდ. რიონის „...სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგით ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მთ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რაღაც ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და, მათი აზრით, აღვილი მისავლელი იყო. მაშინ ამ ციხეს კოტიაიონს უწოდებდნენ ელიონური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან: ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შერყვნეს. ასე აქვს ეს მოთხოვნილი არიანეს. სხვები კი ამბობენ, ძველს დროში ამ აღვილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდათ; აქვარი იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ...“⁶⁵.

ზემოთ მოყვანილ არქეოლოგიურ მასალაზე და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში განხტილდა აზრი — კვტაია—კოტატისი—ქუთაისის იგივეობის შესახებ⁶⁶.

⁶⁰ იხ. ოთ. ლორთქი ფინანსები, ანტიკური სამყარო..., გვ. 44; ო. ლანჩავა, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, გვ. 7.

⁶¹ იხ. ა. ურუმია, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 300—302.

⁶² იქვე, გვ. 312.

⁶³ შრ. Аполлоний Родосский, Аргонавтика (перевод и примечания Г. Ф. Церетели), Тб., 1964, გვ. 92, 126, 136, 236. ა პოლონეზობორთო თე ელიონი და კომპანია (აკ. ურუმია დის თარგმანი და კომპანია), თბ., 1970, გვ. 129, 165, 173, 277.

⁶⁴ Proc. BG VIII, 14, 47—49; შრ. Прокопий из Кесарии, Война с Готами (перевод С. П. Кондратьева), М., 1950 с. 424; ს. ყალაქიშვილი, გეოგრაფ. II, თბ., 1965, გვ. 194—195.

⁶⁵ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ეს მოსაზრება გმოთქვა, იყო ფრედერიკ დიუსტუ დე მონპერი (Frederic Dubois de Montpereux, Voyage aut du Caucase,

შრ. რიონის შუა წელზევე — მდინარეების რიონის, ხანისწყლის და ყვითილის შესართავის ახლოს მდებარეობს სოფ. ვარციხი (ქ. ქუთაისიდან თორმეტიოდე კილომეტრზე სამხრეთით), რომლის მიდამოებშიც აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერსო პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. სოფ. ვარციხიში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაბასტურდა ე. წ. ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალები. სოფ. ვარციხიში უველაზე დიდ ინტერესს, ზუნებრივია, იშვეული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქის ნაშერები, რომელიც როდოპოლისის (ვარდციხი) სახელითაა ცნობილი. ზისანტიურ წყაროებში⁶⁶.

ნაციხარი განლაგებულია კონცხზე მდ. რიონის და ხანისწყლის შესართავთან. სწორედ აქაური დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშერებმა განაპირობა ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლის დაწყება. როგორც გამოირკვა, მიწის ზემოთ კედლები უფრო გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო აღრეული შუა საუკუნეების კედლები ძირითადად მიწის ქვეშ იყო მოქცეული. ამ ორი

Paris, 1839, გვ. 339). იხ. აგრეთვე, ს. ყალა ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეოგრაფ. II, თბ., 1965, გვ. 195; ა. ურუმია, ძველი კოლხეთი..., გვ. 8, 59, 83, 493, 494; ო. ლონგინოვი, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ., 1975; გ. გაბუნია, ქუთაისის ისტორიული წარსულიდან, კრებ. ძველი და ახალი ქუთაისი, თბ., 1973, გვ. 18 და იქვე დასხ. ლორტერატურა.

⁶⁶ გეორგია III (ტესტები ქართული თარგმანით გმოსცა და გამარტებები დაურთო. ს. ყალა ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა), ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში (დამატება), ტფილისი 1936, გვ. 308—311; გ. ლორთქი ფინანსები, გვ. 1 და 2 გვ. 3 და 4 გვ. 5 და 6 გვ. 7 და 8 გვ. 9 და 10 გვ. 11 და 12 გვ. 13 და 14 გვ. 15 და 16 გვ. 17 და 18 გვ. 19 და 20 გვ. 21 და 22 გვ. 23 და 24 გვ. 25 და 26 გვ. 27 და 28 გვ. 29 და 30 გვ. 31 და 32 გვ. 33 და 34 გვ. 35 და 36 გვ. 37 და 38 გვ. 39 და 40 გვ. 41 და 42 გვ. 43 და 44 გვ. 45 და 46 გვ. 47 და 48 გვ. 49 და 50 გვ. 51 და 52 გვ. 53 და 54 გვ. 55 და 56 გვ. 57 და 58 გვ. 59 და 60 გვ. 61 და 62 გვ. 63 და 64 გვ. 65 და 66 გვ. 67 და 68 გვ. 69 და 70 გვ. 71 და 72 გვ. 73 და 74 გვ. 75 და 76 გვ. 77 და 78 გვ. 79 და 80 გვ. 81 და 82 გვ. 83 და 84 გვ. 85 და 86 გვ. 87 და 88 გვ. 89 და 90 გვ. 91 და 92 გვ. 93 და 94 გვ. 95 და 96 გვ. 97 და 98 გვ. 99 და 100 გვ. 101 და 102 გვ. 103 და 104 გვ. 105 და 106 გვ. 107 და 108 გვ. 109 და 110 გვ. 111 და 112 გვ. 113 და 114 გვ. 115 და 116 გვ. 117 და 118 გვ. 119 და 120 გვ. 121 და 122 გვ. 123 და 124 გვ. 125 და 126 გვ. 127 და 128 გვ. 129 და 130 გვ. 131 და 132 გვ. 133 და 134 გვ. 135 და 136 გვ. 137 და 138 გვ. 139 და 140 გვ. 141 და 142 გვ. 143 და 144 გვ. 145 და 146 გვ. 147 და 148 გვ. 149 და 150 გვ. 151 და 152 გვ. 153 და 154 გვ. 155 და 156 გვ. 157 და 158 გვ. 159 და 160 გვ. 161 და 162 გვ. 163 და 164 გვ. 165 და 166 გვ. 167 და 168 გვ. 169 და 170 გვ. 171 და 172 გვ. 173 და 174 გვ. 175 და 176 გვ. 177 და 178 გვ. 179 და 180 გვ. 181 და 182 გვ. 183 და 184 გვ. 185 და 186 გვ. 187 და 188 გვ. 189 და 190 გვ. 191 და 192 გვ. 193 და 194 გვ. 195 და 196 გვ. 197 და 198 გვ. 199 და 200 გვ. 201 და 202 გვ. 203 და 204 გვ. 205 და 206 გვ. 207 და 208 გვ. 209 და 210 გვ. 211 და 212 გვ. 213 და 214 გვ. 215 და 216 გვ. 217 და 218 გვ. 219 და 220 გვ. 221 და 222 გვ. 223 და 224 გვ. 225 და 226 გვ. 227 და 228 გვ. 229 და 230 გვ. 231 და 232 გვ. 233 და 234 გვ. 235 და 236 გვ. 237 და 238 გვ. 239 და 240 გვ. 241 და 242 გვ. 243 და 244 გვ. 245 და 246 გვ. 247 და 248 გვ. 249 და 250 გვ. 251 და 252 გვ. 253 და 254 გვ. 255 და 256 გვ. 257 და 258 გვ. 259 და 260 გვ. 261 და 262 გვ. 263 და 264 გვ. 265 და 266 გვ. 267 და 268 გვ. 269 და 270 გვ. 271 და 272 გვ. 273 და 274 გვ. 275 და 276 გვ. 277 და 278 გვ. 279 და 280 გვ. 281 და 282 გვ. 283 და 284 გვ. 285 და 286 გვ. 287 და 288 გვ. 289 და 290 გვ. 291 და 292 გვ. 293 და 294 გვ. 295 და 296 გვ. 297 და 298 გვ. 299 და 300 გვ. 301 და 302 გვ. 303 და 304 გვ. 305 და 306 გვ. 307 და 308 გვ. 309 და 310 გვ. 311 და 312 გვ. 313 და 314 გვ. 315 და 316 გვ. 317 და 318 გვ. 319 და 320 გვ. 321 და 322 გვ. 323 და 324 გვ. 325 და 326 გვ. 327 და 328 გვ. 329 და 330 გვ. 331 და 332 გვ. 333 და 334 გვ. 335 და 336 გვ. 337 და 338 გვ. 339 და 340 გვ. 341 და 342 გვ. 343 და 344 გვ. 345 და 346 გვ. 347 და 348 გვ. 349 და 350 გვ. 351 და 352 გვ. 353 და 354 გვ. 355 და 356 გვ. 357 და 358 გვ. 359 და 360 გვ. 361 და 362 გვ. 363 და 364 გვ. 365 და 366 გვ. 367 და 368 გვ. 369 და 370 გვ. 371 და 372 გვ. 373 და 374 გვ. 375 და 376 გვ. 377 და 378 გვ. 379 და 380 გვ. 381 და 382 გვ. 383 და 384 გვ. 385 და 386 გვ. 387 და 388 გვ. 389 და 390 გვ. 391 და 392 გვ. 393 და 394 გვ. 395 და 396 გვ. 397 და 398 გვ. 399 და 400 გვ. 401 და 402 გვ. 403 და 404 გვ. 405 და 406 გვ. 407 და 408 გვ. 409 და 410 გვ. 411 და 412 გვ. 413 და 414 გვ. 415 და 416 გვ. 417 და 418 გვ. 419 და 420 გვ. 421 და 422 გვ. 423 და 424 გვ. 425 და 426 გვ. 427 და 428 გვ. 429 და 430 გვ. 431 და 432 გვ. 433 და 434 გვ. 435 და 436 გვ. 437 და 438 გვ. 439 და 440 გვ. 441 და 442 გვ. 443 და 444 გვ. 445 და 446 გვ. 447 და 448 გვ. 449 და 450 გვ. 451 და 452 გვ. 453 და 454 გვ. 455 და 456 გვ. 457 და 458 გვ. 459 და 460 გვ. 461 და 462 გვ. 463 და 464 გვ. 465 და 466 გვ. 467 და 468 გვ. 469 და 470 გვ. 471 და 472 გვ. 473 და 474 გვ. 475 და 476 გვ. 477 და 478 გვ. 479 და 480 გვ. 481 და 482 გვ. 483 და 484 გვ. 485 და 486 გვ. 487 და 488 გვ. 489 და 490 გვ. 491 და 492 გვ. 493 და 494 გვ. 495 და 496 გვ. 497 და 498 გვ. 499 და 500 გვ. 501 და 502 გვ. 503 და 504 გვ. 505 და 506 გვ. 507 და 508 გვ. 509 და 510 გვ. 511 და 512 გვ. 513 და 514 გვ. 515 და 516 გვ. 517 და 518 გვ. 519 და 520 გვ. 521 და 522 გვ. 523 და 524 გვ. 525 და 526 გვ. 527 და 528 გვ. 529 და 530 გვ. 531 და 532 გვ. 533 და 534 გვ. 535 და 536 გვ. 537 და 538 გვ. 539 და 540 გვ. 541 და 542 გვ. 543 და 544 გვ. 545 და 546 გვ. 547 და 548 გვ. 549 და 550 გვ. 551 და 552 გვ. 553 და 554 გვ. 555 და 556 გვ. 557 და 558 გვ. 559 და 560 გვ. 561 და 562 გვ. 563 და 564 გვ. 565 და 566 გვ. 567 და 568 გვ. 569 და 570 გვ. 571 და 572 გვ. 573 და 574 გვ. 575 და 576 გვ. 577 და 578 გვ. 579 და 580 გვ. 581 და 582 გვ. 583 და 584 გვ. 585 და 586 გვ. 587 და 588 გვ. 589 და 590 გვ. 591 და 592 გვ. 593 და 594 გვ. 595 და 596 გვ. 597 და 598 გვ. 599 და 600 გვ. 601 და 602 გვ. 603 და 604 გვ. 605 და 606 გვ. 607 და 608 გვ. 609 და 610 გვ. 611 და 612 გვ. 613 და 614 გვ. 615 და 616 გვ. 617 და 618 გვ. 619 და 620 გვ. 621 და 622 გვ. 623 და 624 გვ. 625 და 626 გვ. 627 და 628 გვ. 629 და 630 გვ. 631 და 632 გვ. 633 და 634 გვ. 635 და 636 გვ. 637 და 638 გვ. 639 და 640 გვ. 641 და 642 გვ. 643 და 644 გვ. 645 და 646 გვ. 647 და 648 გვ. 649 და 650 გვ. 651 და 652 გვ. 653 და 654 გვ. 655 და 656 გვ. 657 და 658 გვ. 659 და 660 გვ. 661 და 662 გვ. 663 და 664 გვ. 665 და 666 გვ. 667 და 668 გვ. 669 და 670 გვ. 671 და 672 გვ. 673 და 674 გვ. 675 და 676 გვ. 677 და 678 გვ. 679 და 680 გვ. 681 და 682 გვ. 683 და 684 გვ. 685 და 686 გვ. 687 და 688 გვ. 689 და 690 გვ. 691 და 692 გვ. 693 და 694 გვ. 695 და 696 გვ. 697 და 698 გვ. 699 და 700 გვ. 701 და 702 გვ. 703 და 704 გვ. 705 და 706 გვ. 707 და 708 გვ. 709 და 710 გვ. 711 და 712 გვ. 713 და 714 გვ. 715 და 716 გვ. 717 და 718 გვ. 719 და 720 გვ. 721 და 722 გვ. 723 და 724 გვ. 725 და 726 გვ. 727 და 728 გვ. 729 და 729 გვ. 730 და 731 გვ. 732 და 733 გვ. 734 და 735 გვ. 736 და 737 გვ. 738 და 739 გვ. 740 და 741 გვ. 742 და 743 გვ. 744 და 745 გვ. 746 და 747 გვ. 748 და 749 გვ. 750 და 751 გვ. 752 და 753 გვ. 754 და 755 გვ. 756 და 757 გვ. 758 და 759 გვ. 760 და 761 გვ. 762 და 763 გვ. 764 და 765 გვ. 766 და 767 გვ. 768 და 769 გვ. 770 და 771 გვ. 772 და 773 გვ. 774 და 775 გვ. 776 და 777 გვ. 778 და 779 გვ. 780 და 781 გვ. 782 და 783 გვ. 784 და 785 გვ. 786 და 787 გვ. 788 და 789 გვ. 790 და 791 გვ. 792 და 793 გვ. 794 და 795 გვ. 796 და 797 გვ. 798 და 799 გვ. 799 და 800 გვ. 801 და 802 გვ. 803 და 804 გვ. 805 და 806 გვ. 807 და 808 გვ. 809 და 810 გვ. 811 და 812 გვ. 813 და 814 გვ. 815 და 816 გვ. 817 და 818 გვ. 819 და 820 გვ. 821 და 822 გვ. 823 და 824 გვ. 825 და 826 გვ. 827 და 828 გვ. 829 და 829 გვ. 830 და 831 გვ. 832 და 833 გვ. 834 და 835 გვ. 836 და 837 გვ. 838 და 839 გვ. 840 და 841 გვ. 842 და 843 გვ. 844 და 845 გვ. 846 და 847 გვ. 848 და 849 გვ. 850 და 851 გვ. 852 და 853 გვ. 854 და 855 გვ. 856 და 857 გვ. 858 და 859 გვ. 860 და 861 გვ. 862 და 863 გვ. 864 და 865 გვ. 866 და 867 გვ. 868 და 869 გვ. 870 და 871 გვ. 872 და 873 გვ. 874 და 875 გვ. 876 და 877 გვ. 878 და 879 გვ. 880 და 881 გვ. 882 და 883 გვ. 884 და 885 გვ. 886 და 887 გვ. 888 და 889 გვ. 890 და 891 გვ. 892 და 893 გვ. 894 და 895 გვ. 896 და 897 გვ. 898 და 899 გვ. 900 და 901 გვ. 902 და 903 გვ. 904 და 905 გვ. 906 და 907 გვ. 908 და 909 გვ. 910 და 911 გვ. 912 და 913 გვ. 914 და 915 გვ. 916 და 917 გვ. 918 და 919 გვ. 920 და 921 გვ. 922 და 923 გვ. 924 და 925 გვ. 926 და 927 გვ. 928 და 929 გვ. 930 და 931 გვ. 932 და 933 გვ. 934 და 935 გვ. 936 და 937 გვ. 938 და 939 გვ. 940 და 941 გვ. 942 და 943 გვ. 944 და 945 გვ. 946 და 947 გვ. 948 და 949 გვ. 950 და 951 გვ. 952 და 953 გვ. 954 და 955 გვ. 956 და 957 გვ. 958 და 959 გვ. 960 და 961 გვ. 962 და 963 გვ. 964 და 965 გვ. 966 და 967 გვ. 968 და 969 გვ. 970 და 971 გვ. 972 და 973 გვ. 974 და 975 გვ. 976 და 977 გვ. 978 და 979 გვ. 980 და 981 გვ. 982 და 983 გვ. 984 და 985 გვ. 986 და 987 გვ. 988 და 989 გვ. 990 და 991 გვ. 992 და 993 გვ. 994 და 995 გვ. 996 და 997 გვ. 998 და 999 გვ. 999 და 1000 გვ.

პერიოდის გეგმარება ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. გამოვლინდა პირველი პერიოდის რამდენიმე კოშკი, რომლებიც გეგმაში წაგრძელებულ მართვულების წააგავს. კოშკებს შესასვლელი ციხის შიდა მხრიდან აქვთ დატანებული. საშენ მასალად გამოიყენებოდა ფლეთილი ქვა, რიყის ქვა, კირჩხარი, აგური და კრამიტი⁶⁷.

ციხის არსებობის მეორე პერიოდში მომხდრა მისი რეკონსტრუქცია, ხოლო ზოგი ზღუდე-კედელი ხელისხმა აღუმართავთ. კედლების სისქე ზოგან 4-5 მ-მდეა. როგორც ჩანს, საფორტიფიკაციო სისტემის ცალკეული მონაკვეთების შენება-გადაკეთება გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მიმდინარეობდა.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვარდციხის ექსპედიციის ახლანდელ ხელმძღვანელს ვ. მ. ჯაფარიძეს — ციხე-ქალაქის ნაშთებზე დაკვირვების შედეგად მან ივარაუდა, რომ ახ. წ. IV—V ს. ქალაქი შედარებით სუსტად გამაგრებულ კომპლექსს წარმოადგენს და უფრო მძლავრი ეკონომიკური (საქალაქო) ცხოვრებით ცხოვრის რობს. ირან-ბიზანტიის ომების წინა ხანისათვის კი შეიმჩნევა, რომ წამოიწია ციხის, როგორც გამაგრებული ბუნქტის ფუნქცია. ახ. წ. VI ს-ში მისი დანგრევის შემდეგ ციხე-ქალაქში ინტენსიური ცხოვრება კარგა ხნით ჩაკვდა⁶⁸.

ვარდციხის ციხე-ქალაქზე დღესდღეობით გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია კერამიკის, მინისა და რკინის ნაწარმით. კერამიკა შეიცავს სამეურნეო, სუფრის, სამდანის ნარჩეულობა და საგანგებო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტებს. ფართოდაა წარმოდგენილი აგრეთვე სამშენებლო კერამიკა აგურის, კრამიტის და თიხის მილების სახით. მოპოვებულია იმპირტული კერამიკის ნაშთებიც.

მოპოვებული მასალიდან შედარებით მყარი დამათარილებელი ახ. წ. IV—IV ს. ფენებისთვის არის — მოთეთრო ფერის თიხიანი, ფოთრირებულზედაპირიანი, წელშეზნექილი ამფორების ფრაგმენტების გარებულიდან

⁶⁷ ვ. ჯაფარიძე, ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ ვარციხების შენებლობის ზონაში, კრემ. ძეგლის მემობარი, 1975, № 39, გვ. 30—34.

⁶⁸ იქვე, გვ. 31.

ზი, წითელლაქიანი კერამიკის ნაშთები, მინის ფეხიანი სასმისების ნატეხები და სხვ.⁶⁹

ადრეული შუა საუკუნეების ბოლოსათვის ვარდციხის ნაქალაქაზე, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ახალი აღმავლობა შეიმჩნევა. წარმოებს ფართო სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები. ამ პერიოდის ნაშთები თითქმის მთელ ნაქალაქაზე ვრცელდება. აღმოჩენილია შედარებით ადრეული თეთრანგობიანი მწვანედ მოჭიქული ჯამების, მოუკიდვი კერამიკის და სქელედლიანი ქვევრების ფრაგმენტები. ისინი გენეტიკურ კავშირს ავლენენ წინა პერიოდების მასალისთან (ტალღისებური, წიწვოვანი, სავარცხლისებური და სხვა ორნამენტები)⁷⁰.

გვიანდელი შუა საუკუნეების მასალა ვარდციხეში შედარებით ცოტაა. ისინი წარმოდგენილია ძირითადად კერამიკით და მინით. ამ პერიოდის ვარდციხის სამოსახლო შემცირებულია და იმერეთის მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენს.

ბიზანტიურ წყაროებში ვარდციხე VI ს-ში იხსენება როდოპოლისის სახელით (Ρωδόπολις) იუსტინიანეს ნოველებში⁷¹. როდოპოლისის ქართული თარგმანი ვარდციხეა, რაც შეესატყვისება ზემოთ განხილული პუნქტის დღევანდელ სახელს (სოფ. ვარცხე, მაიაკოვსკის რაიონი). იუსტინიანეს ნოველებში ვარდციხე არქეოპოლისთან ერთად იხსენიება როგორც დალი და ძველი სისაგრე⁷². პროკოპი კესარიელის ცნობის მიხედვით როდოპოლისი (ვარდციხე) და მუხირისი „ყველაზე შესანიშნავი ქალაქებია“⁷³.

ქალაქ ვარდციხის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, პოლიტიკურ-სტრატეგიულის გარდა, ეკონომიკურიც უზღდა ყოფილიყო. რიონ-ყვირილას სატრანზიტო-სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობა განაპირობებდა მის დაწინაურებას. ამას გარდა, ის კოლხეთის ყველაზე უფრო მოწინავე და ეკონომიკურად ძლიერ მხარეში მდებარეობდა (მუხირისი). ამ მხარეშივე იყო ქალაქები ქუთაისი, მუხირისი და სხვ.⁷⁴

⁶⁹ ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქაზე ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლა, კრემ. ფენებისთვის არქეოლოგიური მუშაობი, II, თბ., 1974, გვ. 92 და შმდ.

⁷⁰ ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქაზე ვარდციხის... გვ. 104.

⁷¹ გორგია, II (ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტები დაურთო ს. ყუხეჩიშვილმა), თბ., 1965, გვ. 35.

⁷² გორგია, II, იუსტინიანეს ნოველები, გვ. 35—36.

⁷³ გორგია, II, პროკოპი კესარიელი BP II, 29, გვ. 101.

⁷⁴ გორგია, II, პროკოპი კესარიელი BG VIII, 14, გვ. 194; ს. განაშა, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 320—321.

აღრეული შუა საუკუნეების ვარდციხის ციხე-ქალაქის სამოსახლეების გენეზისის გასარცვევად საყურადღებოა მისი მიმღებარეთერიტორიის შესწავლა. აქ გამოვლენილია ე. წ. ანტიკური ხანის ნამოსახლარეების ნაშთები. განსაკუთრებით ინტენსიური, ანტიკური ხანის დასახლების კვალი ჩანს ქალაქიდან სამხრეთით ორასიოდე მეტრის დაშორებით. ამ მიმართულებითვეა „გიორგობიანების“ ბორცვი. აქ აღმოჩნდა ე. წ. კოლხური ქვევრების, დერგების, დოქების, ქოთნების, კოჭხების და სასმისების ფრაგმენტები. აქვე დაღასტურდა მშრალი წყობით შესრულებული ქვის კედლების ნაშთები და ბათქაშის ნატეხები. მასზე ალბათ ძელებანი ნაგებობა იღვა. ნაგებობის ნაშთები კერამიკის მიხედვით წინარეელინისტური ხანით თარიღდება. ამგვარი ნასახლარეების ნაშთები შეიმჩნევა იგრეთვე „გიორგობიანების“ გორის ვარშემო ტერიტორიაზეც. ვარდციხის ნაციხარიდან ჩრდილოეთით სოფ. პატრიკეთში განლაგებულ გორებზეც დასტურდება ნამოსახლარეების ნაშთები. აქ აღრეული შუა საუკუნეების აბანოს ნაშთებიც არის აღმოჩნდილი⁷⁵.

ამდენად, ვარდციხის შემოგარენი უკვე ანტიკურ ხანაში ჩანს დასახლებული, ხოლო აღრეული შეა საუკუნეებისათვის დასახლება კონცენტრირდება ციხე-ქალაქის ფარგლებში და პატრიკეთისენ (თუმცა ახ. წ. IV ს. უფრო აღრეული ხანის კულტურული ნაშთები ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი საკუთრივ ნაციხეარის ტერიტორიაზე, რადგან იგი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწოვლილი)⁷⁶.

მდ. რიონის შუა წელზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან შესწავლის ყველაზე დიდი, ხნის ისტორია აქვს ვანის ძეგლისა და არქეოლოგიური განხილული, რადგან „მთისძირი“ ვანისადმი დაქვემდებარებულ პუნქტია გვესახება). იგი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს, მდ. სულორის ხეობაში, „აზვლედიანების გორაზე“, სოფ. ვარცისიდან სამხრეთ-დასავლეთით ოცდახუთამდე კილომეტრზე. უკვე 30 წელია, რაც აზვლედიანების გორაზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. დაგრძვდალი მასალა, გამოიცა შრომები⁷⁷.

⁷⁵ ვ. ჭაფუა ჩიძე, ქართლი ვარდციხე („ვარდიგორა“), კრებ. ქართლის მეცნიერებათა აკადемია, 1977, № 46, გვ. 43—50.

⁷⁶ კ. ჯაფარიძე, ძველი ვარდციხე..., გვ. 49.

⁷⁷ ვანის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია იხ.— ვანის არქეოლოგიური აშშპელიციის 25 წ. (1947—1972) სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1973; აგრძელვა ჭრებ.— ვანი I, თბ. 1972; ვანი II, თბ., 1976; ვანი III, თბ., 1977; ოთ. ლორთქია დანიშე, ვანის ნაქალაქარი, თბ., 1973.

თავის დროზე ახვლედიანების გორაზე ქალაქური ტიპის დასახლების წარმოქმნას ხელი შეუწყო იმ უძველესმა დასახლებებმა, რომელთა ნაშთებიც ბევრია დადასტურებული ვანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ესენია ჯერჯერობით შეუსწავლელი ნამოსახლარები — კეჭინარაში, გორაში, ბაგინეთში, ინაშაურში, საკაკილეში, ძუღუში, გაილოურში, ბუღნარში, ბზვანში და სხვ.

ავლენის გორაზე გამოვლენილი უძველესი არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით მხოლოდ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებისაა. მათი სიმცირის გამო ძნელია რაიმეს თქმა ამ ხანის „ვანის“ სამოსახლოს შესახებ.

ნამისახლარით და მდიდრული სამარხებით არის წარმოდგენილი ქვ. ტ. VI—IV სს. (IV ს. პირველი ნახევარი). ამ პერიოდის ნამოსახლარზე ხშირად შეინიშნება ხის ანაბეჭდებიანი ბათქაში და დანაშირებული ქელები. ახვლედიანების კორის წვერთან აღმოჩნდა ხის ნაგებობის ნაშთები. ის ძირიდანვე ქელებით არის ამოცვანილი.

ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა ფლეთილი კარქვით ნაგები შენობის ნაშთები. საძირკვლის ქვები უშუალოდ კლიდის დედაქანში ამოჭრილ ბულევებშია ჩალაგებული. არ არის გამორიცხული რომ აქ ქვის კედლებზე ხის ნაგებობა იდგა. ნაგებობებში და საერთოდ ამ პერიოდის კულტურულ ფენაში დასტურდება ძვ. წ. V—IV სს. კერამიკა.

ამ პერიოდითვე თარიღდება განის მდიდრული ორმოსამარხები. ეს სამარხები გამოირჩევაან განსაკუთრებული სიმდიდრით. მათი შედარებისას კოლხეთის სხვა სინქრონულ სამარხებთან შეიმჩნევა, რომ იმ დროის კოლხეთის მოსახლეობაში ქონებრივი დიფერენციალურია და გაღრმავებულია⁷⁸.

როგორც ჩანს, ძვ. წ. V—IV სს. „ახვლედიანების კორა“ დაგილობრივი დაწინაურებული ფენის სამყოფელი იყო. მმ პერიოდში „ვანი“ ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს. უცხოური ნაწარმის ნაშთები გვხვდება ვანის მიმდებარე ტერიტორიაზე (სასოფლო ტერიტორიაზეც — მთისძირი, შუამთა, დაბლაგომი, დაფნარი და სხვ.).

„ახვლედიანების გორის“ ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის და ძვ. წ. III ს. დასაწყისის არქეოლოგიურ მასალაში შეიმჩნევა სიახლე-

78 დაწერილებით იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ი. უ უ თ უ რ ი ძ ე, ა. ჭ ყ თ ნ ი ა, ვ. თ თ ლ ო რ დ ა ვ ა, ა რ ქ ე ვ ლ ლ ვ ი უ რ ი გ ა თ ხ ე ბ ი გ ა ნ შ ი 1969 წ., კ რ ე ბ. ვ ა ნ ი I, თ ბ., 1972, გ ვ. 198—241; ი ა ვ კ რ ე ბ. გ ვ. 111—133; ოთ. ლორთქი-ფანიძე, ვ ა ნ ი ნ ა ე ლ ა ქ ა რ ი (წ ე რ ი ლ ი მ ე რ ი რ ე), კ რ ე ბ. ვ ა ნ ი III, გ ვ. 18.

განსხვავება. ესენია — ცვლილება დაქრძალვის ტრადიციულ წესებში (მაგ. მონეტის ჩატანება), წითლად მოხატული კერამიკის გაჩენა. მთელ ე. წ. „ვანის ქვეყანაში“ და საერთოდ ცენტრალურ კოლხეთში ვრცელდება ქვეყრიამარხები, რომელთა ინვენტარშიც ჩნდება კერამიკის ახალი ფორმები (მაგ. მსხლისებურტანიანი პირგადაშლილი ღოქები)⁷⁹.

ევ. წ. III—I სს. „ვანის“ არსებობის ბოლო ეტაპია. ამ ხანის ქალაქი მთელ „ახელედიანების გორას“ მოიცავს. იგი გამაგრებულია მძლავრი კედლებით და ციცაბო ფერდობებით. თავდაცვითი კედლის სისქე სამ მეტრამდე და ამოყვანილია დიდი ზომის სწორქუთხა ქვა-თლილებით. ასეთი თლილი ქვით არის შედგენილი გალუენის გარეთა და ხანდახან შიდა მხარეც, ხოლო მათ შორის მანძილი ამოვსებულია სამშენებლო ნარჩენებით. ქვის გარდა საშენ მასალად ნახმარია ალიზის აგური, კრამიტი და ხე.

ნაქალაქარის ჩრდილოეთ მხარეს შემორჩენილია ქალაქის კარიბჭის ნანგრევები. იქევ არის საკულტო ნაგებობის ნაშთები. იქედან ასიოდე მეტრზე აღმოჩნდა მოზრდილი საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. მი კომპლექსიდან სამხრეთ-დასავლეთით დადასტურდა საკულტო ნაგებობათა კიდევ ერთი მოზრდილი კომპლექსი. „ახელედიანების გორის“ წვერზეც არის საკულტო ნაგებობის ნაშთები⁸⁰. ცენტრალურ ტერასაზე, ნაქალაქარის ჩრდილოეთ მხარეს აღმოჩნდა მრგვალი საკულტო ნაგებობა.

„ახელედიანების გორის“ ევ. წ. III—I სს. არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ამ დროს „ვანში“ სარგებლობდნენ ე. წ. ელინისტური ტექნიკის მიღწევებით, რომელსაც ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით იყენებდნენ⁸¹.

ვანის ნაქალაქარის შესახებ არ მოგვეპოვება არავითარი წერილობითი ცნობა. მისი იდენტიფიკაციის შესახებ გამოთქმულია რამ-

⁷⁹ ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (წერილი პირველი), ვანი I, გვ. 7—42.

⁸⁰ О. Лордкипаниძე, Р. Путуридзе, Г. Лежава. Н. Матиашвили, Д. Кацарава, Е. Гиголашвили, М. Пирцхалава, В. Толордava, М. Мициშვili, Г. Кипiani, В. Личели, Г. Гамкrelidze. Итоги работ Ванской археологической экспедиции, сб. Полевые археологические исследования 1974 году, Тб., 1976, с. 41—43, таб. XXXIV—XXXVI.

⁸¹ ოთ. ლორთქიფანიძე, ელინიზმი და კოლხეთი, კურნ. „ხაბ-ჭოთა ხელოვნება“, 1970, № 2, გვ. 21—28; № 9, გვ. 24—30; 1971, № 8, გვ. 72—78.

დუნიშე მოსაზრება: პირველი, ვანი მიაჩნიათ ქალაქ სურიუმად⁸², რომელიც მოხსენებული იქნება გაიუს პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I ს.)⁸³ და კლავდიის პტოლემაიოსს (ახ. წ. II ს.)⁸⁴; მეორე, ის გაიგვებულია ქალაქ ეა(აია) — სთან⁸⁵; მესამე, მას მიიჩნევენ აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაში დასახელებულ კოლხეთის დედაქალაქ კუტაისად⁸⁶; მეოთხე, იგი იდენტიფიცირებულია სატაძრო ქალაქ ლეკონთეასთან, რომელიც სტრაბონს აქვს მოხსენებული „გეოგრაფიაში“⁸⁷.

ვანის ნაქალაქარიდან დასავლეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრზე, სოფ. ზედა ციხესულორში, ბორცვის თავზე შემორჩენილია ციხის ნაშთები⁸⁸. ბორცვი ბუნებრივად არის დაცული ციცაბო კლდეებით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან აქვს მისაღვომი გზა, რომლითაც უკავშირდება ახელედიანების გორას (ვანის ნაქალაქარს). ციხეს რომბისებური მოყვანილობა აქვს. დადასტურებულია კირხსნარიანი ფართო კედლები.

⁸² დაწვილებით იხ. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, ნ. ხოშტარი ის მიერ დაწერილი თავი და გვ. 233; Н. В. Х о ш т а р и а, Археологические раскопки в Вани в 1959 г., Научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований в 1959 г. (Краткое содержание докладов), Тб., 1960, с. 50; Н. В. Х о ш т а р и а, Археологические раскопки в Вани, Кавказско-близжневосточный сборник, т. II, Тб., 1962, с. 66; სურიუმი ს. ერმანეს დომავრებლად აქვს გაფიცებული სოფ. სვირთან (ზესტაფნის რაიონი) იხ. — С. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов, Tabula Peutingeriana ВДИ, 1939, № 1 (6), с. 93, ამავე აზრისა ნ. ლომოური. კლავდიის პტოლემაიოსი, „კეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. მასალები საქართველოს და კვეთასის სტრატისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 57.

⁸³ В. В. Латышевъ, Г. Плиний секундъ, Известія древних писателей о Скифіи и Кавказе. сб. Записки классического отделенія имп. русского арх. общества, т. II, вып. I, Санктпетербург, 1904, с. 178—179.

⁸⁴ ნ. ლომოური, კლავდიის პტოლემაიოსი..., გვ. 45 და 57.

⁸⁵ დაწვილებით იხ. ნ. კაკაბაძე, უძველესი ქართული ქალაქი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 5.

⁸⁶ დაწვილებით იხ. ალ. ბორჩაძე დეკ, კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის აღგიმედებარებობის საკითხისათვის ძვ. წ. IV—III სს., საქართველოს მეცნიერებათა იკადების „მთამბე“, XV, 1967, № 2, თბ., გვ. 547—552.

⁸⁷ დაწვილებით იხ. О. Д. Лордкипаниძე, К локализации τῆς Λευκοθέας ἱερον ВДИ, 1972, № 2, გვ. 125, ოთ. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“, ჟურნ. „ცისქართი“, 1968, № 7, გვ. 133—143.

⁸⁸ მ. მიწოდება, ციხესულორის ნაციხარზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, კრებ. ვანი II, თბ., 1976, გვ. 32—47; მ. მიწოდება, 1973 წელს ციხესულორის ნაციხარის თხრის ანგარიში, კრებ. ვანი III, გვ. 43—51.

თხრის დროს ნაციხარის შიგნით გამოვლინდა აღრეული შუა საუკუნეების და ელინისტური ხანის კულტურული ფენები. უშუალოდ კლდოვან დედაქანზე აღმოჩნდა ქვიშაქვის მშრალი წყობის ნაშთები. წყობაში მოხვედრილია სატყორცნი ბირთვი. კედლის ეს ნაშთები კერამიკული მასალის მიხედვით ელინისტური ხანისაა. იგი დაფარულია კირქვის ანატკეცების ფენით. ამ ფენის ზევით კი აღრეული შუა საუკუნეების ფენაა. არქეოლოგიური თხრის შედეგად აღმოჩნდა საინტერესო მასალა — არქიტექტურული დეტალების ნაშთები (კარნიზის ნატეხი, კანელურებიანი სვეტის ფრაგმენტი, ოვებით შემკული ნატეხი და სხვ.). კერამიკის ნაშთები არქეოლოგიური მასალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

სოფ. ზედა ციხესულორის ნაციხარზე აღმოჩნდილი ელინისტური ხანის კედლის ნაშთები, არქიტექტურული დეტალები და კერამიკა ცხადყოფს, რომ აქ სამოსახლო ელინისტურ ხანაშიც იყო. მას განის ქალაქთან რაღაც კავშირი ჰქონდა და საფიქრებელია, რომ მასთან ერთად დაინგრა. გარკვეული დროის შემდეგ აღრეულ შუა საუკუნეებში და გვიან შუა საუკუნეებამდე აქ იდგა ციხე⁹⁹.

ახვლედიანების გორიდან დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე, საღაც მდ. რიონს მისი მარცხენა შენაკადი მდ. სულორი უერთდება, აღმოჩნდა ელინისტური ხანის დასახლების ნაშთები. ამ აღიილს აღვილობრივი მოსახლეობა „საყანჩისა“ ეძახის ¹⁰⁰.

ნამოსახლარი, ანაკრეფი მასალის და არქეოლოგიური ვათხრების მიხედვით, ქ. წ. III-II სს-ებით თარიღდება. არქეოლოგიური მასალა ანალოგიურია განის ნაქალაქარზე აღმოჩნდილი მასალისა. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ აქ ქალაქური ტიპის დასახლების ნაშთებია გვაქვს საქმე¹⁰¹.

საყანჩიდან დასავლეთისეკნ 7-8 კმ-ზე, მდ. ყუმურის (მდ. რიონის მარცხენა შენაკადი) სხიობაში და სოფ. მთისძირში აღმოჩნდილია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლები. აქ დადასტურებული უახლესი არქეოლოგიური მასალის კვლევას ქვემოთ ცალკე თავები ეთმობა (ამიტომ აქ მათზე იღარ შევჩერდები).

⁹⁹ მ. მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ვათხრები ციხესულორის ნაციხარზე, განის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წ. (1947—1972), სამეცნიერო სესიის თემისგბი, თბ., 1973, გვ. 21—22.

¹⁰⁰ ვ. ლ ი ჩ ე ლ ი, ახალაღმოჩნდილი ნაქალაქარი საყანჩის ველზე, კრებ. ვანი III, გვ. 52—57.

¹⁰¹ თო. ლ თ რ თ ჭ ი ფ ა ნ ი ძ ე, განის ნაქალაქარი, კრებ. ვანი III, გვ. 23.

მდ. რიონის შუა წელზევეა არქეოლოგიური ძეგლები სოფ. დაბლაგომი და სოფ. დაფნარი. ესენი დაახლოებით თითო-თითო კილო-მეტრით არიან ერთმანეთისაგან და სოფ. მთისძირისაგან დაცილებული.

სოფ. დაბლაგომის არქეოლოგიურმა ძეგლებმა ჯერ კიდევ 1929 წ. მთიცურ მეცნიერთა უურადღება. აქაური არქეოლოგიური მონაშევარი უკვე კარგა ხანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში¹⁰².

სოფ. დაბლაგომი შეფენილია რიონისპირა გორაკებზე. სოფლის შიდა ტერიტორიაზე კულტურული ფენები დაზიანებულია. დღეისათვის უკვე საკმაოდ არის შესწავლილი როგორც სოფლის შიგნითა, მაგრე გარეშემო ტერიტორია (ნაციხვარას, ნასაყირევის და ნასაყდრევის გორები). სოფ. დაბლაგომის თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღმოჩნდებილია ბათქების ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთს ხის ანგეჭდილ ეტყობა. ჯერჯერობით გეგმრების გამომხატველი ნაგებობის ნაშთები არ არის ნაპოვნი.

ნაგებობის ნაშთები შედარებით კარგად არის შემორჩენილი „ნასაყდრევის გორაზე“. სტრატიგიზაციაც აქ უკეთესად ჩას. აქვე აღმოჩნდა ცულის, ქვის მინიატურული ყალიბი და სპილენძის ზოლი, რაც მეტალურგიულ წარმოებაზე მიგვანიშნებს. ზედა ფენა აქ ზოგადი ძ. წ. VIII—VI სს., ხოლო ქვედა ფენა გვიან ბრინჯაოს ხანის მიწურულს მიეკუთვნება¹⁰³.

დაბლაგომში ინტერესს იწვევს დიდი რაოდენობით ქვევრსამარხების აღმოჩენა. სამარხები ნასაყირევის და ნაციხვარის ბორცვების უერდობებზეა განლაგებული.

დაბლაგომის ქვევრსამარხებში დაკრძალვის რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული: 1. ქვევრი ვერტიკალურადაა, მიწაში თავდაყრია ჩადგმული. ეს, როგორც ჩას, დაკრძალვის ძირითადი წესია. 2. ქვევრი ავტოვე ვერტიკალურადა, მხოლოდ ძირით ქვევით. 3. ქვევრი პირიზონტალურადა ჩადგმული. ამათ ვარდა დადასტურებულია ორი შემთხვევა, როცა მიცვალებული უშუალოდ მიწაში იყო დაკრძალული ქვევრთან და როცა მიცვალებული დაკრძალული იყო

¹⁰² ბ. ა. კუტინ, მათერიალი კ არქეოლოგიური ვათხრები დაბლაგომში 1970—71 წწ., კრებ. ვანი II, გვ. 48—67; ვ. თ თ ლ თ რ დ ა ვ ა, არქეოლოგიური ვათხრები დაბლაგომში 1973—1974 წ., კრებ. ვანი III, გვ. 71—80; ვ. ა. თ ლ ი რ ა ვ ა, პირები ს ც ე რ ი ზ ი ნ ბ რ ა ლ უ რ ა დ ა ა, ჩადგმული. ამათ ვარდა დადასტურებულია ორი შემთხვევა, როცა მიცვალებული უშუალოდ მიწაში იყო დაკრძალული ქვევრთან და როცა მიცვალებული დაკრძალული იყო

¹⁰³ ვ. თ თ ლ თ რ დ ა ვ ა, არქეოლოგიური ვათხრები დაბლაგომში 1973—1974 წწ., კრებ. ვანი III, გვ. 78—79.

ქვევრის ყელზე დაფარებულ ბრტყელ კრამიტზე⁹⁴. სამართ ქვევრის ყელზე აფარებენ ქვევრისავე მოზრდილ ნატეხს. ხშირ შემთხვევაში ქვევრი შუაზეა გადატეხილი და ქვედა ნაწილი სარქველად არის გამოყენებული. სამარხებად გამოყენებულია ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები (რუხად გამომწვარი, მოშავონ ზედაპირიანი; ქვევრის პირი საკმაოდ ფართოა და პროფილირებული; მუცელი თითქმის სფერულია; ქვევრები ორნამენტირებულია რელიეფური სარტყლებით და ვერტიკალური ქედებით). ქვევრებზე ხანდახან ამოკაწრულია (ჯერ კიდევ სეელ თიხაზე) ნიშნები.

ქვევრსამარხებში ნაპოვნი ნივთები ცოტაა და ღარიბული. საბრძოლო იარაღი ქვევრსამარხებში არ გვხვდება.

დაბლაგომის არქეოლოგიური კვლევის პირველ ეტაპზე ქვევრსამარხები ძვ. წ. VI—III სს-ს მიაკუთვნეს⁹⁵, ხოლო მეორე ეტაპზე უახლეს პარალელურ ძეგლებთან შედარების შედეგად ეს თარიღი უფრო დაკონკრეტდა — ძვ. წ. IV—III სს.⁹⁶ ვარგლებში.

სოფ. დაბლაგომის, ნაციხეარას გორის დასავლეთ ფრენობზე გაითხარა კრამიტით გადახურული დაუზიანებელი მდიდრული სამარხი. სამარხის შესწავლამ ცხადყო, რომ იგი ძვ. წ. III ს. დასაჭყისით თარიღდება და გარკვეულ მსგავსებას ავლენს ვანში გათხრილ ე. წ. „წარჩინებული მეომრის“ № 9 სამარხთან⁹⁷. ნაციხეარას ეს სამარხი განსხვავდება სოფ. დაბლაგომის სხვა სამარხებისაგან.

დაბლაგომის დასახლების მსგავსი ნაშთები აღმოჩნდა სოფ. დაფნარში (ერთ კილომეტრზე დაბლაგომიდან). აქაც დიდი რაოდენობით დადასტურდა ქვევრსამარხები. ისინი ტიპოლოგიურად და სტრუქტურულად ისეთივეა, როგორც დაბლაგომის ქვევრსამარხები. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებიც დაახლოებით ისეთივეა — ძვ. წ. IV-III სს.⁹⁸ აქაც ინგენტარი არ გამოიჩინება მრავალფეროვნებით და წარმოდგნილია ძირითადად პირადი მოხმარების საგნებით — კერამიკა, სამკაულები, მონეტები. საბრძოლო იარაღი არც აქ გვხვდება.

⁹⁴ ვ. თ თ ლ თ რ დ ა ვ ა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—71 წწ., ვანი II, გვ. 94.

⁹⁵ Б. А. Куптин, Материалы..., т. II, с. 75; 6. წ თ შ ტ ა რ ი ა, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 225.

⁹⁶ ვ. თ თ ლ თ რ დ ა ვ ა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—71 წწ., ვანი III, გვ. 62.

⁹⁷ В. А. Толордава, Погребение с черепичным перекрытием из Даблагоми, сб. КС, № 151, М., 1977, с. 48—54.

⁹⁸ Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тб., 1976.

ქვევრსამარხები სოფ. დაფნარში ძირითადად „დაფის“ გორაზეა დაღისტურებული. ამ გორის გარდა არქეოლოგიური ნაშთები ვრცელდება „ჩაის“ და „წყვეტილ“ გორებზე. მოცემულ ტერიტორიაზე შესწავლითი ნამოსახლარის კულტურული ფენები. ირკვევა, რომ შესახლეობა განლაგებული იყო გორების ტერასებზე. ამ ტერასებზე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ანაბეჭდიანი ბათქაში და დანახშირებული ხის ძელების ნაშთები. ნაგებობა, რომელიც შეაძლება აიგევოს, ჯერ არ არის დადასტურებული. კულტურულ ფენებში აღმოჩნდა დიდძალი კერამიკა (აღილობრივი — ბევრი, შემოტანილი — ცოტი), სალესები, ხელსაფევები ძირითადად ძვ. წ. V—IV სს. ნამოსახლარს ეტყობა ძლიერი ხანძრის კვალი. „ჩაის“ გორაზე აღმოჩნდა რეინის საღნობი ქურის ნაშთები. აქ დადასტურდა თიბის საქშენი მილი და წილების ნაშთები⁹⁹.

ამგვარად, ზემოთ მოტანილ არქეოლოგიურ და წერილობით წყარიებზე დაყრდნობით საფიქრებელია, რომ მდ. რიონის შუა წელი საკვლევ პერიოდში საკმაოდ დაწინაურებულ ეკონომიკურ-გორგრაფიულ მხარეს წარმოადგენდა. თუმცა მისი ეკონომიკა და პოლიტიკური სტატუსი სხვადასხვანის პერიოდში სხვადასხვანირია იყო.

თ ა ვ ი Ⅱ

სოფ. მთისძირის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვა

სოფ. მთისძირი მდებარეობს მდ. რიონის შუა წელზე (მარცხენა მხარეს). თანამედროვე აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაუყოფით მასზე გადის ვანის და სამტრედიის რაიონების საზღვარი. ასე რომ, სოფ. მთისძირის ნაწილი ვანის, ხოლო ნაწილი სამტრედიის რაიონში ექცევა. სოფ. მთისძირი ვანის რაიონულ ცენტრს — დაბა ვანს დაშორებულია რვა კილომეტრით, ხოლო ქ. სამტრედიას 16 კმ (სურ. 1).

ფიზიკურ-გეოგრაფიულად მთისძირი და მისი მიმდებარე ტერიტორია (მდ. რიონის მარცხენა შენაკადის მდ. უმურის ხეობა) საფიზიკური (მდ. რიონის მარცხენა შენაკადის მდ. უმურის ხეობა) სა-

⁹⁹ იბ. 6. კ ი ღ უ რ ა ძ ე, კოლხური სოფელი ანტიკურ ხანში, კრებ. საქართველოს არქეოლოგის საკოთხები, I, თბ., 1978, გვ. 53—60.

მხრეთ იმერეთის მთისწინეთში ექცევა. ამ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს შუალედური აღგილი უჭირავს აჭარა-გურიის მთისწინეთსა და ზემო იმერეთის პლატოს შორის. იგი სამხრეთიდან ესაზღვრება კოლხეთის დაბლობს. აქ კლიმატური პირობების მიხედვით, კოლხეთის სხვა ჩაიონებთან შედარებით, ჰავა უფრო შერალია. სამხრეთ იმერეთის მთისწინეთის ჰავა ხასიათდება ამგვარი მაჩვენებლებით: საშუალო წლიური ტემპერატურა დაბალ ადგილებში 14° უდრის, ხოლო მაღლა კი კლებულობს $11-12^{\circ}$ -მდე; უცივესი თვის ტემპერატურა $3-5^{\circ}$; წლიური ამპლიტუდა $19-20^{\circ}$ აღწევს. ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი დასავლეთით 1600 მმ აღწევს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ კი მცირდება 1200 მმ-მდე¹.

სამხრეთ იმერეთის მთისწინეთი აგებულია მესამეული, უმთავრესად ოლიგოცენური და ნეოგენური ქანების წყებებით, რომელთა შედგენილობაში შედის სხვადასხვა ქანები — თიხები, ქვიშექვები, კირქვები, კონგლომერატები და სხვ. ისინი გამოიყენებოდა სამშენებლო მასალად.

განსახილველი რაიონის რელიეფი ბორცვიანი და დაბალმთიანია, სიმაღლეთა რხევა 100-500 მ. აქ თითქმის მთელ სიგრძეზე გაჭიმულია მთისწინა სერი, რომელიც გურიის მაღლობის დაფერდების უშუალო გაგრძელებას წარმოგდება. იგი დასერილია მთელი რიგი ხეობებით, რომელშიც მოყდინებიან კოლხეთის დაბლობში (კერძოდ მდ. რიონში) ჩამავალი მდინარეები — ყუმური, სულორი და სხვ. მდ. რიონი წინათ უფრო ახლოს გაედინებოდა სამხრეთ იმერეთის მთისწინეთთან, ვიდრე ამჟამად. ამ რეგიონის ნიადაგი ძირითადად შედგება ყვითელმიწებისაგან. შიგადაშიგ გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებიც. მცენარეთა საფარის სიმკირის გამო ხშირია ეროზიული პროცესები; გორაბორცვების ფერდობები ზოგან ჩამორცხილ-ჩამოშვაცებულია და შიშველი დედაქანი მოჩანს².

სამხრეთ იმერეთის მთისწინეთის ზოლის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები და დაბლობები თავის გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ ადგილებს ქმნიდნენ გამაგრებულ სამოსახლოთა მოსაწყობად და, საერთოდ, საცხოვრებლად.

დღევანდელი სოფელი მთისძირი განლაგებულია გორების ძირში. თვით ტოპონიმი „მთისძირი“ ახალია და დაკავშირებულია მის

¹ იხ. Н. А. Гвоздецкий, Физическая география Кавказа, М., 1958, с. 103—120; ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II, თბ., 1970, გვ. 200—203.

² ლ. მარუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201—202.

მდებარეობასთან. ამ 40-50 წლის წინ სოფ. მთისძირის აზლანდელი მოსახლეობა ხსენებულ გორებს გადამდა ცხოვრობდა. ამ ტერიტორიას ამჟამად მთისძირელები საძოვრად და სავენახედაც იყენებენ. იგი მოიცავს რამდენიმე გორას და მათ შორის მდებარე დაბლობს. სოფ. მთისძირის მოსახლეობა ამ გორებს შემდეგნაირად იხსენიებს: „ნაქ-ცევი გორა“ (სადაც ამჟამად თანამედროვე სასაფლაო), „ადეიშვილების გორა“ (მდებარეობს „ნაქცევი გორის“ ჩრდილოეთი), „მთისძირის გორა“ (მდებარეობს „ადეიშვილების გორის“ დასავლეთი), „ნაბამბევის გორა“ (მდებარეობს „მთისძირისა“ და „ნაქცევი“ გორების დასავლეთი), „ადეიშვილების“ და „მთისძირის“ გორებს შორის ჩამოდის „გეფერიძეების“ ღელე, ხოლო „მთისძირის“ და „ნაბამბევის“ გორებს შუა — „წაბლა“ ღელე. ეს ღელეები წყალმარჩხია და მდინარე რიონისაკენ მიედინება (სურ. 2).

ამგვარად, ეს გორები ქმნიან ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიაც დაბლობია; ხოლო ღელეები გორებს შორის კლდეკარებივით წარმოგვიღება, რომლებიც ადვილად გასამაგრებელ-ჩასაკეტი ჩანს. ამასთანავე „ადეიშვილების“ გორა რამდენად მე წინ არის წამოწეული ასეთივე გორების რიგიდან და ერთი მხრივ, აკონტროლებს მდ. რიონის ხეობის კარგა მოზრდილ ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ — მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ ერთ-ერთ გზის ქრავს. „ადეიშვილების“ და „მთისძირის“ გორების წვერიდან ხელისგულივით მოჩანს მდ. რიონის ხეობა; კარგ ამინდში აქედან ფასის მთის (მთა, საიდანაც მდ. რიონი გამოედინება) წვერიც კი ჩანს. ქველი „მთისძირის“ ასეთ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა უნდა. ქონიდა. იგი რიონ-ყვირილის საგარეო-სატრანზიტო ზაგისტრალის გაყოლებით მიმავალ მდ. რიონის მარცხნიან ნაპირზე მდებარე გზას ქრავდა. ეს გზა ადეიშვილების და მთისძირის გორების ძირში გადიოდა³, რადგან ამ გორებთან ახლოს, დღევანდელი სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დადასტურდა ნარიონალი⁴.

ხსენებულ ტერიტორიაზე, რომელიც შემოზღუდულია ბუნებრივი გორებით (ადეიშვილების, ნაქცევის, ნაბამბევის, მთისძირის გორებსა და მათ შორის მდებარე დაბლობზე), არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა ე. წ. წინარეანტიკური, ანტიკური ხანის და ად-

³ იხ. თ. ბერიძე, ვანის რაიონის სტორიული გეოგრაფიიდან, ქრებ. ვანი III, 28—40.

⁴ იხ. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II თბ., 1970, 201.

რეული შუა საუკუნეების ნამოსახლარების ნაშთები (ნაგებობები, სა-შირხები).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველი „მთისძირი“ მდ. ყუმური-დან მომავალ ერთ-ერთ გზაზე იყო. თვით მდ. ყუმურის გზა კი გა-დადიოდა სამცხეში და მდ. რიონის და მდ. მტკვრის ხეობებს აკავში-რებდა ერთმანეთთან. ეს გზა, მდ. მტკვრიდან დწყებული, მოპყვე-ბოდა მდ. ქვაბლიანს, შემდეგ მიღიოდა ოძრხეს ციხესონ, იქიდან უ. წ. მეფის წყაროს გადასასვლელთან. აქ სხვა ბილიკ-გზების თავ-შესაყარიც არის (მაგ. აღიგნიდან). „მეფის წყაროს“ გადასასვლე-ლის გავლის შემდეგ გზა ჩრდილო-დასავლეთით მიემართება და ზე-მო ჯაჭის ტბას ჩრდილოეთით ექცევა (აქედან ერთი ბილიკ-გზა მდ. სუფსის ხეობისაკენ ეშვება). ამის შემდეგ ერთი გზა მდ. სულ-რის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება, ხოლო მე-ორე ბილიკ-გზა მდ. ყუმურის ხეობაში გადადის. ეს მაგისტრალი არც თუ ძალიან ძნელია სავალი გზაა. აღილობრივი ცცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ მთაში საქონლის გასარეკად (სურ. 1).

მდ. ყუმურის ხეობაში გამავალი გზა გაივლის სოფლებს — გაი-ლოურს, დუცხუნს, საპაიჭაოს (ყუმური), მიქელეფონს, ტბანიერს; ხოლო ტბანიერიდან ერთი ბილიკ-გზა შუამთისკენ მიღის, მეორე კი სოფ. მთისძირისკენ.

მდ. ყუმურის ხეობის ზემო წელზე მდებარე სოფლებს წინათ ერ-თი სახელით — საპაიჭაოთი მოიხსენიებდნენ. ახლა ასეთი სახელწილ-ების სოფელი აღარ არსებობს. ეს სოფლები ყველა გაერთიანებულია ყუმურის სასოფლო საბჭოში: ყუმური, მაისოური, დუცხუნი, გაი-ლოური, მუქედი, ნიქოური, ვერხვანი და თხილოვანი. მა სოფლების ტერიტორია გეოგრაფიულად ერთად კარგად იხაზება. აღმოსავლე-თით მას ესახლვება მთაწმინდის გორა, ჩრდილო-აღმოსავლეთით — მუქეთის გორა, ჩრდილოეთით — ქენიათის ქედი, დასავლეთით — საჯავახოს ქედის აღმოსავლეთი კალთები, ხოლო სამხრეთით — მდ. ყუმურისა და სუფსის წყალგამყოფი ქედი.

სენებულ ხეობაში არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გამოვლინდა რიგი ახალი არქეოლოგიური ძეგლებისა, რომელიც მომავალში შეიძლება გაითხაროს. ჯერჯერობით პირობათია ზედა-პირული მასალების მიხედვით ძეგლების ასაქტები მსჯელობა, რაღან სტრატიგრაფიული და კიდევ სხვა არქეოლოგიური მონაცემების

⁵ სახელი ყუმური მეგრულ სიტყვას ჰვავს — ყუმური — ტყემალი. იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

უქონლობა ცალკეული ძეგლის თარიღის დაკონკრეტების საშუალე-ბას არ იძლევა.

განის რაიონის სოფ. გაილოურიდან 3 კმ-ზე, მდ. ყუმურის მარ-ცხენა მხარეს, გამოვლინდა ძველი ნამოსახლარი გორა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მსხალთას“ გორას უწოდებს. მისი საე-როთ ფართობი დაახლოებით ოცდაათ ჰექტარს შეადგენს. სოფ. გაილოურის ცცხოვრებლების თქმით, ამ გორაზე თიხის ჭურჭლისა და ჭრინჯაოს ნივთების ნატეხებს პოულობენ. სოფ. გაილოურის „მსხალ-თას“ გორაზე და მის სამხრეთ ფერდობებზე მართლაც დადასტურდა კოლხური ქვევრების, სამისიების და ქოთნების ნატეხები, რომლე-ბიც ე. წ. ადრეანტიკური და ელინისტური ხანით თარიღდებიან. ვა-პოვეთ ქედებიანი ქვევრების ნატეხები. თიხა მოყავისფროდაა გა-მომწვარი, შეიმჩნევა ქარსის და კირქვის წვრილი მინარევები. ამ ტიპის ქედებიანი ქვევრები და, საერთოდ, ქერამიკა აღმოჩენილია სოფ. მთისძირში, ვანში და კოლხეთის სხვა რაიონებში. „მსხალთას“ გორის სამხრეთის ფერდობზე აღმოჩნდა ე. წ. ელინისტური ხანის ქვევრების ნატეხები. ისინი შავზედაპირიანია მოყავისფროდ გამომ-წვარი. თიხაში ჩანს კირქვის წვრილი მინარევები. ქვევრის ზედაპი-რი დაღარულია. გორის სამხრეთ ფერდობებზევე დადასტურდა უც-ხოური (სინოპტური) ჰურჭლის ნატეხები. „მსხალთას“ გორის სამხ-რეთ ფერდობზე, წვერიდან დაახლოებით 50 მ-ის დაშორებით ვიპო-ვეთ ქეიშაქვისაგან გამოთლილი რაღაც სამშენებლო დეტალი, რო-მელიც გორის წვერიდან არის გადმოგორებული. გათლილ ქვას მარ-თუთხა პარალელებიცედის ფორმა აქვს და ერთ მხარეს ამოლრმავე-ბულია (ქვა ჰერაკლეს საკურთხეველს). თვით „მსხალთას“ გორის თავზე მიწა ცეცხლისაგან შესამჩნევად გადაწითლებულია და შეიმჩნევა შე-ნობის კვალი; არის ბათქაშის ნაშთებიც. ამ ადგილას ე. წ. ანტიკუ-რი ხანის გარდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენ-ტებიც გვხვდება. რა პერიოდის არის შენობის ნაშთები, ჯერჯერო-ბით გაურკვეველია.

სოფ. გაილოურის „მსხალთას“ გორაზე და მის სამხრეთ ფერ-დობებზე მიკვლეული იქნა მასალა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ეს ადგილი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში დასახლებული იყო.

სოფ. მაისოურში მდ. ყუმურის მარცხენა მხარეს, მდინარიდან რაახლოებით ერთ კილომეტრზე, დგას საპაიჭაოს ციხე. ის აღმართუ-ლია კონცხზე, რომელსაც „ციხის გორას“ ან კიდევ „მზვარეს“ უწო-დებენ. ჩრდილოეთი მხრიდან ციხესიმაგრეს ჩამოუდის უსახელო ლე-კ. ვ. გამყრელიძე

თუ, ხოლო სამხრეთიდან კი— „ციხის“ დელე. ისინი ერთმანეთს უერთდებიან. ამ ორი მხრიდან ციხესიმაგრე მიუვალია. დასავლეთის მხარეს კონცხი, რომელზედაც ციხეა, ორი პარალელური თხრილითაა გამოყოფილი. ციხესიმაგრე შედგებოდა დედა-ციხისა და ორი კოშეისაგან. დედა-ციხის ფართობი დაახლოებით 500 კვ. მ-ია. კარგიდან შემორჩენილი ციხის სამხრეთი კედელი. ციხესიმაგრეს შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდან ჰქონდა. გზა კლდის მასივში არის გაჭრილი. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვით, კირსნარის გამოყენებით. ამ გამოგრებული პუნქტის აგების თარიღის დადგენა ჭირს, რადგანის სრულიად შეუსწავლელია, ხოლო ზედაპირული კერამიკული მასალა მის შემოგარენში არ დასტურდება. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ სტრატეგიულად მისთანა მოხერხებულ ადგილის, თუნდაც უკვე აღრეულ შუა საუკუნეებში, რაღაც გამოგრებული ნაგებობა იყო.

საპაიჭაოს ციხის დასავლეთით, ნახევარ კილომეტრზე, არის ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ნადარბაზევს უწოდებს. ტოპონიმი ფრიად საინტერესოა. აქ მიწის დამუშავების დროს გათლილ ქვებს პოულობენ. საპაიჭაო (ძეელი მნიშვნელობით) ერთი შეხედვით „მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეუნის“ შთაბეჭდილებას ტოვებს“⁶.

საპაიჭაოს ქვემოთ მდ. ყუმურის ხეობაშივე არის სოფ. მიქელაფონი, სადაც ცატის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა „ნაციხეარს“ უწოდებს. ზედაპირული კერამიკული მასალა აქც არა ჩანს. სოფ. მიქელაფონში (მ. ბელთაძის ნაკვეთში) აღმოჩნდა კოლხური მონეტების განძი.

სოფ. მიქელაფონიდან რამდენიმე კილომეტრზე არის სოფ. ტობანიერი, რომელზედაც გადის სოფ. მთისძირიდან მომავალი გზა. აქ აღმოჩნდა შუა საუკუნეებისძროინდელი მონეტების განძი.

მდ. ყუმურის ხეობაშივე, მარცხნა მხარეს, სოფ. მთისძირიდან დაახლოებით ერთ კილომეტრზე, არის არქეოლოგიურად ფრიად საყურადღებო ძეგლი — შუამთა. დოლევანდელი სოფ. შუამთა განლაგებულია: „მელაშვილების“, „ქალის“, „ნაციხეარს“ გორებზე და მათ ძირში. ნაციხეარს გორის თავზე დადასტურდა შუა საუკუნეების

⁶ თ. ბერაძე, ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიან, კრებ. ვანი, III, გვ. 34.

⁷ განძი ინახება ქ. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში; იხ. ავრეთვე, И. Л. Джагания, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб. 1958 с. 115.

საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები. გორაკის ძირში, თითქოს, გალავნის კვალიც შეიმჩნევა. გორის ფერდობებზე აღმოჩნდა შუა საუკუნეების კერამიკა, ზოგი ნატეხი აღრეული შუა საუკუნეებისაც გვივდება. მაგ.: ომოჩნდა წელშეზნექილი ამფორების და წითელ-ლაგიანი კერამიკის ფრაგმენტები. შესაძლოა, რომ ამ ნაგებობის საძირკველი აღრეული შუა საუკუნეების ნაგებობაზეა აღმართული. ეს ციხე მოხსენებული აქვს გულდენშტედტის თავის „მოგზაურობა-ში“⁸.

„ქალის“ და „მელაშვილების“ გორებზე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ანტიკური ხანის კერამიკა. მიწის ზედაპირი პირდაპირ მოფენილია მათი ნაშთებით. ამათვან ყველას სჭარბობს ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა. ჩვენ მიერ ხსნებულ ტერიტორიაზე ანაკრეფ არქეოლოგიურ მასალაში დასტურდება ე. წ. კოლხური სასმისები — ქიქისებური და ცილინდრულტანანი, მორუხო-მოყავისტრო ზედაპირით. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრების და დერგების ფრაგმენტების სახით, რომლებიც ყველაზე მეტი იყო „მელაშვილების“ გორაზე. მათი თიხა მოყავისტროდაა გამომწვარი; შეიმჩნევა ქარსის და კირქვის წვრილი მინარევები; ქედები. უცხოურიდან შეგვხვდა სინაპური ჭურჭლის ნატეხები. დიდი რაოდენობითაა ე. წ. კოლხური ამფორების ფრაგმენტები. ამგვარი კერამიკა აღმოჩნდილია მთისძირში, ვანში და საერთოდ თითქმის მთელ კოლხეთში. ფრიად საყურადღებოა, რომ „მელაშვილების“ გორაზე, გლეხი გიორგი ძაგნიძის ეზოში დადასტურდა დიდი რაოდენობით ელინისტური ხანის კრამიტი. ისინი იმდენად ბევრი იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრები საკარმიდამ მიწის დამუშავება-გაწმენდისას მათგან მთელ გორებს აგროვებდა. კრამიტები წარმოდგენილია გვერდებაკეცილი, ბრტყელი და ე. წ. ლარიანი სახით. სოფ. შუამთას კრამიტი სოფ. მთისძირში და ვანში ნაპოვნ კრამიტებს ჰგავს. „მელაშვილების“ გორაზევე დადასტურდა დიდი რაოდენობით ბათქაშის ნატეხები. კრამიტის, ბათქაშის და კერამიკის ასეთი რაოდენობით აღმოჩნდა შუამთაში მოწმობს, რომ აქ კარგა მოზრდილი დასახლება იყო.

ამგვარად, ამ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით საფიქრებელია, რომ გზა მდ. ყუმურის გაყოლებაზე ჩერ კიდევ ანტიკურ ხანასა და აღრეულ შუასაუკუნეებში მოქმედებდა.

ძველი „მთისძირი“, „შუამთა“ და, საერთოდ, მთელი მდ. ყუმუ-

⁸ გ. გელაშვილი, გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 159—160.

რის ხეობაზე ტიკურ ხანაში ე. წ. „ვანის ქვეყნის“ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაში შედიოდა. საფიქრებელია, რომ ე. წ. „ვანის ქვეყნა“ (ანტიკურ ხანაში) დაახლოებით ემთხვეოდა შემდგომი პერიოდის „საჩინოს“ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს. სოფ. მთისძირი და მდ. ყუმურის ხეობა XVIII ს. დასაწყისისათვის გახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „საჩინოს“ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულში ექცევოდა. იგი ძირითადად მთიცავდა მდ. სულორის და მდ. ყუმურის ხეობებს. სამხრეთით ფერსათ-გურის ქედი, ხოლო ჩრდილოეთით მდ. რიონი მიჯნავდა⁹.

ამ ტერიტორიის ძელი ნასახლარებიდან (დათნარი, დაბლაგომი, მთისძირი, ჯერგერობით სუსტადა შესწავლის — შუამთა, გაილოური, კეჭინარი, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი-საკაიილე, ძულუხი, ბუღარი, ბზვანი და სხვ. ორქეოლოგიური მასალის მიხედვით, დღემდე ცნობილ ნამოსახლართა უმრავლესობა ანტიკური ხანისა ჩანს, მაგრამ მათი ერთი ნაწილი ამავე ხანის მასალასთან ერთად უფრო ადრეული პერიოდის ფენებსაც შეიცავს) ყველაზე დაწინაურებული ახვლედიანების გორა („ვანის ნაქალაქარი“) ჩანს. ანტიკურ ხანაში მისი გაბატონებული მდგომარეობა, ორქეოლოგიური მასალის მიხედვით, აშკარად. ახვლედიანების გორას, როგორც ჩანს, სხვებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები პქონდა, რამაც ის გარკვეული „ქვეყნის“¹⁰ (ე. წ. „ვანის ქვეყნის“) სათავეში მოაქცია. იგი ურბანისტულ ცენტრად ჩამოყალიბდა თავისი სასოფლო ტერიტორიით, რომელშიაც შედიოდა ძელი „მთისძირიც“. როგორც ჩანს, „მთისძირს“, რადგან ვანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა, „ვანის“ დაცვის ფუნქციაც ეკისრებოდა.

ფრიად საინტერესო „ვანის ქვეყნის“ სოციალური და პოლიტიკური არსის საკითხი. სამწუხაროდ, წერილობით ცნობებში მისი შესახებ არაფერია ცნობილი. საერთოდ კოლხეთის შესახებ კი არის სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა, რომელიც აღმართ, ვანის მიმდებარე ტერიტორიასაც („ვანის ქვეყნას“) ეხება: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძელად ეს ქვეყნა (ე. ი. კოლხეთი — გ. გ.), ცხადპყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხობენ იაზონის ლაშ-

⁹ იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 751 და ვახუშტისვე რუკები; თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28; ჩ. შ. ჩიგურაძე, დაპნარსკი მოგილნიკ, თბ., 1976, გ. 10-58.

¹⁰ „ქვეყნების“ შესახებ იხ. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 7—196.

ქობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობაზე). ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუსიებად დაკყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“¹¹. (Strabo XI, II, 18).

მართებული ჩანს სტრაბონის „გეოგრაფიის“ ამ ნაწყვეტის მ. ინაძისეული ინტერპრეტაცია. მისი აზრით, სტრაბონის ცნობა აიეტის მემკვიდრე მეფეების მიერ კოლხეთის „სკეპტუსიებად“¹² და ყოფის შესახებ გულისხმობს ქვეყნის დანაწილებას გარკვეულ ტერიტორიულ-საგამგეო ერთეულებად, რაც უნდა ყოფილიყო შედეგი სამეფო ხელისუფლების აღმინისტრაციული ღონისძიებასა და მიზნად ისახავს ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწესრიგებას. საფიქრებელია, რომ სკეპტუსიებად დაყოფა განხორციელდა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე, ხოლო სტრაბონის ცნობა უნდა განვითილოთ, როგორც მოწმობა სამეფოს მართვაში გარკვეული პოლიტიკური ცენტრალიზაციისაც¹³. სხვა მკვლევრების აზრით, სკეპტუსიებად დანაწილება გვიანდელი (ძვ. წ. II ს.) ამბავია, ხოლო სტრაბონის ცნობაში ასახულია მეფის ხელისუფლების სისუსტე და ცალკეული ოლქების გამგებელთა დამოუკიდებლობის აღიარება¹⁴.

სტრაბონის ამ ცნობის სხვადასხვანაირი გაგების საკითხი როგორც არ უნდა გადაწყვდეს, ერთი მაინც ნათელია, რომ აქ საქმე ეხება კოლხეთის ტერიტორიულ-აღმინისტრაციულ დანაწილებას. კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ეროვნული (სტრაბონისეული სკეპტუსის) იყო, აღმათ, „ვანი“ თავისი მიმდებარე ტერიტორიით („ვანის ქვეყნა“)¹⁵.

¹¹ თ. ყ. უ ხ ჩ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 124; შდრ. Страбон, География (перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского), Л., 1964, с. 473.

¹² ტერმინი „სკეპტუსი“ (σκηπτούσθιος-იν) ნიშანებს „სკიპტრის მპყრობელს“, გამგებელს. ამ ტერმინის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესახებ კოლხეთის მიმართ დაწვრილებით იხ. მ. იანქე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუსიათ სკიპტელის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, № 6, თბ., 1961, გვ. 783—790 და იქვე მოხსენებული ლიტერატურა.

¹³ გ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 788—790; ამავე აზრს იზიარებს ოთ. ლორთებისნიშვნები, — იხ. ოთ. ლორთები ნაშრ., გვ. 788—790; ვანის ნაქალაქარი, კრებ. ვანი III, გვ. 15.

¹⁴ Г. А. Лордкипаниძე, К истории древней Колхиды, Тб. 1970, с. 13.

¹⁵ იხ. ოთ. ლორთები ნაშრ., ვანის ნაქალაქარი, კრებ. ვანი III, გვ. 15—16 და იქვე დასახ. ლიტ.

საფიქრებელია, რომ ასეთივე ერთეული მდ. რიონის შეა წელ-ზევ ე. წ. „ქუთაისის ქვეყანა“ იყო. ეს ორივე ერთეული აღრეული შეა საუკუნეებისათვის ჰქცეოდა მუხირისის მხარეში.

სოფ. მთისძირის შემთხვევით ნაპოვნი, ანაკრეფტი და დაზვერ-ვით მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქთიოთ „მთისძირის“ ძველ ნამოსახლარზე.

სოფ. მთისძირის არქეოლოგიური შესწავლის პირველ ეტაპზე ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო იყო ძელი ნამოსახლარების ფარგლების დადგენა და არქეოლოგიური გათხრებისათვის ადგილის შერჩევა. მოპოვებულ იქნა დიდალი ანაკრეფტი მასალა და გაიჭრა თხუთმეტი თხრილი. დადგნდა, რომ ძელი ნამოსახლართა ნაშთები გრცელდება „ადეიშვილების“, „ნაქცევი“, „ნაბამბეგის“, „მთისძირის“ გორებსა და მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე¹⁶. ჭერჩერობით ეს ნაშთები ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანს ადეიშვილების გორაზე და წაბლა ლელეში. ალნიშნულ ფარგლებში დადასტურდა ე. წ. წინარეანტიკური, ანტიკური ხანისა და აღრეული შეა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა.

სხენებული ტერიტორიიდან არქეოლოგიურად ყველაზე უფრო საყურადღებოა ორი პუნქტი პირველი ადეიშვილების გორა (სურ. 3), სადაც ანტიკური ხანის და აღრეული შეა საუკუნეების გამაგრებული ნაგებობების ნაშთებია. სტრატეგიული მნიშვნელობის ეს ნაგებობები განლაგებული იყო გორაზე და ზემოდან დაჰყურებდა მთელ გარემოს. ადეიშვილების გორას სამხრეთიდან ეკვრის „გეფურიძეების ნამოსახლარი“ (სურ 4). აქ სამარხების ნაშთებია დაბასტურებული.

შეორე პუნქტი წაბლა ლელე, რომლის შეა წელზეც ე. წ. „ნაშუბთან“ ჭერ კიდევ 1952 წელს შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული ნივთები — სამარხეული ინვენტარის ნაშთები.

არქეოლოგიური დაზვერვების დროს გადაწყდა, რომ 1952 წ. შემთხვევით ლომა-ჩენილი სამარხე გავკეთხარა, რათა გაგერკვაი მასი აღნავობა და ტიპი. გათხრის დაწყებამდე ინფორმაციის მისაღებად მივმართე კულტურულ კაკო სტურუას, რომელიც მთისძირის სამარხის ნივთების ერთ-ერთი აღმომჩენია. კ. სტურუას თქმით, ძვირფას ნივთებს წასწყილობიან წაბლა ლელეში „ნაშუბთან“, სარების

¹⁶ დაახლოებით ასევე, გორაკების ფერდობებშე ან მათ ძირში ირის დადასტურებული ძელი ნამოსახლარები ციხესულორში, შუამთაში, დაბლავოში, დაფნასა და თვით ახლედანების გორაზეც.

მოქმის დროს. მათი ყურადღება მიუქმევია ბზინვარებას, რაც ოდნავ გამოსჭვივოდა ბრტყელი ქვის ქვემოდან. მთისძირელებს ქვა დაუცურებით და ლელეში გადაუგდიათ, ხოლო ნივთები ამოულიათ (დაცურებული ქვა, ალბათ, ლაიტშენა, რადგან მისი ძებნა ამაო გამოდვა). აქ რომ სამარხის ნაშთებთან გვაქვს საქმე, ამაზე შიგვანიშენებს კ. სტურუას ნათქვამი და განის მხარეთმოლნეობის მუზეუმში ნივთების ჩაბარების ქტიც, სადაც აღნიშნულია ნივთებთან ერთად იდამინის ძელების არსებობა. ამის გარდა, თვით გადატეხნილი ნივთებიც (საყურე, კისრის რკალი, რიტონის ფრაგმენტები) საეციფი-კურია და რამდენადმე სამარხეულს ჰგავს. ისტ. მეც. კანდიდატმა ნინო ხოშტარიამ პირველმა გამოაქვეყნა მთისძირში შემოხვევით ნაპოვნი ეს ნივთები და და. წ. VI საუკუნით დათარილა¹⁷.

კოლმეურნე კ. სტურუას მინიშნებით მოვძებნეთ სამარხის აღმოჩნდის ადგილი და გავჭერით 1,04 მ × 1,30 მ × 2,12 მ ზომის თხრილი. კორდოვანი ფენის აღების შემდეგ, დაახლოებით 0,30 მ-ის სი-ლრმეზე გამოჩნდა ბათქაშის ნაშთები. როგორც შემდგომა თხრისას დავრწმუნდით, საქმე გვქონდა არეულ კულტურულ ფენასთან. მიუხედავად ამისა, მაინც დავედით დედაქანზე და ზოგიერთი რამ და-კაზუსტეთ.

თხრილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და რკანის პატარა ნატეხი. შედარების შედეგად დადგინდა, რომ თხრილში ნაპოვნი ბრინჯაოს ფრაგმენტები და რკანის ნატეხი ნაწილებია აქვე, ყრ კიდევ 1952 წელს ნანახი ბრინჯაოს ჭურჭლისა და რკანის ნივთისა. თხრილში აღმოჩნდა აგრეთვე კერამიკის ძალიან პატარა ნატეხები. მათი პატარა ზომების გამო მშოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ თიხის (უკეში და კირქვის მინარევებიანი) მიხედვით ისინი ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს. აშკარად ჩანს, რომ კერამიკა ცეცხლშია მოხვედრილი. თხრილში ვიპოვეთ რკანის ლურსმანი (სიგრძე 3 სმ)¹⁸, რომელიც, შესაძლებელია, სამარხეში ხის ნაწილების შესაკავშირებლად იყო გამოყენებული. მას ბრტყელი, მომრგვალებული თავი აქვს; უანგისაგან რუხი-მოყავისფრო ფერისაა. თხრილის გაფართოების დროს ვიპოვეთ მინის ნატეხი¹⁹. მინა უფერულია, ეტყობა

¹⁷ Н. В. Х о ш т а р и а, Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 году, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვები, II, თბ., 1959, გვ. 149—161.

¹⁸ ინ. № 07:6:74:134 — 07 განის ნაქალაქარის ნომერი, ხოლო 6 — მთისძირის.

¹⁹ № 07:6:74:133.

ხეხვის კვალი და თითქმის არ არის ირიზებული. მინის ეს ნატეხი რაღაც ჯამისა უნდა იყოს და, ალბათ, აქ უფრო გვიან არის მოხველრილი.

სამარხის მახლობელი ტერიტორიის გამოკვლევის მიზნით თხრილი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გავაგრძელეთ. მასალა თითქმის არ დადასტურდა. აღმოჩნდა მხოლოდ ბათქაშები, რომლებსაც ცეცხლის მოქმედების კვალი ეტყობა. ერთ-ორ ბათქაშე შეიმჩნევა ხის წულის ანაბეჭდი. აღმოჩნდა იგრეთვე დანახშირებული ხის ფრაგმენტები. შესაძლოა, ეს მართლაც ერთ-ერთი დადასტურება იყოს სამოსახლოსთან ცალკეული სამარხების არსებობისა.

წაბლა ლელეშივე გავთხარეთ მეორე თხრილი. ეს თხრილი დახსლოებით 300 ნაბიჯით არის დაშორებული 1952 წელს შემთხვევით ნანახი სამარხიდან. იგი თითქმის გორის ძირშია გატრილი, ტერასაზე. ამ თხრილში სტრატიგრაფიის დადგნა არ მოხერხდა, რადგან მიწა ჩამოშვავებული აღმოჩნდა. სამაგიერო აქ დადასტურდა ე. წ. აღრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკის ნატებები.

საერთოდ, მთისძირის მთელი ტერიტორია, რომელიც მოქცეულია გორებზე და მათ შორის, ძალის დაზიანებულია ეროშით. მაგალითად, ადგიშვილების გორა იმდენად არის ჩამოშვავებული და დაშლილი, რომ ზოგიერთ ადგილზე კორდოვანი ფენა გადაცლილი აქვს და მოჩნდა შიშველი დედაქანი.

დედაქანი სოფ. მთისძირში მოყვითალო-მონაცრისფრო ფერისაა და უმეტეს შემთხვევაში შედგება წვრილი ქვების გამაგრებული ნაერთისაგან (კონგლომერატი). ამგარი ადგილობრივი ქანქიდან მოჭრილი ქვები შეიმჩნევა სოფ. მთისძირში აღმოჩნდნილ სამშენებლო მასალაში. როგორც ჩანს, იგი უზვად გამოიყენებოდა სამშენებლო მიზნებისათვის. ადგილობრივი წარმოშობის წვრილი კენჭები ზოგჯერ თვით სამშენებლო კერამიკის (კრამიტი, ავური), ან სხვა კერამიკის თიხაშიც გვხვდება. თითქმის მთელი „მთისძირის“ ტერიტორია მოფენილია ბათქაშის ნატეხებით, რომელთა შემადგენლობაშიც აშკარად ჩანს ადგილობრივი კონგლომერატი. ბათქაშის ნატეხებს ეტყობა ცეცხლის კვალი.

„ადგიშვილების“ გორის სამხრეთით, „გეფერიძეების ნამოსახლარზე“ გაიჭრა ათი თხრილი. ამათვენ ყველაზე ორმა გამოვიდა № 1 თხრილი, სადაც დედაქანი მიწის ზედაპირიდან 2,30 მ-ის სიღრმეზე იყო, ხოლო მიწის ზედაპირიდან ყველაზე ახლოს დედაქანი გამოჩნდა № 3 თხრილში (0,35 მ). ამ თხრილში კერამიკული მასალაც თითქმის სულ არ დადასტურებულა, ხოლო დანარჩენ თხრილებში

კერამიკა და ლითონის ნივთების ფრაგმენტები აღმოჩნდა. აქაც, ისე-ვა როგორც წაბლა ლელეში, სტრატიგრაფიის დადგენა არ მოხერდა. მიწა დამეტყრილი და გადაადგილებული იყო.

„გეფერიძეების ნასახლარის“ ათი თხრილიდან ორი გავჰერით იმ ადგილზე, სადაც ანაკრეფი კერამიკის მიხედვით ე. წ. წინარეანტიკური ხანის მასალა გვეგულებოდა. ეს ადგილი „გეფერიძეების ნამოსახლარიდან“ გეფერიძეების ლელისკენ მიმავალ გზაზეა. აქედან მომდინარე არქეოლოგიურ მასალაში დიდი ადგილი უკავია კანელურებიან, სამკუთხედებიან და კოპებიან შავპრიალი კერამიკას.

ოთხი თხრილი თვით „გეფერიძეების ნამოსახლარზე“ გავჰერით. ეს ადგილი მოპავებული მასალის მიხედვით ძველ სამაროვანს უნდა წარმოადგენდეს. აქ დადასტურდა ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელი მასალა.

№ 2 თხრილის ჭრილში გამოჩნდა ორი ორმოს კვალი. ეს ორმობი ქვევრისთვის სპეციალურად ჩატრილს ვავს. ამასთანავე, ამ თხრილშივე ვიპოვეთ ისეთი ნივთები, რომლებიც ქვევრსამარხებისთვის არის დამახასიათებელი. სამწუხაროდ, ხსენებული სამაროვანი განადგურებულია, რადგან აქ გეფერიძეების სამოსახლო იყო და სამარხები მიწის დამუშავების დროს დაინგრა. როგორც ჩანს, მიწის დამუშავების დროს ფარცხავლენენ და ანთავისუფლებდნენ ქვებისაგან, კრამიტისა და კერამიკის ნატეხებისაგან; ხოლო შემდევ ამ ნატეხებს ერთ ადგილზე აგროვებდნენ. „გეფერიძეების ნამოსახლარზე“ დადასტურებულია რამდენიმე ასეთი ნაყარი გროვა.

შედარებით უკეთ იყო შემონახული „გეფერიძეების ნამოსახლარიდან“ ჩრდილო-დასავლეთით, „ნაბამბევის“ გორის შინ, „ნიკურაძეების უბანთან“ ჭერ კიდევ 1958 წ. შემთხვევით ნაპოვნი ქვევრსამარხები. ქვევრსამარხები შემთხვევით უპოვნია კოლმეურნე შოთა ნიკურაძეს, წყალსაწრეტი არხის გაჭრის დროს,

„მთისძირის“ გორის წვერის პლატოზე გავჰერით № 13 თხრილი. კორდოვანი ფენის აღების შემდევ გამოჩნდა ცეცხლისავაზ გადაწითლებულ-გადაშავებული ბათქაშის ნატეხებიანი მიწა. ამ თხრილში აღმოჩნდა დანახშირებული ძელების ნაშთებიც. ბათქაშიანი ფენის უკეთ გამოვლენის, მისი გავრცელების საზღვრების დადგენის მიზნით თხრილი გავათაროვეთ (3 მx6 მ). ბათქაშიანი ფენა თხრილის მთელ ფართობზე ერთნარი ინტენსივობის არ გამოდგა. იგი თხრილის დასავლეთ მხარეს შეთხელდა და გაქრა, ხოლო სამხრეთის მხარეს გორის ფერდობისკენ გადის და იქ წყდება (ბათქაშ-ძელებიანი ფენის მაქსიმალური სისქე 30 სმ-მდე აღწევს). საფიქრებელია, რომ

აქ საქმე ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობის ნაშთებთან გვაქვს. ცდა — დაგვედგინა ნაგებობის გეგმარება, უნაყოფო აღმოჩნდა. ბათქაშის ნატეხებიანი ფენის პრეპარაციის დროს დადასტურდა ელანისტური ხანის ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა. კერამიკას ცეცხლის მოქმედების კვალი ეტყობა. ნაგებობა აქვევა ჩაქცეულა. ბათქაშიანი ფენის მომდევნო, მოყვითალო-მონაცრისფრო ფენაშ არავითარი კულტურული ნაშთები არ მოგვცა. ეს ფენა უშუალოდ კლდოვან დედაქანზე დადიოდა (სისქე 25 სმ-მდე).

„ადეიშვილების“ გორაზე, აღმოსავლეთ ფერდობის ზედა ტერა-საზე, წვერიდან დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის დაშორებით (№ 11 თხრილი) დადასტურდა მძლავრი კულტურული ფენები. განთხარში კულტურული ფენები აღმოჩნდა (სტრატიგრაფიულ ჭრილში) დაწყებული კორდოვანი ფენიდან დედაქანამდე. ქრისტიანობის ფენები და მონაცევის მოიცავენ — აღრეული შუა საუკუნეებიდან ე. წ. წინარეანტიკურ ხანამდე და გამოირჩევიან მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

შეთერთმეტე თხრილი, რომელშიც ჯერ კიდევ 1975 წელს გამოვლინდა ნაგებობის ნაშთები, 1976 წელს გახდა ამ აღვილის ფართო არქეოლოგიური შესწავლის მიზეზი. გაითხარა 350 კვ. მ ფართობი, სადაც კულტურული ფენების სიღრმე ზოგან 3,50 მ აღწევს. ხევნებული ფართობი დაფარული იყო ხშირი ბუჩქნარით, რაც თხრის დროს გარკვეულ სინდელს ქმნიდა. აქ კულტურული ნაშთები მიწის ზედაპირზე იყო ამოსული, რაც იმით აისხნება, რომ ვიღრე აქ ბუჩქნარის საფარი გაჩნდებოდა, სოფ. მთისძირელებს ვენახი პქონდათ გაშენებული და მიწას აბრუნებდნენ.

ქვემოთ მოცემულია ამ განათხარის კულტურული ფენების აღწერა თანმიმდევრულად ზემოდან ქვემოთ: განათხარის პირველი კულტურული ფენა შეიცავს კორდოვან, ჰუმუსნარევ მოშავო და მის ქვემოთ მოყვანისფრო-ყვითელი ფერის წვრილ ქვებიან ნიადაგი. ჭრინოლოგიურად ეს კულტურული ფენა აღრეული შუა საუკუნეების, გვიანანტიკური და ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალის შემცველია. ზედა (პირველი) კულტურული ფენა (არეულია) წარმოიშვა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბორცვ-გორის თავზე არსებული ნაგებობები და გაინგრა და გადმოიშალა „ადეიშვილების“ გორის უერდობებზე. აქ ზედა კულტურული ფენის წარმოშობას საუკუნეების განმავლობაში მიწის დაცურება-გადაადგილებამაც შეუწყო რამდენადმე ხელი. ხსენებული კულტურული ფენა გორის წვერისკენ 45 სმ შეადგნს, ხოლო ძირისკენ სისქე კლებულობს 29 სმ-მდე (სურ. 9).

პირველ და მეორე კულტურულ ფენებს შორის არის მოშავო შემწის სტერილური შრე, რომელიც ჩამორეცხვების შედეგად წარმოიქმნა. ამ შრის კერძიშვილი მეორე კულტურული ფენი, რომელსაც ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა, სულ გადაწილებულ-დანახშირებულია. ეს კულტურული ფენა შედგება მოყვითალო-შავი მიწისაგან (შეორე კულტურულ ფენაში შემორჩენილია ნაგებობის ნაშთები in situ მდგომარეობაში). მეორე და მესამე კულტურულ ფენებს შორის სტერილური ფენა თითქმის არ შეიძინება. მესამე კულტურული ფენა შედგება შავი მოყვითალო მიწისაგან, რომელიც დედაქანიდან გამოყოფილია წებოვანი თიხა-მიწით. ამ ფენაში, მეორე ფენისაგან განსხვავებით, ბათქაშები არ არის. სამაგივროდ ადგილ-ადგილ ჩანს ნახშირის კვალი და წილების ნაღვენთები. აქვე დადასტურდა რაღაც დანგრეული ნაგებობის კვალი, რომლის ქვებიც, ალბათ, გამოიყენეს მეორე კულტურული ფენის ნაგებობის ასაგებად.

ადეიშვილების გორის ფერდობებზე დადასტურებულმა ზედა კულტურულმა ფენამ და ანაკრეფტმა არქეოლოგიურმა მასალამ იმ დრასკნამდე მიგვიყვანა, რომ გორის თავზეც რაღაც მოზრდილი ნაგებობები უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენი შემდგომი მუშაობა ამ მართულებით წარვმართეთ.

1976 წელს ადეიშვილების გორის წვერის პლატოზე № 12 თხრილში აღმოჩნდა აღრეული შუა საუკუნეების ნაგებობის ნაშთები. 1977 წელს კი ვაკთხარეთ ადეიშვილების გორის წვერის თითქმის მთელი პლატო. გაითხარა 635 კვ. მ. ფართობი. პლატო დაფარული იყო ხშირი, გაუვალი ბუჩქნარით. მისი გულდასმით დათვალიერების შემდეგ ალაგ-ალაგ მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა კედლის ნაშთები.

ფენები № 12 თხრილში შემდეგნაირად იყო განლაგებული: პირველი კულტურული ფენა წარმოდგენილია ე. წ. გვანანტიკური და აღრეული შუა საუკუნეების კულტურული ნაშთებით. ამ კულტურული ფენის სიღრმე 1,30 მ აღწევს, ხოლო ზოგან 0,35 მ-ზე წყდება მიწის ზედაპირიდან. დედაქანი (თირი) ხანდახან თითქმის მიწის ზედაპირზე ამოსული. ამ კულტურული ფენის კორდოვანი საფარი შავი მოყვითალო ფერისაა, წვრილი კენჭების მინარევით; შიგ გვხვდება კერამიკული ნაშთები. კორდოვანი საფარის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა კირხსნარიანი კედლების ნაშთები. აქ ნიადაგი შავი მოყვითალო ფერისაა (პირველ კულტურულ ფენაში დადასტურდა კირხსნარით ნაგები შენობის ნაშთები in situ მდგომარეობაში).

მეორე კულტურული ფენა, რომელიც მდებარეობს პირველ კულტურულ ფენებსა და დედაქანს (თირი) შორის, ხასიათდება ე.წ. ელინისტური და ადრეანტიკური ხანის ნაშთებით. მისი სისქე ზოგჯერ 30 მმ აღწევს. ნიადაგი ზედა ფენებსთან შედარებით უფრო მოშავო ფერისაა და კენჭებს არ შეიცავს.

კულტურულ ფენებში ყველაზე მრავალრიცხოვნად წარმოდგენილია კერამიკული ნაწარმი. იგი სხვა სახის არქეოლოგიურ მონაცემებთან (მაგ., სტრატიგრაფიულ) ერთად წარმოდგენას გვიჩნის „მთისძირის“ ძველი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე, სამინაო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობაზე. სოფ. მთისძირში აღმოჩენილი კერამიკა დანიშნულების მიხედვით ნაწილდება — საოჯახო, სამეურნეო, ტარა და სამშენებლო. მათში გამოიყოფა ადგილობრივი და შემოტანილი კერამიკა. სამშენებლო კერამიკა სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე წარმოდგენილია კრამიტით და აგურით. ისინი განსაკუთრებით ბევრია ადეიშვილების გორაზე და მის აქლომახლო. კრამიტი ელინისტური და ადრეული შუა საუკუნეებისაა, ხოლო აგური — ადრეული შუა საუკუნეების.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე გატრილი ყველა, თხუთმეტივათხრილის არქეოლოგიური მასალა ერთმანეთის სინქრონულ-იდენტურია და მთში აურეველი ფენების მონაცელეობაც ერთნაირია.

ზემოთ აღწერილ სტრატიგრაფიული ჭრილების საფუძველზე მთელი „მთისძირის“ ძველი სამოსახლოს სტრატიგრაფიული ჭრილი ზოგადად ასეთია (დამეტყრილი ადგილების გარდა):

1. კორდოვან-ჰუმუსური ფენა; მოშავო-მოყვითალო ფერისაა და წვრილ ქვებიან ნიადაგს შეიცავს. ქრონოლოგიურად ეს ფენა ძირითადად ადრეული შუა საუკუნეების, გვიანანტიკური და ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალების შემცველია. ამ ფენის მაქსიმალური სიმძლავრე დაახლოებით ერთი მეტრია.

2. მოშავო-ყავისფერი ფხვიერი ნიადაგი. იგი წვრილ კენჭებს ნაკლებად შეიცავს. ქრონოლოგიურად ამ ფენაში გვხვდება ელინისტური ხანის და ძირითადად ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა. ამ ფენის მაქსიმალური სიმძლავრე დაახლოებით 1,50 მ აღწევს.

3. შავი წებოვანი თიხნარი ნიადაგი (კარგი მასალაა კერამიკის წარმოებისათვის), რომელიც უშუალოდ დადის დედაქანზე. ეს ფენა კულტურულ ნაშთებს ნაკლებად შეიცავს. მისი სისქე დაახლოებით 40 მმ არ აღემატება.

4. დედაქანი, რომელიც მთისძირში რბილ კლდეს (თირი) წარმოდგენს, მოყვისფრო-ყვითელი ფერისაა.

სოფ. მთისძირში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე და უახლესი არქეოლოგიური მასალის მოშევრიებით, ძველი „მთისძირის“ განვითარების ქრონოლოგიური ეტაპები ზოგადად ასე წარმოგვიდგება (მართალია, მათში შეინიშნება ზოგიერთი ქრონოლოგიური ტეხილი):

I — ძვ. წ. VII—VI სს.;

II — ძვ. წ. V—IV (ვირველი ნახევარი) სს.;

III — ძვ. წ. IV (მეორე ნახევარი) — I სს.;

IV — ახ. წ. I—VIII სს.

თ ა გ ი მ ი ს ი რ ი

სოფ. მთისძირი ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე ჭრილებით მოსახლეობის კვალი დაახლოებით ძვ. წ. VIII ს. ჩანს. ამას მოწმობს ამ ხანის კერამიკა, რომელიც დღემდე ცოტაა ნანახი „გეფერიძეების ნამოსახლარზე“. ის სულ ცხრა ცალი, ე. წ. ზოომორფული ყურით, ოცდაათამდე ქოთნის ორნამენტირებული და რამდენიმე შავპრიალა ნატეხით არის წარმოდგენილი. მათი თიხა მოყვისფრო-ნაცრისფერია და საკმაოდ კარგად არის განლექილი. ყურების რქისნარი შევრილები ბოლოებმოკვეთილია. ყურები დაწახნავებულია. სამწუხაოოდ, კერამიკის ეს ფრაგმენტები ან ანაკრეფი მასალიდან, ან კიდევ არეული (დამეტყრილი) ფენიდან არის. ამიტომ მათი დათარილება მხოლოდ პარალელური არქეოლოგიური მასალით ხერხდება. ამგვარი წაკვეთილი რქისნარი შევრილებიანი დაწახნავებული ყურები, კერამიკის ნატეხებზე ფიქსირებული ორნამენტი — ღრმა კანელურები, კოპები და სხვ. ზოგადად სინქრონულ-ანალოგიურია დაბლაგომის ქვედა (ნაწილობრივ შუა)¹, ნოსირის² და ნაოხვამუსა ზედა ფენის არქეოლოგიური მასალისა.

¹ Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхида, т. II., Тб., 1950, таб. 36; ვ. თოლორ დავით, არქეოლოგიური ვათხები დაბლაგომში 1973—1974 წლები, კრებ. ვანი III, თბ., 1977, სურ. 57.

² ღ. ქორიძე, ნ. გოგაძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, კრებ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ. 31—51, ტბ. VIII.

³ Б. А. Куптина, Материалы..., т. II, таб. 55, 57.

სოფ. მთისძირის ახლომახლო მასზე უფრო ძველი ნამოსახლარების ნაშთები მხოლოდ სოფ. დაბლაგომში (დაბლაგომის ქვედა და შუა ფენები) არის დაფიქსირებული. ამიტომ შესაძლოა, რომ „მთისძირში“ მოსახლეობა „დაბლაგომიდან“ გაღმოსახლებულიყო. ეს გადმოსახლება შეიძლება „დაბლაგომის“ სამოსახლოზე მოსახლეობის მატებით იცხისას, რასაც, ბუნებრივია, მოჰკვა ახალი, დასასახლებლად მოხერხებული ადგილ-მიწების დაკავება (ამ შემთხვევაში „მთისძირის“ ტერიტორიის).

ძველი „მთისძირის“ ცხოვრების პირველი პერიოდის ამსახველი (ძვ. წ. VII-VI სს.) აქეოლოგიური მასალა ძირითადად აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორაზე და მის ძირში „გეფერიძეების ნამოსახლარზე“ (ქვედა კულტურული ფენი). ამ პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების დასადგენად ძირითადად კეცირდნობით „მთისძირის“ ნამოსახლარის სტრატიგრაფიულ მონაცემებს, რომელიც ყველაზე გამოკვეთილად № 11 თხრილის ნაგებობებზე დაკვირვებისას ჩანს (ქვედა ფენი). მათ კერამიკის შემჩნევა რიგი განსხვავებისა. ეს განსხვავებებია — დაბალი კანელურებით, კოპებით ან აღმოჩნდული რომბული ორნამენტით შემკული კერამიკა; აქ ერთ აურეველ ფენაში გვხვდება, ერთის მხრივ, ე. წ. წინარენტიკური ხანის კერამიკისთვის დამახასიათებელი კლემენტები, ხოლო მეორეს მხრივ, ე. წ. ადრეანტიკური ხანის კერამიკის დამახასიათებელი ნიშნები. ამ ფენაში აღმოჩნდა ადრეული ქიოსური ამფორის ძირიც (ინვ. № 07:6:74:2).

ძველი „მთისძირის“ სამოსახლოს საწყისი ხანა წარმოდგნილია ძირითადად კერამიკით და ნაგებობის ნანგრევებით (№ 11 განათხარის III კულტურული ფენი). ამ ნაგებობასთან დადასტურდა ჩაინის წარმოების ნაშთები. როგორც ჩანს, ამ ხანის სამოსახლოს ძირითადად „ადეიშვილების“ გორა და მისი მიმდებარე პატარა ტერიტორია ეჭირა. აქედან მომდინარე, ძვ. წ. VII-VI სს. არქეოლოგიური მონაცემები არ არის საკმარისი ამ პერიოდის სამოსახლოს ხასიათის დასადგნად. საფიქრებელია, რომ აქ იყო სოფლური დასახლება, რომელიც „ადეიშვილების“ გორის ტერასებზე იყო განლაგებული, ხოლო გორის ძირი, მიმდებარე ფართობს („გეფერიძეების ნამოსახლარი“) კი უფრო სამეურნეო მიზნებისთვის იყენებდნენ.

ფრიად საინტერესო „ადეიშვილების“ გორის (№ 11 განათხარზე) ქვედა ფენაში აღმოჩნდილი ნაგებობა. იგი თითქმის მთლიანად განადგურებულია. ეს ნაგებობა დგას ზედა ტერასაზე. ნაგებობისაგან მხოლოდ ფლეთილი ქვიშაქვით ნაგები კედლის ნაშთებია შემო-

ჩენილი. კედლის სიგანე დაახლოებით 1,20 მ-ია. კედელი ისეა მორკალული, რომ წრიული ნაგებობის ნაშთებს ჰგავს. შუა კულტურული ფენის ნაგებობისაგან განსხვავებით ამ კედლის ქვებს ცეცხლის კვალი არ ემჩნევა. ნაშალ კედელთან ახლოს, ნაცრიან მიწაში აღმოჩნდა რკინის წილები — ნაღვენთები — ქიმიურ-მეტალურგიული ახალი ზის შედეგად დადგინდა, რომ ცეცხლში შემთხვევით მოხვედრილი ლითონი (რკინა) ასე არ გალოვებოდა (წილების ანალიზი ჩატარდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ინანიშვილის ხელმძღვანელობით), მთი უმეტეს, რომ კედელზე ცეცხლის კვალი არ ჩანს.. შესაძლოა, რომ აქ ლითონის სამჭედლოს დანგრეულ ნაშთებთან გვაქვს საქმე. საინტერესო კერამიკული ნივთი აღმოჩნდა აქვე. ეს არის მსხლის ფორმის ორად გაჭრილი გამომწვარი თიხის გუნდა. ორივე ნახევარს ბრტყელ ზედაპირზე ღრები ემჩნევა (ინვ. № 07:6:76:33) (სურ. 40). ნივთის თიხა აგურისფერია, კირქვის მინარევებით; ადგილობრივია. საფიქრებელია, რომ ეს გაჭრილი გუნდა რაღაც ჩანგლისებური ნივთის ყალიბი იყოს.

ძდ. რომნის შუა წელზევე, რომელიც დაცილებულია მეტალურგიის ხელდეულის რაიონებს (აჭარა, აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა)⁴, სოფ. მთისძირის გარდა ლითონის წარმოების ნაშთები აღმოჩნდა ქუთაისის მიდამოებში, დაბლაგომში, დათვარში (იხ. ზემოთ). საფიქრებელია, რომ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში რკინას „მუშავებდნენ“ რკინის ნედლეულის რაიონებიდან დაცილებულ ადგილებშიც. „ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდა შინა ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისათვის“ კოლხეთში⁵. რკინაზ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოების ისტორიაში. მან „შესაძლებელი გახადა მემინდვრეობა ვრცელ ფართობებზე, ტყით დაფარული დიდი ადგილების გაკაფვა და დამუშავება“⁶ (წერილობითი წყაროების მიხედვით კოლხეთი განთქმული იყო ტყეებით, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ სამშენებლო მასალად და სხვა ქვეყნებშიც გავქონდათ).

* ი. ა. გრძელიშვილი, ჯელიპლავილое производство в древней Грузии, Тб., 1964; დ. ა. ხაխუაშვილი, К истории древнеколхской металлургии железа, сб. Вопросы древней истории, Тб., 1973, с. 170—179.

5 თო. ლორთქიფანიძე, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საქოთხი, საქართველოს მეცნ. აკადემიის უურნალი „მუცნე“, 1976, № 2, გვ. 118—119.

6 ფ. ენგელსი, ოქანის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 223.

„რეინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მჭრელი იარაღი მისცა, რომელ-
საც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროის ცნობი-
ლი სხვა ლითონი“⁷.

„მთისძირის“ შინა (კოლხეთის) ეკონომიკურ და საფაქტო კავში-
რებზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე კერამიკის ერთი ჯგუფი, რომე-
ლიც რამდენადმე განცალევებით დგას მთისძირში აღმოჩენილი
შურქლისაგან. მათში არის დერგის ნატეხებიც, რომელიც, აღმათ,
გადასატან ტარად გამოიყენებოდა. ამ კერამიკის თიხა ძალიან ქარს-
ნარევია და მოთეთრო-ნაცრისფერია. ქარსის მარცვლების სიმრავ-
ლისაგან შურქლის ზედაპირი ბზინავს. სხვა მხრივ კერამიკის ეს
ჯგუფი იგივე ფორმებს და ორნამენტს იმეორებს, რაც დამახასიათე-
ბელია ადგილობრივი (კოლხური) კერამიკისათვის. თიხის ამ განსხ-
ვავებამ გვაიფიქრებინა, რომ კერამიკის ეს ჯგუფი შემოტანილა კოლ-
ხეთის კერამიკული წარმოების სხვა ცენტრიდან. მაგალითად:

1. დერგის პირ-კედლის და ყურის ნატეხი (ინვ. № 07:6:76:153; პირის დმ — 34 სმ; კედლის სისქე — 9 მმ). ყური ე. წ. ზოომორფუ-
ლია და ოვალურგანიკვეთიანი; პირის გვირგვინი გარეთ არის გად-
მოხრილი და ოთხკუთხაგანიკვეთიანია; ცილინდრული ყელი ფარ-
თო ღარებითაა შემკული. დერგის კორპუსი კანელურებითაა დასე-
რილი.

2. წრიული ხუფის ნატეხი (ინვ. № 07:6:76:120; დმ — 9,8 სმ;
სისქე — 9 მმ). ხუფი ზემოდან შემკულია დაშტრიხული სამკუთხე-
დებით.

3. ქოთნის ძირ-კედლის ნატეხი (ინვ. № 07:6:76:294; ძირის დმ —
14 სმ; კედლის სისქე — 6 მმ). ქოთნის ძირი ბრტყელია, კედლები
ძირისქენ დახრილია; შემკულია დაბალი კანელურებით, რომლებიც
უშუალოდ ძირამდე არ ჩამოდის, ხოლო ძირთან წნევით გამოყვანი-
ლი ირგვლივ ზოლები აქვს.

სოფ. მთისძირის ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩენილი კერა-
მიკა გარკვეულ წარმოდგენას გვიჩვინის ძვ. VII-VI საუკუნეების
„მთისძირის“ ხელოსნობის ისეთი დარგის შესახებ, როგორიც არის
მეთუნეობა. აღნიშნული დროის ადგილობრივი კერამიკოსების ნაწა-
რმში შეიძლება გამოიყოს შურქლის ჩამდენიმე ჯგუფი:

ძველი „მთისძირის“ ამ პერიოდის ქოთნები ძირითადად ერთნაი-
რია, მაგრამ მათ შორის მაინც გამოიყოფა ორი ტიპი: ერთი — მოკ-
ლე ყელიანი, ძირისქენ დავიწროებული, ხოლო მეორე — უფრო კას-

⁷ ფ. ენ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების, და სახელმიწოდოს წარმოშო-
ბა, 1953, გვ. 223.

ნის ფორმისა. ორივეს დამახსიათებელი ნიშანია კანელურებით შემ-
კობა. მოვიყვანთ მაგალითებს: ა) ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი
(ინვ. № 07:6:76:134; პირის დმ — 16 სმ; კეცის სისქე — 6 მმ); პი-
რის კიდე სადაა; ყელი მოკლე; შემკულია ოდნავ ირიბი კანელურე-
ბით. კედელი ძირისქენ ვიწროვდება. ბ) ქოთნის პირ-კედლის ფრაგმე-
ნტი (ინვ. № 07:6:76:130; პირის დმ — 15 სმ; კეცის სისქე — 5 მმ); პირის
კიდე სადაა; ყელი მოკლე; შემკულია კანელურებით. კედელი ძირის-
ქენ ვიწროვდება. გ) ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი წაკვეთილბო-
ლოებანი ე. წ. ზოომორფული ყურით (ინვ. № 07:6:76:175; პირის
დმ — 15 სმ; კეცის სისქე — 6 მმ); პირის კიდე სადაა; ყელი მოკლე;
შემკულია კანელურებით. კედელი ძირისქენ სწორად ჩადის. დ) ქოთ-
ნის პირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:167; პირის დმ — 17
სმ; კეცის სისქე — 4 მმ); პირის კიდე სადაა; ყელი მოკლე; შემკუ-
ლია კანელურებით; კედელი ძირისქენ სწორად ჩადის. ე) ქოთნის
ძირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:80; ძირის დმ — 10 სმ;
კეცის სისქე — 4 მმ); ძირი სადაა, ბრტყელი; კედლები ძირისქენ ვი-
წროვდება; შემკულია კანელურებით (სურ. 12, 13).

აღმოჩენილი ქოთნების თახა მოყავისფრო-რუხადა გამომწვარი.
შერეული აქვს კირქვის და პიროქსენის წვრილი ნამცეცები.

სამეურნეო კერამიკიდან აღმოჩენდა დერგის ფრაგმენტები. ისინი
ძირითადად ორი ტიპისაა:

1. მოკლე ყელიანი; ფართო პირიანი; გვირგვინი სადა აქვს,
პირის კიდე ოდნავ გადმომლილია.

ა) მაგ.: პირ-კედლის ნატეხი (ინვ. № 07:6:76:251; პირის დმ —
31 სმ; კეცის სისქე — 12 მმ); პირის კიდე სადაა და თხელი; ყელი
მოკლე; შემკულია არალრმა კანელურებით. ბ) ძირისა და კედლის-
ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:251; 251 ძირის დმ — 28 სმ; კეცის სისქე —
12 მმ)); ძირი ბრტყელია; კედლები ძირისქენ დახრილია. შემკუ-
ლია არალრმა კანელურებით.

2. ამ ტიპის დერგები პირველთან შედარებით გრძელყელიანია.
პირის კიდე პირითხონტალურად არის გარეთ გაღმოხრილი. გვირგვინის
გარე მხარეზე რომბული ბადე აქვს. ნაპოვნია სულ 5 ნატეხი. ა) მაგ.:
დერგის პირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:218; პირის დმ —
42 სმ; კეცის სისქე — 14 მმ).

დერგების ფრაგმენტების თახა უმეტესად მოყავისფრო-რუხი ფე-
რისაა და შავზედაპირიანია. ისინი შემკულია ან კანელურებით, ან
კოპებით. მხოლოდ სამ შემთხვევაში აღმოჩენდა კედლის ნატეხებზე
ორივე მორთულობა ერთად.

4. გ. გამყრელი

სუფრის კერამიკიდან აღმოჩნდა დოქის ფრაგმენტები.

1. ლოქის პირ-ყელის ფრაგმენტი (მაგ.: ინვ. № 07:6:76:22); ყელ-თან აქვს კოპი.

2. ყურმილიანი ღოვებს ყურმილის ნატეხი (მაგ.: ინვ. № 07:6:76: 210). ორივე ფრაგმენტი ყავისფრადაა გამომწვარი და შავზედაპირიანია. თხხაში შეიმჩნევა კირქვის და პიროვნების ჭარბობი ნატეხები.

ზემოთ აღწერილი კერამიკა უმეტეს შემთხვევაში შავზედაპირიანია და შემკულია ამოღარული სარტყლებით, გაპრიალებული ზოლებით, კანელურებით, კოპებით, ორმაგი წრეებით⁸. ხშირად გვხვდება კ. წ. ზომომორფული ყურები. ამგვარი კერამიკა გვხვდება, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს კ. წ. წინარეანტიკური და აღრეანტიკური ხანის ძეგლებზე: დაბლაგომში⁹, ნოსირში¹⁰, ჭალადიდში¹¹, დათე-შიძეების გორაზე¹², ნაოხვაშუზე¹³, ფიჭვნარში¹⁴ და სხვ.

უცხოური მასალიდან ამ დროის „მთისძირის“ ნამოსახლარზე დადასტურდა აღრეული ქიოსური ამფორისნაირი ერთი ქუსლი (ინვ. № 07:6:74:2). იგი ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა და ღრმა ფოსიონანია. ოქა კარგად არის განლექილი და ლია მოყავისფრო-აგურისფრად არის გამომწვარი. ეს ამფორა, რომლის ფრაგმენტები შემორჩენილია სოფ. მთისძირში, შეიძლება იყოს აქ შემოტანილი უცხოური კერამიკის ყველაზე აღრეული ნიმუში. სოფ. მთისძირში ამმოჩენილი

⁸ Зо3., 063. № 07:6:76:117, 157, 87, 53, 140, 119, 25, 51, 144, 118, 83.

⁹ შრ. ბ. ა. კუფთინ, დას. ნაზრ., 83. 123—124; ვ. ოქლორდვავა, დას. ნაზრ., გვ. 48—67.

¹⁰ დ. ქორიძე, ე. გაგოშიძე, ნისირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. ქრებ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., ვე. 31—51, ტაბ. VIII.

¹¹ თ. მიქელაძე, არქოლოგიური კვლევა-ძეგბა ჩოხნის ქვემო წილზე, თბ., 1978, გვ. 21—82.

¹³ Б. А. Куфтин, Материалы т. II с. 188—192.

14. ლ. ფუთუ ტ. ძ. ქ. ა. კახ ძ. გ. დ. კუჭიშვილი 1964 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, თეზისება — XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წ. საველა-არქეოლოგიური კვლევა-მიზის შედეგებისადმი, თბ., 1965, გვ. 52—53; ა. რამიშვილი, ფიქცინარის ზღვისპირა საცდომების დათარიღებისთვის, საქართველოს სსრ მცცნ. კულტურის უზრუნველის „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1972, № 2, გვ. 104—111.

ქოსური ამფორების სხვა ფრაგმენტები (მაგ.: № 07:6:75:76; № 07:6:74:107) განეკუთვნება მოგვაანო ქიოსურ ამფორებს. ამ პერიოდის ქიოსური ამფორები რამდენადმე განსხვავდება წინა ხანის ამფორებისაგან. მათ ძირს უფრო ცილინდრული მოყვანილობა ეძლევა, ხოლო ფოსო უფრო ფართოა და დაბალი. ამფორის ქუსლუ ჩნდება წიბო. ქიოსური ამფორები კოლხეთის ტერიტორიაზე ბევრავან არის აღმოჩენილი¹⁵.

ძველი „მთისძირის“ ასებობის პირველი პერიოდის სამოსახლო, რომელიც ოლბათ მცირე სოფლურ დასახლებას წარმოადგენდა, ვრცელდებოდა „აღეიშვილების“ გორაზე და მის მიმდებარე „გევა-რიძების ნასახლარის“ ნაშილზე. ჩანს, აქ ამ დროს დიდი მოსახლეობა არ უნდა ყოფილიყო. მცი მიუხედავად, უდავო, რომ სამოსახლოს ცხოვრების პირველ პერიოდში აქ იყო კერამიკული სახელოსნო, სადაც ჭურჭელი სწრაფმბრუნვა ჩარჩხე მზადდებოდა. ამ დროის მიწურულისთვის ძველ „მთისძირში“ ლითონნდასამუშავებელი სახელოსნოც იყო.

თავი IV

ԵՐԵՎ. ԹԻԱՍՊՈՐՈ ԲՅ. Պ. Վ. Տ. ՀԱ Ա. ԿՈՒՅՈՒՆՅԱՆ

ძველი „მთისძირის“ სამოსახლოს ისტორიის მეორე პერიოდი
ქ. წ. V ს. და IV (პირველი ნახევარი) საუკუნეს მოიცავს. ამ პერიო-
დის ცალკე გამოყოფისას ვეურდნობოდით და ვითვალისწინებდით
სოფ. მთისძირის სტრატიგიზაციულ მონაცემებს და კერამიკულ მასა-
ლას. ყველაზე მეტიონდ და გამოხატულად ეს ჩანს „აღერიშვილების“
გორის ზედა ტერასაზე აღმოჩენილ ძელურ-ბათქაშიან ნაგებობაზე
დაკვირვებისას, რომელშიც დადასტურდა აღრეანტიკური ხანის მე-
ორე ნახევრისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი და უცხოური
ძერამია (წნევებით გამოყვანილი ხაზები, ბადისებური რომბული
ორნამენტი; ე. წ. ზოომორფულ ყურათან ერთად თანარსებობს და
თანდათან უფრო და უფრო ვრცელდება სადა ყურები; კერამიკის
ფორმები უფრო სტანდარტულ ხასიათს იღებს, ფენებში უკვე გა-

¹⁵ А. Г. Керамический горшок из глины с рельефным орнаментом. Страна происхождения неизвестна. Найден в Китае. Типология и хронология горшков из Китая. МИА, М., 1960, с. 74—78.

ცილებით ხშირად გვხვდება იმპორტული ნაწარმი — ატიკური, გვიან-დელი ქიოსური და მენდეს ამფორები. ამას აგრეთვე მხარს უჭერს ნაგებობის ღანგრევის დროის C¹⁴-ის მეთოდით განსაზღვრაც. სამოსა-ხლოს ცხოვრების მეორე პერიოდის ბოლოსთვის მთელ მის ტერი-ტორიაზე დასტურდება ნახანძრალი და დანახშირებული ფენები, რო-მლებშიც ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობის ნაშთებია დაფიქსირებული.

ყველაფერი ზემოთ თქმული თანხვდება ცენტრალურ კოლექტში არქეოლოგიური კელევის შედეგად შენიშვნული (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი) ახალი ნიშნების ჩასახვის, რაც შეიმჩნევა ნივთიერ კულ-ტურაში. ვფიქრობ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქმაო საფუძველს იძლევა, ძველი „მთისძირის“ ცხოვრებაში ძვ. წ. V ს. და IV ს. პირვე-ლი ნახევარი ცალკე პერიოდად გამოყოფოთ.

ძველი „მთისძირის“ ისტორიის მეორე პერიოდის ამსახველი (ძვ. წ. V ს.-IV ს. პირველი ნახევარი) არქეოლოგიური მასალა ძი-რითადად აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორაზე, „გელერიძების“ ნა-მოსახლარზე¹, „მთისძირის“ გორაზე, „ნაბამბევის“ გორის აღმოსავ-ლეო ფერდობზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ხანის სამო-სახლო წინა ხანისაზე გაცილებით დიდია. აქ წარმოდგენილი არქეო-ლოგიური მასალა წარმოდგენას ვფიქრობ ძველი „მთისძირის“ მოსა-ლეობაზე და მათი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე — მოსახლეო-ბის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფარგლებზე, დასახლების წესზე, დამარხვის წესზე, მეთუნეობაზე და სავაჭრო ურთიერთობებზე.

1. სამოსახლო

„მთისძირის“ სამოსახლოზე ფრიად საინტერესოდ არის წარმოდ-გენილი დასახლების მოწყობა-გამართვის წესი.

„ადეიშვილების“ გორის, რომელიც ბუნებრივად წარმოქმნილ ბორცვ-გორის წარმოადგენს, ოვალური კონფიგურაცია აქვს და შედ-გება ორი ძირითადი ტერასისა და წვერზე არსებული პლატოსაგან. მას დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე ციცაბო ფერდობი აკრავს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ მხა-რებზე ტერასები დაუყვება. გორის სამხრეთი მხარე, სხვა მხარეე-ბთან შედარებით, აღრე გადადის დაბლობში. ამ დაბლობის ნაწილს დღევანდელი აღვილობრივი მოსახლეობა „გელერიძების“ ნამოსახ-ლარს“ უწოდებს.

¹ მ. ლორთქიფანიძე, განის ნახევარი (წერილი მეორე), კრებ. განვ. III, თბ., 1977, გვ. 19.

„ადეიშვილების“ გორისა და „მთისძირის“ გორის ჩამო-ლინება ვიწრო „გელერიძების“ ლელე. ეს ადგილი კლდეკარს გავს და იდვილად ჩასაკეტია. „მთისძირის“ გორი აგრეთვე ოვალური მო-უკანილობისა და შედგება ორი ძირითადი ტერასისა და წვერზე არ-სებული პლატოსაგან. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობები ციცაბო და მიუდგომელია. „ნაბამბევის“ გორია, რომე-ლიც აგრეთვე ლელეთია გმოყოფილ „მთისძირის“ გორისაგან, შე-დგება ერთი ძირითადი ტერასისაგან. ეს ტერასა გორის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს. საერთოდ, „ნაბამბევის“ გორი გაცილებით დიდია, ვიდრე „ადეიშვილების“ და „მთისძირის“ გორია. მასზე კულ-ტურული ნაშთები მხოლოდ აღმოსავლეთ ტერასაზე აღმოჩნდა.

ზემოთ ჩამოთვლილ ტერასებზე ნაგებობების ნაშთების დადა-ბრუება გვაძლევს მყარ საფუძველს ვიფიქროთ, რომ აქ სამოსახლოს ნაგებობები, წინა პერიოდით, ძირითადად ტერასებზე იყო განლაგე-ბული. როგორც ჩანს, ბორცვ-გორების ტერასებზე გამართული იყო გამაგრებული საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც ერთიან სასი-მაგრო ნაგებობას ქმნიდნენ. გორების მოხერხებული რელიეფი კარ-გად იყო გამოყენებული თავდაცვითი, გამავრებული ნაგებობების ასაგებად (მაგ. № 11 თხრილის შუა ფენის ნაგებობა). ასეთნაირი, ბუ-ნებრივი გორების ტერასებზე განლაგებული სამოსახლოების ნაშთები დადასტურებულია თითქმის მთელ — საჯავახოდან ვანამდე გაჭიმულ გორა-ბორცვებზე. იმდაგვარ ტერასებზე გამართული სამოსახლოები, ჩანს, ამ დროის კოლხეთისათვის ისევე დამახსიათებელია, როგორც ხელოვნურ (თხრილშემოვლებულ) ბორცვებზე აგებული სამოსახლოე-ბი, რომლებიც ბევრია იღმოჩენილი მდ. რიონის ქვემო წელზე და საერთოდ მთელ კოლხეთის დაბლობზე.

დასახლების ასეთი ტაბი დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ სამოსახლო ბორცვებზე განლაგებული ასეულო-ბით სამოსახლოს ნაშთებია დადასტურებული. მრავალრიცხოვანი სა-მოსახლო ბორცვებით, „ზურგებით“ და „დიხაგუშუბებით“ არის მოფენილი კოლხეთის დაბლობის როგორც ზღვისპირა ზოლი, ასევე შიდა მხარეც². მხარეთ ცოდნე ვ. გოგოლიშვილს შედგენილი აქვს მათი გავრცელების ამსახველი რუკა, სადაც ექვსასამდე ერთეულია დატანილი³. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისთვის

² ნ. ხორციანი, კოლხეთის დაბლობის ძელი მოსახლეობანი და მათ შესწავლის პრობლემა, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეროვნული „მთმშე“, ტ. VI, 1945, № 6, გვ. 465—473.

³ В. М. Гоголишвили, Проблема изучения древних памятников колхидской низменности, Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода, М.—Л., 1940, № 6—7, с. 109—110.

დამახასიათებელია გარშემო თხრილი. ასეთ მრავალფენიან ძეგლებზე მოსახლეობა თითქმის უწყვეტადაა წარმოლგენილი ხანგრძლივი ღრისის განმავლობაში.

უკანასკნელ წლებში ფართდ გაიშალა მრავალფენიანი სამოსახლო ბორცვების შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებით ოსანიშნავია კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მდ. რიონის ქვემო დინებაზე ჩატარებული სამუშაოები. აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თბრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთში დიდი ხნის ისტორია აქვთ. დასახლების ამნარი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულია. იგი აქ არსებული ფიზიკურ-გოგრაფიული პირობებით იყო განპირობებული: დაბალი რელიეფით, სუსტი გრუნტით, გრუნტის წყლებით, მაღალი ნალექიანობით, ნიადაგის ხშირი დაწევით. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელოსაყრელი პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი ჩდებოდა ხელოვნური შემაღლებების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მიწა დიდი რაოდენობით იყო საჭირო, სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის გარშემო, ახლო ადგილიდან ამოიღებდნენ⁴. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობის იცავდა მტრის, მტაცებელი ცხოველის და წყლის სტიქიისაგან⁵. როგორც ჩნდა, კოლხეთის საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა ბუნებრივ პირობებს (ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასები) და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე (ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვები). ქრონილოგიურად ორივე ეს ტიპი თანაარსებოდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ამგვარი სამოსახლების გამართვის წესი მარტო ანტიკური ხანისათვის არ არის დამახასიათებელი. ის გაცილებით აღრე იყრდებს კოლხეთის ტერიტორიაზე ფეხს. საინტერესოა, რომ დასახლების მოწყობის მეორე წესი, ხელოვნური ბორცვების მოზღვნვით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული. იგი თითქმის არ არის დამხასიათებელი ანტიკური სამყაროსათვის ანტიკურ ხანაში⁶.

⁴ ნ. ხ შ ტ ა რ ი ა, კოლხეთის დაბლობის..., დას. ნაშრ., გვ. 471—472.

⁵ გ. ნ ი თ რ ა ძ ე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, აკად. ნ. მარის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (საქართველოს მეცნ. აკადემია) კრებ. „მოაბზე“, 1941, X გვ. 324—343.

⁶ დ. კ ა რ ა ვ ა, მარტინის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ქრონილოგიისა და ტოპოგრაფიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოაბზე“, 1971, № 3, გვ. 753—756.

ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ ამგვარ ბორცვ-ნამოსახლარებზე იმოჩენილი, ბათქაშით შელესილი ხის თიხატკეპნილიატაკიანი სახლები, ცალკეულ საოჯახო-გვაროვნულ დასახლებებს წარმოადგენდნენ⁷. ა. ჯავახიშვილის მიხედვით კი, ეს სამოსახლები ამგვარ დასახლებებს კი არა, არამედ დიდი თუ შედარებით მომცრო ოჯახების ცალკეულ საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ⁸. ამ განცალკევებულ საცხოვრებლებს (მათ გვუფს) სოფლური დასახლებები უნდა შეეღინათ. აქედან გამომდინარე, კოლხეთში უნდა ვიგულისმორ სასოფლო თემები, რომლებიც ცალკეულ ოჯახთა ნათესაურ კავშირზე იყო დაფუძნებული. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ძველი კოლხური სოფელი ნათესაბრივ-კოლექტიურ დასახლებას წარმოადგენდა⁹ (ეს მოსახლეობები ბრინჯაოს და ადრეული რეინის ხანის დასახლებებს შეეხება).

მომდევნო ეპოქაში, როგორც ჩნდა, კოლხურმა სოფელმა ცვლილები განიცადა. ზოგიერთი თემი, რომელსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გოგრაფიული და ეკონომიკურ-კუმუნიკაციური ადგილმდებარება ეკავა, დაწინაურდა და გარკვეული „ქვეყნის“ საქალაქო ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ პროტოქალაქურ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია¹⁰. ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ „ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო „მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაში შედიოდა. ბუნებრივი, რომ ყველა საქალაქო ცენტრს, ასეთი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიით, თავის გარშემო ექნებოდა გარკვეული თავდაცვითი სისტემა, რომელიც მის უშიშროებას ემსახურებოდა. ამდაგვარი „გამაგრებული სოფელი“, ჩვენი აზრით, იყო ძველი „მთისძირიც“. ასეთი გამაგრებული სოფელი, აღბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტ-გადასალობად. „მთისძირი“ კი, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ ერთის მხრივ, კონტროლს უწევდა მდ. რიონის ხეობაზე (მარცხენა ნაბირი) გამავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობი-

⁷ Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, с. 172—173.

⁸ А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973, с. 359—360.

⁹ ნ. გ ი ლ უ რ ა ძ ე, კოლხური სოფელი ანტიკურ ხანაში, კრებ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 53—59.

¹⁰ იბ. 6. ბ ე რ ა ვ ნ ი ლ ი, საქალაქოების ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 7—196.

დან მომავალ ერთ-ერთ გზას კატავდა. „მთისძირის“ სამოსახლო, ალბათ, ამგადან ფუნქციას მას შემდეგ იძენს, რაც „ვანი“ სფერაქო ცენტრად ჩამოყალიბდა.

ძელი „მთისძირის“ გამაგრებულ, სტრატეგიულ („ვანის“ ქალაქისათვის) სოფელში, ბორცვ-გორების ტერასებზე იდგა სასიმაგრო-საცხოვრებელი ნაგებობები. ამ მხრივ ფრიად საინტერესო „აღდიშვილების“ გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ნაგებობის ნაშთები. ეს ნაგებობა *in situ* მდგომარეობაში არის აღმოჩენილი (სურ. 5,6,7).

ნაგებობის ასაგებ ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა და ქელები. გვხვდება თირის, კირქვის (თეთრი) და რიყის ქვები, ხოლო ქელებად ნახმარია თელის ხე, რომელიც გამოიჩინა მაგარი მერქინით და ამიტომ გამძლე საშენი მასალაა (ხის ანალიზი ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის თ. კეზელის ხელმძღვანელობით). ნაგებობის ნანგრევებში ძალიან ბევრია ბათქაშის ნატეხი. ბათქაშის ზოგიერთ ფრაგმენტს ეტყობა ხის ქელის ანაბეჭდი. ქვის და ხის ქელების გარდა დიდი რაოდენობით არის ნახმარი თითქმიწა, რაც გამოყენებოდა შემაკავშირებელ-ამოსავსებ მასალად. ნაგებობას ძლიერი ხანძარი აქვთ გადატანილი; ქვები სიმხურვალისაგან დამსკუდარია, ხოლო ხის ქელები თითქმის დანახშირებულია.

ნაგებობა ოთხკუთხა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავ-სისაგან. სამხრეთ სათავსის შიდა ფართობია 4,80 მ \times 5,60 მ — 26,88 კვ. მ, ხოლო ჩრდილოეთ სათავსის შიდა ფართობი 2,80 მ \times 4,80 მ — 13,44 კვ. მ. ჩრდილოეთი სათავსის პატარა მონაკვეთზე შემორჩენილი დანახშირებული ქელების წყობა გვაფიქრებინებს, რომ ნაგებობას ხის ქელებით მოგებული იატაკი ჰქონდა. ნაგებობა თითქმის ზუსტად არის ორიენტირებული ქვეყნის მხარეების მიხედვით: აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ (სურ. 6).

ნაგებობა, როგორც ჩანს, აქვთ ჩაქცეული. შედარებით მეტად არის დანგრეული შენობის სამხრეთი ნაწილი, რომელიც მიწის დამუშავების შედეგად არის დაზიანებული, განსაკუთრებით კი — კუთხეები.

აღმოსავლეთი კედლის ფუნდამენტი 14,80 მ სიგრძისაა. კარგად არის შემორჩენილი მისი 13 მ სიგრძის ნაწილი. ამ კედლის ფუნდამენტის სიგრძე 2,60 მ-ია. ფასადის მხრიდან იგი ამოვყანილია ქვებით. აშკარად ჩანს თირის კლდის (რბილი კლდე) ბუდეებში ჩასმული

ქვები. ამ ბუდეებში ჩასმულ თირის და ქვიშაქვის ქვებს მოსდევს. კირქვის ქვების წყობა, სადაც ისევ აღვილა-დგილ გამორჩეულია თირი ან ქვიშაქვა. კედლი ნაგებია ფლეთოლი ქვების წყობით. ქვების დასაკავშირებლად გამოყენებულია თიხამიწა. კედლის მეორე წარმოდგენილია ძელებით. ძელები დანახშირებულია. მათი დიამეტრი დაახლოებით 18 სმ-მდეა. ფასადის თეთრი ქვების წყობაზე აღმოჩნდა ძელები. ეს ძელები ნაგები კედლის ნაშთებია. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით და თიხამიწა. აქ გახვდება რიყის, თირის და კირქვის ქვები. ეს ქვები აზელილია თხამიწაში. კედლის შიგნით ჩატანებულია კიდევ ერთი ძელი, რომელიც ნაგებობის ინტერიერის მხარის ქელების პარალელურია და მათ ჰეგავს ზომებით. აღმოსავლეთი კედლის სამხრეთი მხარე ჩამოშლილია და მასში შიგადაშიგ გამოშვერილია დაახლოებით 7 სმ დიამეტრის. დანახშირებული ძელების ბოლოები. ეს ძელები (რომლებიც ინტერიერის ქელებზე უფრო წვრილია) გადებულია კედლის გარდიგარდმო და სხვადასხვა ღონებული. ისინი ზოგან კედლის შუაში ჩატანებული დიდი ძელის თავზე გადადიან, ხოლო ზოგან ქვეშ გვხვდებიან. ამგარად იქმნებოდა ხის ქელებით შემოსახლვრული კვადრატები, რაც კედლის ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა.

შენობის ჩრდილოეთი კედლი 10 მ სიგრძისაა და აღმოსავლეთი კედლის ფუნდამენტისაგან განსხვავებით სიგრძე 2,80 მ აქვს. ეს კედლი აღმოსავლეთ კედლთან შედარებით უფრო დაზიანებულია. აქ ფასადის მხარეზე მხოლოდ ბუდეებში განლაგებული თირის ფლეხების წყობა შემორჩენილი, ხოლო კირქვის ქვები შედარებით ცოტაა. კედლის ფუნდამენტის შიგნითა პარალელური მსხვილი ძელი კარგადაა შემორჩენილი. საერთოდ, ამ კედლის ხის კონსტრუქციები უკეთაა შემონახული.

საყურადღებო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების შიდა კუთხე. ეს შიდა კუთხე სხვებისაგან განსხვავებით უფრო შემორჩენილია. აქ დადასტურდა ხით კუთხეების კეთების ორი ხერხი. ერთი გამოყენებულია ქვედა დონეზე. აქ ძელების ბოლოები უბრალოდ ერთმანეთზეა დადგებული ამოჭრის გრეშე. ხოლო მის ზემოთ აღმოჩნდა მეორე ხერხით — ჩაჭრილი ძელებით შესრულებული კუთხე.

დასავლეთი კედლის ფუნდამენტის სიგრძე, ისევე როგორც აღმოსავლეთი კედლის ფუნდამენტისა, 14,80 მ-ია, ხოლო სიგრძე — 2,60 მ. ამ კედლის ფუნდამენტში თითქმის აღარაა შემორჩენილი ძელების ნაშთები. სამაგიეროდ უკეთაა წარმოდგენილი კირქვის ქვების წყობა. აქ წინა ორი კედლისაგან განსხვავებით კირქვა ნახმარია თირის ბუდეებშიც. შედარებით მეტია რიყის ქვები.

შენობის სამხრეთი კედელი ძალიან დაზიანებულია. მა კედელში გამოყენებულია მომცრო ქვები, რომელთა ასეთი დიდი რაოდენობა ურთად არ შეიძჩნევა სხვა კედლების წყობაში. აღბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეს კედელი სხვებთან შედარებით მეტად არის ჩამოშლილი. ინტერიერის მხარეს აქაც არის შემორჩენილი ძრელის ნაშთები.

შენობაში დადასტურებულია ტიხარი, რომელიც ყოფს ზემოთ
ხსენებულ ორ სათვასს. მისი სიგანეა 1 მ. ტიხარი ისევეა გაკეთებუ-
ლი, როგორც დანარჩენი კედლები, ოღონდ მათგან განსხვავებით
ორივე შხარე ძელებით აქვს შესრულებული. მათ აკავშირებთ შე-
დარებით მომცრო ძელები.

ნაგებობის სამხრეთ სათავეში აღმოჩნდა ქვიშაქვის, წაკვეთილი კონუსის ფორმის არქიტექტურული დანიშნულების დეტალი (ინვ. № 07:6:76:227; სიმაღლე — 26 სმ, ქვედა მხარის დიამეტრი — 28 სმ, ხოლო ზედა მხარის დიამეტრი — 20 სმ). ეს არქიტექტურული დეტალი, აღნათ, ხის სვეტის საყრდენი იყო.

ნაგებობისათვის მეტი მდგრადობის მისაცემად მოხერქებულად
არის გამოყენებული ბუნებრივი ოლიეფი. ნაგებობის საძირკველში
კლდის სტრუქტურა ირიბია და ზედაპირთან თითქმის სწორ კუთხეს
ქმნის. ამით ნაგებობას მეტი სიმტკიცე ექმნება და მისი ჩამოშლის
საშიშროება თავიდანაა აცილებული. კლდის ირიბი სტრუქტურავ
ქმნის ოლტონილტო ჩელიეფს, რაც კარგად არის გამოყენებული ხე-
ლოვნურ ბულევებთან კომპლექსში, საძირკვლის ქვების ჩასწყობად

ამგვარად, ზემოთ აღწერილი ნაგებობის ნაშთები წარმოადგენს ქვით, თიხითა და ხით გაკეთებულ ცოკოლზე დადგმულ ძელებიან ნაგებობას (სურ. 6,7). შესაძლოა, რომ იქ საქმე გვაქვს ჰიპოგრატეს¹¹, ქსენოფონტეს¹², ვიტრუვიუსის¹³ და ფლავიუს არანქეს¹⁴ თხზულებებში ნახსენებ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის და, კერძოდ, კოლხეთის ხის ნაგებობების ნიტესაჭერებასთან. მათგან განსაკუთრებით

11 თ. ყაუხი ჩიშვილი, პიპოკარტეს ცნობები საქართველოს შესახებ, (პარალელური ბერძნული ტექსტით), პაერთა, შეალთა და აღგილთა შესახებ, თბ., 1965, ნაკ. 15, გვ. 45.

¹² Ксенофонт, *Анабасис* (перевод М. И. Максимовой), М.—Л., 1951, с. 132, 129—130, кн. V, гл. II.

¹³ В и т р у в и й, Десять книг об архитектуре (перевод Ф. А. Петровского), М., 1936, книга II, гл. I, 4, с. 41—42.

საინტერესოა ვიტრუვიუსის ცნობა ხის ძელებიანი ნაგებობების შეს
ხებ, სადაც იგი სხვებთან შედარებით მკაფიოდ აღწერს კოლხების
საცხოვრებელ შენობებს — „კოლხები პონტის მხარეში ტყის სოფე-
რის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს, ერთ-
მანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით; ზემოდან
კი, თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომელი-
ბიც ამგვარად ზღუდდებინ ბინის შინაგან სივრცეს. შემდეგ, ოთხივე
მხარეს, კუთხეებში შეუდლებული ხეების თანდათანობით წყობით,
ამოჰყავთ რა ძირითადი ძელების შვეულად ხის კედლები, აგებენ
კოშკებს და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის ჩხება მათი სი-
სქის გამო, ამოვსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახუ-
რავებსაც; გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომ-
ლებიც ზევითებინ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუა-
სკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც, ფათხებითა და თიხით და-
ხურულნი, წარმოადგენენ ბაზაროსთათვის ესოდენ ჩევულებრივს,
კუსმაგვარ კოშკებ სახურავებს“¹⁵. (ვიტრუვიუსის კოლხურა სახლის
გრაფიკული რეკონსტრუქცია სცადეს — ჩეზარო-ჩეზარინიმ, პერომ,
მარინიმ, გ. შუაზიმ, ლ. სუმბაძემ, დ. შვენიერიძემ, ვ. გაგოშიძემ,
გ. ლეჟავამ. ამთვან უფრო სარწმუნოდ არქეოლოგიური მასალის მი-
ხედვით, გვეჩენება გ. ლეჟავას რეკონსტრუქცია: რეკონსტრუქცი-
ბის ტაბ. იხ. — მ. ჯინდიერის და გ. ლეჟავას ნაშრომში)¹⁶.

როგორც ტექსტიდან ჩანს, აյ რომაელი ოქუმიტებორი ვიტრუ-
ვიუსი კოლხური ნაგებობის განზოგადებულ აღწერას იძლევა. შესაძ-
ლოა, რომ კოლხეთში ხის ძელებიანი სახლების რამდენიმე ტიპი ყო-
ფილიყო გავრცელებული. ეს ტიპოლოგიური განსხვავებები კოლხე-
თში ომოჩენილ უხსლეს არქეოლოგიურ მასალაზე დაკვირვებისს
შეიძლება. არქეოლოგიური გათხრებისას ისტორიული კოლხეთის
ტერიტორიაზე დასტურდება ხის ძელებით შეკრული კუთხეები, სა-
დაც ძელების ბოლოები ჩაჭრილიც არის და ჩაუჭრელიც (მაგ. მთის-
ძირში ქვედა, ცოკლის დონეზე ძელები ერთმანეთზე პირდაპირ
არის დალაგებული, ხოლო ზედა დონეზე ჩაჭრილი გახვდება). ასე
რომ, მათი კომბინაცია (ჩაუჭრილ-ჩაუჭრელ) გამორიცხული არ

¹⁶ М. И. Джандиер, Г. И. Лежава, Народная башенная архитектура, М., 1976, с. 53.

არის; კედლები ხის ერთფა ძელებიანი და ორფა, შუაში თიხამიწით და ქვებით ამოქსებულიც არის აღმოჩენილი; ზოგი ხის ძელებიანი ნაგებობა ცოკოლზე დგას, ხოლო ზოგი უცოკვლოდ, პირდაპირ არის მიწაზე აგებული. თიხის შელესილობა (ბათქაში) ხის ძელებიანი ნაგებობისათვის ყველა შემთხვევაში იხმარებოდა.

რთულია, თითქმის შეუძლებელია, არქოლოგიური მასალის მიხედვით ზის ძელებიანი ნაგებობების გადახურვის კონსტრუქციის შესახებ რაიმეს თქმა. მაგრამ საფიქრებელია, რომ მათ ძელებით შესრულებული ე.წ. ცენტრალურ-გვირგვინვანი და გრძივ-გვირგვინვანი, თიხით შელესილი სახურავები ჰქონდათ

ხის ძელებიანი ნაგებობები მრავლად არის აღმოჩენილი კოლხეთში—დიხა-გუძუბა ¹¹⁷, დიხა-გუძუბა, II ¹¹⁸ (სოფ. ანაკლაში), ნაომვაძმო (სოფ. რეკში) ¹¹⁹, სიმაგრე (სოფ. საქორქიოში) ²⁰, სოფ. ნოსი-რი ²¹, ახვლედიანების გორა (დაბა ვანი) ²², ხოლო მათი ნაშთები ბათქაშის სახით ისტორიული კოლხეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ჭრონთლოგიურად რამდენად მე განსხვავდებიან ერთომეორისაგან, მაგრამ მათში გარევეული არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. აღსანიშნავია, რომ გარვალის ტიპის ხის ძელებიანი სახლები დღესაც გვხვდება კოლხეთში და,

¹⁷ 6. ხოშტარია, ღიხა-გუშტბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკადმიის უზრბ. — „მომბე“, 1944, ტ. V, 283. 64; 6. ხოშტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა, საქართველოს სსრ მეცნ. აკადმიის უზრ. „მომბე“, 1945, № 6, ტ. VI, გვ. 466—473; Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, 1950, с. 161—256.

¹⁸ Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976, с. 95—101.

¹⁹ გ. ნიორაძე, აღქველოგიური გათხრები კოლხიდაში (1940 წ. ვათხებს ანგარიში), ენციკლ. მოამბე, 1941, X, გვ. 323—343; Б. А. Куфтин, Материалы..., т. II, с. 161—256.

20. თ. მ ი ქ ლ ე ბ ე , არქეოლოგიური კლევა-ძება რონის ქვემო წელზე,
თბ., 1978, ტაბ. X VI—X XI.

21 დ. ქორიძე, ნ. გოგაძე, ნისარის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძრითადი შედეგები, კრებ. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციუბი, II, თბ., 1971, გვ. 31—32, სტრ. 1.

²² О. Д. Лордкипанидзе, Итоги работ Ванской археологической экспедиции, ПАИ, Тб., 1974, с. 38, иллюстр. XI.

საერთოდ ამიერკავკასიის ზოგიერთ სხვა კუთხეშიც²³. იტალიელმა შისიონერმა, მხატვრობაში გწაფულმა დონ კრისტოფორო დე კასტელიმ თავისი დროის (XVII ს.) კოლხეთის ხის ნაგებობების რამდენიმე ნახატი დატოვა²⁴. ნახატებიდან ჩანს, რომ აქ შაშინ ხის ძელებიან შეულესავ სახლებს იგებდნენ; კუთხეები ძელების ბოლოებაზე ჩაჭრით არის ნაკითები.

სოფ. მთისძირის ადეიშვილების გორის ნაგებობა ზემოთ ჩამოთ
ულილი არქეოლოგიური ძეგლებისაგან ცოკოლით განსხვავდება²⁵.
სხვა ამდაგვარ არქეოლოგიურ ძეგლებშე კი წერტერობით ასეთი ცო-
კოლი არ არის დადასტურებული. ეს ძელურბათქაშიანი ნაგებობები
საძირკვლიდანვე ხის ძელებით არის ნაგები. ფრიად საინტერესოა
ბოლო ხანებში სოფ. ვარცხესთან გამოვლენილი ნამოსახლარი — „ვა-
რდიგორა“²⁶, საღაც შესაძლებელია. რომ სოფ. მთისძირისმაგვარი,
ცოკოლზე მდგარი, ხის ძელებიანი ხაგებობა იდგა. ასეთივე ნაგებობა,
მხოლოდ შედარებით ვიწრო საყრდენ-ცოკოლიანი, შესაძლოა იყო
ვანშიც, ცენტრალურ ტერასაზე („თეთრი შენობა“), რომლის კირ-
ქვის ფლეთილი ქვების წყობაც სოფ. მთისძირულს მოვაკონებს (მა-
რთალია, აქ ხის ძელების ნაშთები არ დადასტურებულია). „თეთრი
შენობა“ გეგმაში სწორკუთხაა; კედლის საძირკველი კლდოვან დე-
დაქნიზე ამოკვეთილ ბუღეებშია იმოყვანილი. მთისძირის და ვანის
ამ ნაგებობების შენებაში უხვად არის გამოყენებული თეთრი კა-
რქვა, რომელიც ვან-მთისძირის ახლომახლო ტერიტორიაზე დიდი

23 об. Л. З. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию, Тб., 1960; т. ჩ ე ვ ა ნ ა ნ ი ს კ უ რ ვ ა ნ ი ს ბ ა ნ -ე რ ტ ი ს ი ნ ი ს ს ა ც ხ ე მ ე ბ ლ ი ს დ ა ვ ტ რ უ ვ ა უ ს ი ს ქ ლ ხ უ რ ი ს ხ ა ლ ი ს უ რ თ ე რ თ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს , ს ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ს რ მ ე ც ნ ბ . ა კ ა დ . ჟ უ რ . „ მ ა ც ნ ე “ , 1966 , № 6 , 211—222 ; Т. Чиковани, Колхидский дом Витрувия в свете грузинского этнографического материала, сб. Вестник гос-музея Грузии, т. XXII—В, Тб., 1961, с. 403—406; В. С. Гагошидзе, Конс-трукция древнейшего типа Колхидского жилого дома по Витрувию, ს ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ს რ მ ე ც ნ ბ . ა კ ა დ . ჟ უ რ . „ მ ა ც ნ ე “ (ი ს ტ რ ი ს ი ს , ა რ ქ ე ლ ვ ი ს ი ს , ე თ ნ ვ რ ჭ ა ფ ი ს ი ს დ ა ხ ე ლ ვ ნ ე ბ ი ს ი ს ტ რ ი ს ი ს ს ე რ ი ს) , 1974 , № 4 , 33. 158—163 ; А. И. Джавахи-ши-вили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973, с. 350—364.

²⁵ об. Г. А. Гамкрелидзе, К изучению древнеколхидских оборонительных сооружений, *საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ერკ.*, „მთამბე“, 1977, № 2, с. 501—504.

²⁶ 3. კაფუარი ი ძე, ძველი ვარტისე („ვარდიგორა“), ქრებ. „ძეგლის მეცნარი“, 1977, № 46, გვ. 43—50.

რაოდენობით მხოლოდ სოფ. დაბლაგომში და სოფ. ინაშაურში, არის. ალბათ, ამ პუნქტებიდან არის მთისძირში და ვანში თეთრი. კირქვა სამშენებლოდ შემოტანილი.

საინტერესო მსგავსებას იჩენს სოფ. მთისძირის „ადეიშვილების“ გორის ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობა ამავე ჰერიონის ხის ძელებიან-საკულტო ნაგებობასთან ახლედიანების გორის თავზე²⁷. მართალია, ეს ხის ძელებიანი ნაგებობა უცოკლა, მაგრამ კედელი აქაც, ისევე, როგორც მთისძირში, შეკრულია ურთეშორთგადამკვეთი ხის ძელებით, ხოლო მათ შორის მანძილი კი ამოვსებულია ქვებით და თიხამიწით. ამ ნაგებობების კედლის ზომებიც დაახლოებით ერთნაირია. შესაძლოა, სოფ. მთისძირის ნაგებობა ქვით, თიხითა და ხით გაკეთებულ ცოკოლზე თავდაცვითი ფუნქციის გაძლიერების გამო იყო აღმართული, რათა მას მეტი სიმტკიცე მისცემოდა.

როგორც ჩანს, მდ. რიონის შუა წელის ძეელ ნამოსაბლარებზე (მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი, ვანი, ვარდიგორა, ქუთაისის მიდამოები და სხვ.) და, საერთოდ, მთელ კოლხეთში, ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილია. ხისაგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, ზღვდებს, სიმაგრეებს და სხვ. ხეს ხმარობდნენ ერთ-ერთ ძირითად საშენ მასალად სოფელში და ქალაქშიც. ქვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხეთში გრძელება წინამორბედი ხანის სამშენებლო ხერხების გამოყენება. აქ ისევ აგებენ ხის ძელებიან, თიხით შელესილ ნაგებობებს, რომლებიც კოლხეთისათვის ფრიად დამახასიათებელი იყო. ქვის და ოლიჩის აგურიანი შენობები კოლხეთში, ისევე, როგორც კარამიტიანი გადაურვა, ფართოდ მხოლოდ ელინისტურ ხანაში იკიდებს ფეხს. არ არის გამორიცხული, რომ მთისძირის ე. წ. აღრენტიკური ხანის ნაგებობაში ქვით, ხით და თიხამიწით გაკეთებული ცოკოლის დადასტურება კონსუქციულად ძელებიანი ნაგებობების რამდენადმე ახალ, უფრო განვითარებულ ეტაპზე მიუთითებდეს. ქრონოლოგიურადაც იგი ე. წ. აღრენტიკური ხანის მეორე პერიოდს ემთხვევა.

„ადეიშვილების“ გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ძელურ-ბათქაშიანი და ცოკოლიანი ნაგებობა თარიღდება იმპორტული კერამიკით (ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხებით; გვიანდელი ქიოსური და მენდეს ამფორებით, რომელიც ქვ. წ. IV ს. თარიღდებიან) და ადგილობრივი კერამიკით, რომელიც ე. წ.

²⁷ О. Д. Лордкипаниձე и др., Итоги работ Ванской археологической экспедиции, сб. ПАИ, Тб., 1974, с. 38—39.

აღრენტიკური ხანის მეორე ნახევარს განეკუთვნება. გათვალისწინებულია სტრატიგრაფიული მონაცემები და პარალელური მასალა. სავალისხმოა, რომ ამ პუნქტები მონაცემებს მხარს უჭერს ნაგებობის რადიოაგენტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდით მიღებული თარიღიც. ამ შეთოდის მიხედვით ნაგებობის დანგრევის დრო განსაზღვრულია ძვ. წ. 330 ± 40 წ. (ანალიზი ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში — ლაბორატორიის გამგ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ა. ბურჭულაძე).

სოფ. მთისძირის კოლხური კერამიკის უკეთ საილუსტრაციოდ მოვყავს ე. წ. დახურული კომპლექსის ადგილობრივი კერამიკა, რომელიც აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორის ზედა ტერასის ძელურ-ბათქაშიან ნაგებობაში (სოფ. მთისძირის არქეოლოგიური გათხრა-შესწავლის დროს მის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი რაოდენობით). ე. წ. აღრენტიკური ხანის კერამიკა აღმოჩნდა. ამიტომ არის, რომ მის განხილვაზე შედარებით უფრო დაწვრილებით ვხერდებით).

1. ქოთნები ძირითადად ნატეხებით არის შემორჩენილი. ისინი იყოთა ერთ ძირითად ჯგუფად და მის ვარიაციებად. აქ არის სადაზირისკიდიანი, მოკლეყელიანი ან გრძელყელიანი, ბრტყელძირა და ე. წ. ზოომორფული (სუსტად განვითარებული რქებით) ოვალური განივცვეთის მქონე ყურებით. გვხვდება სადა ოვალურგანივეტიანი უურებიც. ნიმუშები ტანის მიყვანილობის მიხედვით ორგვარია. ესენაა ქვემოთ ღდნავ მუცელგამობრილი და კასრისებური. ქოთნის კორპუსის ზედაპირი უმეტესად წნევით გამოყვანილი პრიალა ზოლებითა დაფარული. ყელი ხშირად შემცულია ირგვლივი ღარებით, რომლებიც, ალბათ, წამახული საგნითაა გაკეთებული. ისანი ძირითადად რუხადაა გამომწვარი, მოშავო ან მოყავისფრო ზედაპირით.

დადასტურდა ამგვარი ქოთნების ძირ-კედლის 7 ფრაგმენტი, რომელთა ძირის დიამეტრი მერყეობს 7 სმ-დან 21 სმ-მდე. კედლის სისქე ძირითადად 6 ან 7 მმ-ია (ინგ. № 07:6:76 — 57, 232, 183, 200, 294, 252, 297, 307). საინტერესოა ინგ. № 07:6:76:183 ფრაგმენტი, რომელსაც წნევით გამოყვანილი პრიალა ზოლები გარეთ ძირზეც ეტყობა.

აღმოჩნდა ამ ტიპის ქოთნის კედლის 218 ფრაგმენტი. კედლის სისქე 6 ან 7 მმ-ია. კედლის ნატეხები წნევით გამოყვანილი პრიალა ზოლებითაა დასერილი. ზოგან ეს ზოლები თითქმის გადაშლილია.

ნაგებობაშივე დადასტურდა 12 ე. წ. ზოომორფული, ძირითადად ოვალურგანივეტიანი ყური (ქოთნის). ზოგიერთ ყურზე ზოომორ-

ფული რქები სუსტადა გამოსახული. ზოომორფული ყურების გარდა დადასტურდა ოვალურგნივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ყურების 11 ფრაგმენტი (შესაძლოა, ყველა ეს ყური არ იყოს ქოთნისა).

შენობაში დადასტურდა ქოთნის პირ-ყელის 15 ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76 — 59, 175, 160, 168, 154, 167, 131, 130, 134, 229, 38, 59, 49, 47, 37). ამათგან სამს (ინვ. № 154, 130, 38) აქვს ლილ-ვისებური პირის კიდე.

ფრიად საინტერსოა მთლიანი ხუფების აღმოჩენა. ქოთნის მთლიანი ხუფები ვანის ძეველ ნაქალაქარზეც კი მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი. ნაეგბობაში აღმოჩნდა 3 ხუფი: ა) ინვ. № 07. 6:76:54 — ბრტყელი ძირის დმ — 7 სმ; სისქე — 7 მმ; დახრილყალთიანია; თავზე ყურის გადანატებით (სახელური). ბ) ინვ. № 07:6:76:138 — ბრტყელი ძირის დმ — 6 სმ; სისქე — 6 მმ; დახრილყალთიანია; ზედა მხარეს აქვს ყურის გადანატები. გ) ინვ. № 07. 6:76:541-ეს ხუფი შეზნექილი ძირითაა; დმ — 7 სმ; სისქე — 6 მმ; ზედა მხარეს აქვს ყურის გადანატები. ამათ გარდა ცალკე აღმოჩნდა ხუფის ე. წ. ზოომორფული სახელური. იგი სწორია და ძირშია გადატებილი (ინვ. № 07:6:76:541¹¹). აღმოჩნდილი ხუფები ზომით უდგება ზემოთ იღწერილ ქოთნებს და თიხაც ერთგვარი აქვთ.

თიხის გამოწვის მიხედვით ქოთნები ორ ჯგუფად იყოფა: ა) რუხი თიხიანი და მოშავო ზედაპირის მქნე ქოთნები. მათ ძირითადად ე. წ. ზოომორფული ყურები აქვთ. ბ) მოყავისიფრო თიხიანი ქოთნები, მოწითალო-მოყავისიფრო ზედაპირით და ძირითადად სადა ყურებით. ორივეს თხა მსხვილმარცვლოვანია და შეიცავს კარქვის, პირქვენის და ზოგჯერ ქარისის წვრილ ნაცეცებსაც.

ამგვარი ქოთნები მრავლად ძირის დადასტურებული დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემაში.

2. შენობაში მოპოვებული ჯამებიდან გამოყავით შემდეგი ტიპები: ბრტყელძირა, ირიბქალთიანი, შიგნით პირგადაზნექილი, სადა პირის კიდით. აღმოჩნდა ამ ტიპის ჯამების 5 ფრაგმენტი: ინვ. № 07:6:76:111 — ჯამის პირის დმ — 20 სმ; სისქე — 4 მმ. ინვ. № 07:6:76:274 — ჯამის პირის დმ — 19 სმ; სისქე — 8 მმ. ინვ. № 07:6:76:361 — ჯამის პირის დმ — 16 სმ; სისქე — 5 მმ. ინვ. № 07:6:76:139 — ჯამის პირის დმ — 16 სმ; სისქე — 6 მმ. ინვ. № 07:6:76:168 — ჯამის პირის დმ — 16,3 სმ; სისქე — 7 მმ.

ბრტყელძირა, ირიბქალთიანი, შესქელებული პირისკიდით. ასეთი ტიპის ჯამის მხოლოდ ერთი, შედაპირი კარგად დაცული ფრაგ-

მენტი ვიპოვეთ (ინვ. № 07:6:76:20 — მისი პირის დმ — 16სმ, სისქე — 7მმ).

ბრტყელძირა, ირიბქალთიანი, პირი ჭრილში სამკუთხაგანივევეთიანია. ასეთი ჯამები, როგორც წესი, დიდი ზომისაა. ინვ. № 07:6:75:175 — ჯამის პირის დმ — 36 სმ; სისქე — 18 მმ. მას პირის კიდეზე ზემოდან აქვს პატარა ფოსოები. ინვ. № 07:6:76:109 — ჯამის პირის დმ — 41 სმ; სისქე — 15 მმ. მას პირის კიდის გარეთა მხარეს აქვს რომბული ბადის შემკულობა.

ბრტყელძირა, ე. წ. ყელიანი, პირგადაშლილი ჯამი. ამ ტიპის ჯამები სულ 2 აღმოჩნდა. ა) ინვ. № 07:6:76:198 — ჯამის პირის დმ — 21 სმ; სისქე — 5 მმ. ბ) ინვ. № 07:6:76:158 — ჯამის პირის დმ — 19 სმ; სისქე — 4 მმ. მათი დაბალი ყელი ზემოოკენ ფართოვდება.

ფრიად საინტერესოა (ინვ. № 07:6:76:204) ჯამის ნატეხი, რომელსაც ძირზე სუსტად ემჩნევა ქუსლის რკალი. პირის დმ — 15 სმ; სისქე — 5 მმ. პირის კიდე შიგნით აქვს გადაზნექილი. როგორც ცნობილია, აღრეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკას ქუსლი არ ემჩნევა. ამგვარი ქუსლი კოლხურ კერამიკას მხოლოდ ელინისტურ ხანაში უჩნდება. შესაძლოა, რომ ეს ფრაგმენტი წინარე ელინისტური ხანისა იყოს.

ზემოთ აღწერილი ჯამების ტიპები კოლხეთის ტერიტორიაზე გვხვდება ძვ. წ. V-IV სს-ის კულტურულ ფენებში, ხოლო ბოლო ტიპის ჯამი კი ხშირია ელინისტური ხანის კოლხური კერამიკისთვის. ყველა ტიპის ჯამების ერთ (აურეველ) ფენაში შეხვედრა გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს წინარე ელინისტური ხანის კულტურულ ფენასთან.

3. ნაეგბობაში ე. წ. კოლხური სასმისების თითქმის ყველა ტიპი დადასტურდა. ესენია: ცილინდრულტანიანი, კონუსური, ჭიქისებური, ძირწვეტიანი, ფეხიანი.

ცილინდრულტანიანის ძირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:23) — ძირის დმ — 7 სმ; კეცის სისქე — 8 მმ; შემკულია ჭდეების რიგებით.

კონუსურის ძირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:67) — ძირის დმ — 3 სმ; კეცის სისქე — 5 მმ; ზედაპირი სადა.

ჭიქისებურის ძირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:209) — ძირის დმ — 3 სმ; კეცის სისქე — 5 მმ; ზედაპირი სადა.

ძირწვეტიანის ძირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:209) — კეცის სისქე — 5 მმ; ზედაპირი სადა და ეტყობა წნევეთ გამოყვანილი ზოლები.

5. გ. გამყრელიდე

ფეხიანის ფეხ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:76:68) — ფეხის ძირის ღმ — 4 სმ; კეცის სისქე — 6 მმ; ზედაპირი სადაა.

ჩამოთვლილი სასმისების გარდა შემორჩენილია კიდევ პირველი და შესამე ტიპის 6 მცირე ნატეხი.

სასმისებში გამოიჩევა ქუსლიანი კათხა (ინვ. № 07:6:76:2671) — სასმისის სიმაღლე — 11,3 სმ; პირის ღმ — 9,4 სმ; ქუსლის ღმ — 5,9 სმ. იგი მუცელგამობრილია და სადა პირის კიდე აქვს. პირის კიდე ოდნავ გადახრილია გარეთ და ყელზე ქმნის ოდნავ შესამჩნევ ლარს. ყური ოვალურგანივევეთიანია. სასმისს დაუყვება ორი, ღარებს შუა ჩამული ორნამენტირებული სარტყელი (სარტყელებს შორის მანძილია 1,6 სმ). სარტყლები შედგება ბადისებური ორნამენტისაგან (სურ. 14).

სასმისების თიხა ტიპიურია კოლხური კერამიკისთვის — რუხი, მოშავო ზედაპირით და მოყავისფრო, მოწითალო-მოყავისფრო ზედაპირით. თიხა შეიცვას კირქვის, პიროქსენის და ზოგჯერ ქარსის წვრილ მინარევებს.

ე. წ. კოლხური სასმისები წინარელინისტური ხანის კოლხური კერამიკის განმასახლვრელი სახეობაა და სხვა კერამიკულ ნაწარმთან შედარებით უკეთა შესწავლილი. ამგვარი სასმისები ფართოდაა გავრცელებული ძეველი კოლხეთის მოსახლეობაში. ისინი სხვადასხვა ვარიანტების სახით თითქმის ყველა ნამოსახლარჩეა აღმოჩენილი: გურიანთაში, ვანში, მდ. ფიჩორის პირის ძეველ ნამოსახლარ გორებზე, ფოთში, დაბლაგომსა და სხვ.

4. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტებით.

1) ქვევრები შემორჩენილია ფრაგმენტის სახით. ნაპოენია პირ-ყელის 4, ძირ-კედლის 1 და კედლის 21 ნატეხი:

ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:75:122) — პირის ღმ — 42 სმ; კეცის სისქე — 13 მმ; პირის გვირგვინი სამკუთხაგანივეთიანია; გვირგვინის ზედაპირი შემკულია მრგვალი ფოსოებით, ხოლო გვირგვინი ვარეთა მხარეზე გახვდება ირიბი ჭრები და ფოსოები.

ქვევრის პირის გვირგვინი (ინვ. № 07:6:76:43) — პირის ღმ — 40 სმ; ვარგვინი ჭრილში სამკუთხაგანივეთიანია; ზედა მხარე შემკულია ირიბი ჭრების ორი რიგით, ხოლო ქვედა მხარე — რობული ბადით.

ქვევრის პირის გვირგვინი, ინვ. № 07:6:76:44 — პირის ღმ — 41 სმ; ჭრილში სამკუთხაგანივეთიანია; გვირგვინის ზედა მხარე

შემკულია ტალღოვანი ორნამენტით, ხოლო გარეთა — ურთიერთ-გადამკვეთი ხაზებით.

ქვევრის ძირის, კედლების და პირის ფრაგმენტები, ინვ. № 07:6:76:121 — მისი ოდგენი მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, რადგან დაღასტურებულია თითქმის ყველა მთავარი კომპონენტი: ძირის ღმ — 21 სმ; კეცის სისქე — 15 მმ; პირს ღმ — 39 სმ; შემკულია რელიეფური ქედებით.

კოლხური ქვევრები, კოლხურ სასმისებთან ერთად, ძველი კოლხეთის ერთ-ერთ დამასხისიაჲებელ ელემენტს წარმოადგენს. სამეურნეო კერამიკის ეს სახე გვახვდება როგორც ზღვიპირა ზოლში, აგრეთვე შიდა რაიონებში.

შენობაში აღმოჩენილი ყველა ქვევრი რუხადაა გამომწვარი და შავზედაპირიანია. მათი საერთო ნიშანია რელიეფური ქედები და კონკურსტული ხაზები. პირის გვირგვინი სამკუთხაგანივეთიანია. გვირგვინების შემკობაში გამოიყენება ფოსოები და შტრიხები.

2) სამეურნეო კერამიკის მეორე ფგულს შეადგენს დერგები. მეორე ფგნაში დაღასტურებულია ძირ-კედლის 1, პირ-კედლის 4 და ედლის 26 ნატეხი:

დერგის პირის გვირგვინი, ინვ. № 07:6:76:18 — პირის ღმ — 41 სმ; გვირგვინის ზედაპირი საღარე, ხოლო გარეთა მხარე შემკულია რომბული ბადით; პირის გვირგვინი ოთხუთხა განივევეთიანია.

დერგის პირ-კედლის ფრაგმენტი, ინვ. № 07:6:76:17 — პირის ღმ — 35 სმ; კეცის სისქე — 10 მმ; გვირგვინის ზედა მხარე შემკულია სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი ირიბი ხაზებით, ხოლო გარეთა მხარე რომბული ბადით; პირის გვირგვინი სამკუთხაგანივეთიანია.

დერგის პირ-კედლის ფრაგმენტი, ინვ. № 07:6:76:128 — პირის ღმ — 32 სმ; კეცის სისქე — 8 მმ; პირი გარეთაა ცოტათი გადმოხრილი; გვირგვინის ორივე მხარე შემკულია სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით; გვირგვინი ჭრილში სამკუთხა.

დერგის პირის გვირგვინი, ინვ. № 07:6:76:176 — პირის ღმ — 37 სმ; გვირგვინი სამკუთხაგანივეთიანია; შემკულობა არა აქვს.

დერგის ძირ-კედლის ფრაგმენტი, ინვ. № 07:6:76:251 — ძირის ღმ — 28 სმ; კედლები დახრილია ძირისებრი. კეცის სისქე — 9 მმ.

დერგებიც რუხადაა გამომწვარი და შავზედაპირიანია. უმეტეს შემთხვევაში ზედაპირი საღარე.

6. ნაგებობაში დაღასტურდა აგრეთვე უცხოური კერამიკა, რო-

მელიც წარმოდგენილია შავლაკანი ჭურჭლის ფრაგმენტებით და ორი თითქმის მთელი ამფორით (ამფორების აღწერა იხ. ქვეყით)

სადა შავლაკანი კერამიკის ფრაგმენტები იმდენად პატარებია, რომ ძნელია მათი მიკუთვნება ჭურჭლის რომელიმე ფორმისათვის. ინვ. № 07:6:76 — 89, 90, 206. ყველა მათგანი კარგად განლექილი თანისაგან შედგება და მოწითალო-მოყავისფრო ფერისაა. სამ ნატეხს ლაყი კარგად აქვს შენარჩუნებული, ხოლო მეოთხე ნატეხზე თითქმის სულ გადასულია. ინვ. № 07:6:76:90 — ნატეხი რაღაც ჭურჭლის ქუსლის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.

ძელურ-ბათქაშიან ნაგებობაში, კერამიკული ნაწარმის გარდა, აღმოჩნდა სხვა ნივთებიც, როგორიც არის სალესი ქვა (ინვ. № 07:6:76:283:283). თითოეული სალესი ქვა დაახლოებით 8 სმ-მდე სიგრძისაა. მათ გახვრეტის კვალი არ ემჩნევათ. აქ არის აგრეთვე ერთი სალესი ქვის ან დანის ტარის ფრაგმენტი. ის გამოთლილია ქვისაგან და ბოლოვდება თეთრი ქვის შრით (ინვ. № 07:6:76:55).

ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დადასტურდა ბრინჯაოს ზარაყი (ინვ. № 07:6:76:205) (სურ. 24). ზარაყი ჭრილში ოვალური ფორმისაა; მისი ენა რკინისაგან არის დამზადებული; ზარაყს თავზე ყუნწი მოტეხილი აქვს; სიგრძე 5,6 სმ-ია. ეს ზარაყი რამდენადმე ჰგავს ქ. წ. V — IV სს. ზარაყებს, რომლებიც გვხვდება ვანის, დაბლაგომის, ითხეისის, დაფნარის სამოსახლოებშე და სხვ²⁸. საერთოდ ბრინჯაოს ზარაყები, ე. წ. აღრენანტიკური ხანის კოლხეთის მატერიალური კულტურისათვის მეტად დამახსასათებელი ელემენტია. ისინი ჩშირად გვხვდება სამარტეულ ინვენტარში. ზარაყებით იყო შემკული ყანჩაეთისა და ყაზბეგის შტანდარტები. შესაძლოა, რომ ამ ნაგებობაში აღმოჩნდილი ზარაყიც ჩამოყიდებული იყო შტანდარტზე, რომელიც ძველი „მთისძირის“ რომელიმე წარჩინებული პირის ინსიგნიას წარმოადგენდა.

ნაგებობის ტიხართან აღმოჩნდა ორფრთიანი ისრისპირი (ინვ. № 07:6:75:290).

ოსტეოლოგიური მასალიდან ნაგებობაში დადასტურდა გარეული ტახის ეშვები, მენჯისა და სხივის ძვლები (სულ ოცამდე), ძროხის ბარძაყის, მხარის ძვლები და კბილი (ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრა პალეონთოლოგა მ. გამრეკელმა). ნაგებობიდან მომდინარე ოსტეოლოგიური მასალა, აღბათ ნასუფრალს წარმოადგენს.

²⁸ ი. გაგოზი ქ. აღრენანტიკური ხანის ძვლები ქსნის ხეთიდან, თბ. 1964, გვ. 43—51; ჩ. ჩიგურაძე, დაპარსკი მოგილი, თბ., 1976, თაბ. X, I, 1.

საერთოდ სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე, ხსნებული ნაგებობის სინქრონულ ფენებში ოსტეოლოგიური მასალა ჭერჩერობით ცოტაა ნანახი. მოპავებული მასალა ძველი „მთისძირის“ მოსახლეობის მეცნიერებული მასალა და მთისძირის „შესახებ რაიმეს სათქმელად ფრიად ცოტაა. ამ დროის კოლხეთში მონადირეობას უკვე აღარ ექნებოდა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც წინა ეპოქებში ქვინდა, მაგრამ ჩანს, გარეულ ტახზე ნაღირობა უცხო არ უნდა ყოფილყო ძველი „მთისძირის“ მცხოვრებლებისათვის. რაც შეეხება მცხოვრებლების, აქ მსხვილი რქოსანი საქონელი უფრო იყო გავრცელებული (რადგან მათი ძვლების დადასტურება სოფ. მთისძირის კულტურულ ფენებში უფრო უმიზრია), ვიდრე შვრილი რქოსანი საქონელი. დაახლოებით ასეთივე შეფარდება შეიმჩნევა ახვლედიანების გორის („ვანის“) ნაქალაქარზე აღმოჩენილ ძვლოვან მასალაშიც²⁹.

2. მღიდრული სამარხი

სოფ. მთისძირის წაბლა ღელის „ნაშეების“ ორმოსამარხი გარეულ წარმოდგენას გვიგნის სამოსახლოს მცხოვრებთა დამარხვის წესზე. ეს სამარხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევითად ნაპოვნი და გაძარცულ-დანგრეულია.

„ნაბამბევის“ გორის ტერისაზე „ნაშეებში“ ნაპოვნი სამარხის ინვენტარის გადარჩენილი ნივთები და მათი ფრაგმენტებია: 1. ოქროს ე. წ. სხივინა საყურე, 2. ოქროსავე კისრის რკალი, 3. რკინის მოლუნული, ჯოხისმაგვარი ნივთი, 4. ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, 5. ვერცხლის ყანწ-რიტონის ფრაგმენტები. როგორც ვხედავთ, ნივთების ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი. სამარხეული ნივთები ყველა მეტ-ნაკლებად დაზიანებულია. ამის გარდა, ჩვენთვის უცნობია სამარხში ნივთების თავდაპირველი განლაგება, იძულებული ვართ მხოლოდ აღმომჩენის კ. სტურუს ნათქვაში დავეყრდნოთ. ყველაფერი ეს ართულებს მასალაზე მუშაობას და მის სწორედ გააზრება-გაგებას. ამიტომ სოფ. მთისძირის ამ სამარხზე ფაქტიურად მხოლოდ გადარჩენილი ნივთების მიხედვით შეიძლება მსჯელობა.

უდავოა, რომ აქ მდიდრული სამარხი უნდა ყოფილიყო. აღმომჩენების თქმით (კ. სტურუს, მისი დედა), ნივთებთან თითქოს ოქროს სამაჭურიც ყოფილა, რომლებმაც, სამწუხაროდ, მუზეუმადე ვერ მოაწია.

²⁹ ი. ციციშვილი, ვანის არქეოლოგიური გათხებისას მოპოვებული ცხოველთა ჭალეულის ნაშთები, ვანი, I, თბ., 1972, გვ. 243—251.

1. ოქროს ე. შ. სხივანა საყურე (ინახება დაბა ვანის მხარეთ-
მცირებულის მუზეუმში) შეღვება რგოლისაგან, რომელზედაც „სხი-
ვებია“ დამაგრებული (რგოლი დეფორმირებულია). ამ რგოლზე მი-
მაგრებული გადაჭრილი სამკუთხედის მსგავსი ფირფიტა, რომელ-
ზედაც ცვარათ პატარა სამკუთხედებია გამოხატული. გადაჭრილი
მხრით ეს სამკუთხედი მიმაგრებულია რგოლზე, ხოლო საწინააღმდე-
გო მხარეს სხივებისებურად ეშვება ექვსი ღერო. რგოლი წრიული
უნდა ყოფილიყო. ის გახსნილია და ბოლოები გახვრეტილი აქვს
ისე, რომ ფრინველის თავს მოვაგონებს. რგოლს ერთ მხარეს დაუყ-
ვება გაფართოებული სარტყელი. სარტყელის ორივე მხარეს მავთუ-
ლისაგან გაეთებული მარყუჯებია თანაბრად ჩამწკრივებული, სარ-
ტყელს შეაში დაკეპნილი ზოლი დაუყვება. იგი უკვე ნახსენებ გა-
დაჭრილ სამკუთხედამდე მიდის, ხოლო ზემოთ მას ამშენებს ვარ-
დული. ვარდული ცამეტი ფურცლისაგან შედგება. ფურცლების შე-
მდეგ რელიეფური რგოლებია მავთულისაგან, ზოგი დაკეპნილი, ხო-
ლო ზოგი—სადა, დაკეპნავი. რგოლების ცენტრში ცვარას ბურთუ-
ლებია. „სხივები“ გამოსახულია დაკეპნილი მავთულების საშუა-
ლებით, რომლებიც დაუყვებიან ღეროებს. ღეროები ბოლოვდებიან
ცვარასაგან შემდგარი „პირამიდებით“. საყურის ეს ბოლო ნაწილი
ძალიან დაზიანებულია, „პირამიდების“ ერთი ფალანგა თითქმის სულ
აკლია. ამ ფალანგიდან დარჩენილია მხოლოდ ორი ცალი, ხოლო
ერთ ღეროს ორივე ფალანგის „პირამიდები“ აკლია. თუ საყურეს
თავდაპირველ მდგრმარეობაში წარმოვიდგენთ, მაშინ „პირამიდები“
ერთმანეთთან გადაბმული იქნება, როგორც ეს არის ვანში აღმოჩენი-
ლი სამარხების „სხივანა“ საყურებზე³⁰. სოდ. მთისძირის ოქროს
სხივანა საყურის ზომებია: სიგრძე 8 სმ, დიამეტრი რგოლისა, რო-
მელზედაც „სხივებია“ დამაგრებული — 3,5 სმ-მდეა (სურ. 22).

სოდ. მთისძირის „ნაშუების“ სხივანა საყურეს, ვანის საყურეე-
ბისაგან განსხვავებით, ვარდულის ფურცლები სადა მავთულით აქვს
გამოყვანილი. აქ თითოეულ ფურცელზე დამსულია თითო ცვარა,
ხოლო ცენტრში — რამდენიმე. სარტყელზე ვანის საყურების
მსგავს მარყუჯებს ვხედავთ, მაგრამ სხვაგვარია შუა, სიგრძეი ზოლი,
რომელიც სადა და დაკეპნილი მავთულების მონაცელებას წარ-
მოადგენს. ვანის საყურეებთან შედარებით შეინიშნება ზოგიერთი
განსხვავებული, ახალი ელემენტი—სხივებისა და რგოლის შეერ-

ოების ადგილას (სამკუთხედზე) გარკვეული რიგით დასმული ცვა-
რა³¹.

სოდ. მთისძირში „ნაშუებთან“ ნაპოვნი (სამარხში) სხივანა სა-
ყურე და ამავე ტიპის სასაფეთქლები გავრცელებულია გარკვეული
პერიოდის კოლხეთში. ისინი თითქმის არ გვხვდება საქართველოს
ფარგლებს გარეთ. ამიტომაც ამგვარი სასაფეთქლები და საყუ-
რეები ტიპიურ კოლხურ სამკაულად არის მიჩნეული³². სხივანა საყუ-
რეები და სასაფეთქლები ნაპოვნია ყაზბეგის³³, ბორის³⁴, ფიჭვა-
რის³⁵, სოხუმის³⁶, იკოთის³⁷, ბოლნისის³⁸, ბეჭთაშენის³⁹, მოლინახეს
ცხის (საჩხერის რ-ნი)⁴⁰ მიდამოებში და სხვ.

ყველა ეს ოქროს და ვერცხლის საყურე ან სასაფეთქლე ერთმა-
ნეთისაგან შემცულობის ცალკეული დეტალებით და „სხივების“ რა-
ოდენობით განსხვავდება. ვანის რაიონში ნაპოვნი „სხივანა“ საყუ-
რეები გამოიჩინა დამზადების რთული წესით. ისინი შემცული
არის ვარდულით, გრეხილი მავთულებისგან შემდგარი წნულით.
მათ დამზადებაში გამოყენებულია დაცვარვა. მთისძირის „სხივანა“
საყურე თავისი გაფორმებით ისე ახლოს დგას თვით ვანში აღმო-
ჩენილ „სხივანა“ საყურეებთან და სასაფეთქლეებთან, რომ შეიძლე-
ბა გიფიქროთ: ისინი ერთი ხელოსნის მიერ თუ არა, ერთსა და იმა-
ვე სახელოსნოში მაინც შეიძლება იყოს დამზადებული.

ვანის რაიონში აღმოჩენილი სხივანა საყურები და სასაფეთქ-
ლები საქართველოში ნაპოვნ სხვა ნიმუშებთან შედარებით უფრო

³¹ შრ. ა. კ ყ თ ნ ი ა, აღრენტიკური ხანის ოქროს საყურები ვანის ნა-
ჭალაქარიდან, ვანი III, გვ. 81—100.

³² ვანი I, გვ. 15.

³³ Г. Д. Филимонов, О доисторической культуре в Осетии, При-
ложение к XXXI, т. Известий общества любителей Естествознания, Антро-
пология и Этнографии, М., 1878, с. 30—31.

³⁴ Е. М. Придик, Новые Кавказские клады, сбор. Материалы по ар-
хеологии России, т. 34, Петроград, 1914, с. 98; Р. К. Кинжалов,
Золотая серьга из Бори, сбор. Сообщения гос. Эрмитажа, VII, Л., 1955, с. 32
—33.

³⁵ ა. კ ა ხ ი ძ ე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები,
თბ., 1971, გვ. 63—65, ტაბ. XIII, 1.

³⁶ Р. К. Кинжалов, Золотая серьга..., с. 32—33.

³⁷ Б. А. Куптина, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941,
с. 45.

³⁸ И. А. Гзелишвили, Железоплавильное дело в древней Гру-
зии, Тб., 1964, с. 37.

³⁹ გ. ვ თ ბ ე ჯ ვ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველო-
ში, თბ., 1952, ტაბ. XVII.

⁴⁰ გ. ნ ი დ ი რ ა ძ ე, ყვირილის ხელის არქეოლოგიური ძევლები, თბ.
1975, გვ. 33, სურ. 1.

მღილრულადაა გაფორმებული⁴¹. ვანის ნაქალაქარზე ამგვარი საყურები გვხვდება № 6 და № 11 სამარტებში, რომლებიც დათარიღებული არიან ძვ. წ. V და IV საუკუნეებით⁴².

აძრიგად, საფიქრებელია, რომ მთისძირის თითქმის ანალოგიური „სხივანა“ საყურები დამზადებულია ზოგადად ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, როდესაც კოლხური ოქრომჭედლობა გარკვეულ აღმავლობას განიცდიდა. სოფ. მთისძირის „სხივანა“ საყურის გაფორმებაში ჩვენ ვხვდებით ერთგვარ გეომეტრიზაციას, რაც დამახსასიათებელია ძვ. წ. V-IV სს. ვანის ოქრომჭედლობის ნიმუშებისათვის, და აგრეთვე ამ დროსვე გავრცელებული დამუშავება-შემკულობის ზოგიერთი სახისათვის, როგორიცაა — ცვარა, დაკეპნვა, წნული, ვარდული⁴³.

2. სოფ. მთისძირის „ნაშუების“ სამარხის ოქროს კისრის რკალი (ხატისულელი) ჭრილში მრგვალია. მას შეა ნაწილსა და ბოლოებზე ირგვლივ შემოუვება რელიეფური ხაზები. ბოლოებისკენ კისრის რკალი ოდნავ მსხვილდება. ეს გამსხვილებები კისრის რკალის ორივე ბოლოში შედგება ორ წრიულ ხაზს შორის მოქცეული მოგრძო ჭდებისაგან. კისრის რკალის დიამეტრი ჭრილში 0,3 სმ, ხოლო მისი თავდაპირველი სიგრძე 35 სმ-მდე იქნებოდა. კისრის რკალი აღლად იყო გადატეხილი. შეიძლება ეს გადატეხა მოხდა სარიტუალო ქისრის რკალის ერთი ნატეხის ბოლო გაბრტყელებულია. ცნობილია, ნივთ-სამკაულის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტიპის კისრის რკალები და სამაგურები გვხვდება ყანჩიერის, ალგეთის, ითხვისის, დაბლაგომისი და ახალგორის არქეოლოგიურ მასალაში. ხოლო ეს ძეგლები სპეციალისტების მიერ თარიღდება ძვ. წ. V-IV საუკუნეებით⁴⁵.

⁴¹ ა. ჭ. თ ნ ი ა, „კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების ძირითადი საფეხური ვანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ოქტოხები — ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წ., თბ., 1973, გვ. 10—12; ა. ჭ. თ ნ ი ა, აღრენტიური ხანის ოქროს საყურები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი III, გვ. 81—88.

⁴² ახ. თ. ლორთქითა ფანია, ძეგლი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 29.

⁴³ ა. ჭ. თ ნ ი ა, დას. ნაშრ., გვ. 10—12.

⁴⁴ H. B. X o s t a r i a, დას. ნაშრ., გვ. 154; სამწუხაროდ, კისრის რკალი და ფინარგულია და ვეერდნობით ნ. ხოშტარის მიერ მოყვანილ აღწერილობას.

⁴⁵ ა. გაგ თ შ ი ძ ე, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, კრებ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომზე, XXVII—B, თბ., 1967, გვ. 53—93,

3. რკინის მოლუნული, გოხისმაგვარი ნივთი განივ ჭრილი მრგვალია. მას მომწვანო ლაქები აქვს და ძლიერ დაუანგულია. ტკინის ამავე ნივთის ნატეხი, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ენსექთ 1974 წ. ორივე ნატეხის სიგრძე 36,3 სმ-მდეა. საფიქრებელია, რომ ეს რაიმე ჭურჭლის ყური იყო.

4. ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები⁴⁶. ამავე ჭურჭლის სხვა ნატეხები აღმოჩნდა 1974 წელს, რის შემდეგაც საშუალება მოგვეუყვრო სრულად წარმოგვედგინა ამ ჭურჭლის სახე. რესტავრაციის შემდეგ გაირკვა, რომ ჭურჭლის კედლის სისქე 4 მილიმეტრამდეა. მას კარგა დიდი პირი ჰქონია, ხოლო პირთან დაუყვება ლარი, რომელიც ყველა პირის ნატეხს კარგად ემჩნევა. ერთ-ერთი ნატეხის მისედევით დავადგინეთ, რომ ჭურჭელს ორი რელიეფური ზოლიც დაუყვებოდა. შემორჩენილია აგრეთვე ჭურჭლის ძირის ნატეხები. როგორც ჩანს, ჭურჭლის ძირს უფრო ნაკლები შემოწერილობა აქვს, ვიდრე პირს. ჭურჭლის ძირს წრიულად მოკრული ჰქონდა ბრინჯაოს სარტყელი, რომლითაც უფრო მყარად იდგა.

5. სოფ. მთისძირის „ნაშუების“ სამარხში აღმოჩენილი ნივთებიდან სანიტერესო ვერცხლის ყანწ-რიტონი (სურ. 19,20). ის ტორევტიკის საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს და საგანვებო შესწავლის ღირსია. სამწუხაროდ, იგი ძალზე დაზიანებულია, შემორჩენილია ორი ფრაგმენტი. ერთია ვაც-კაცის გამოსახულება, რომელიც ჩამაგრებულია ყანწის მსგავსი ჭურჭლის გადანატებში, ხოლო მეორე — სუროს გამოსახულებიანი გაბრტყელებული ფირფიტა (ზომა 18,4 × 14,4 სმ), რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ფორმა. აქამდე მკვლევრები მას სხვა ჭურჭლის ნატეხად მიიჩნევდნენ⁴⁷. მე მიზანშეწონილად მიმაჩნია ეს ორივე ფრაგმენტი განვიხილო ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და აღწერის მეტი მოხებებულობისთვის მათ პირობითად სამ ნაწილად ვყოფ: პირველი — ფიგურა ვაც-კაცის გამოსახულებით, მეორე — ორნამენტირებული ნაწილი, რომელშიც ჩამაგრებულია ფიგურა; მესამე (ცალკე) ნაწილი — სუროსგამოსახულებიანი დეფორმირებული ფირფიტა⁴⁸.

I ა) ფიგურას აღამიანის თავი, თხის რქები, ყურები და ჭვედა კიდურები აქვს. მარცხენა რქა უკან არის გადაზნექილი და ნაკლებ.

⁴⁶ რკინის უფრი და ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები ინახება ვანის არქეოლოგური ექსპედიციის ფონდებში.

⁴⁷ H. B. X o s t a r i a, დას. ნაშრ., გვ. 154—161.

⁴⁸ ვერცხლის ყანწ-რიტონი ინახება დაბა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მოხრილია (ეს ჩემა მორყეულია და, აღმათ, შეცვლილ მდგომარეობაშია). მარჯვენა ჩემა უფრო მოღუნულია და წვერი მარტხენა ჩემის კენაა მიცემული. ჩემის, რომლებიც წრიულადა დაღარული, ცალკეა დამზადებული და შემდეგაა დამაგრებული თავზე. გამოსახულება წარმოდგენილია დაცვეტილი ყურებით, რაც დამახსიათებელია გარეული თხისათვის. მარცხენა ყურის ბოლო მარჯვენისაკენაა გადახრილი. შუაზე გაყოფილი თმა გამოსახულია ვერტიკალური ხაზებით და პორიზონტალური რელიეფური ტალღებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავის გარშემო ნაწინავია შემოვლებული, ხოლო თმის გაგრძელება კეფაზე და კისერზე წარმოდგენილია ე. წ. ქერცლისებური ორნამენტით. კისერი მასიური და სქელია. ფიგურის მკერდამდე დაფუნილი აქვს ვერტიკალური ხაზებით და პორიზონტალური რელიეფური ტალღებით გადმოცემული წვერ-ულვაში. პირის ჭრილის ბოლოები დაბლაა დაღუნული. თვალები მოცემულია მაღალი რელიეფით; ჭრილი ოვალურია; მარცხენა თვალის ჭრილი ობნავ ზემოთ არის მარჯვენასთან შედარებით; თვალები ერთმანეთთან ახლოს არის ჩამჯდარი. მაღალი რელიეფითვე წარმოსახული წარბები გადაბმულია. ყვრიმალის ძვლები ამოზნებილია; პროფილი მკვეთრია და კარგადაა გადმოცემული; ცხვირი სწორი და მასიურია. ფიგურის მკერდზე შეიმჩნევა გამოსახულება დიდი (ფოთლისებური) ყურებით, თავზე ბალნით და ძირს დაშვებული ფეხებით.

I ბ) ვაც-კაცის ფიგურის აქვს წყვილჩლიქოსნისთვის (თხისთვის) დამახასიათებელი ფეხები (ჩლიქები). წინა ფეხებზე, მუხლის ზემოთ, მარაოს მსგავსი ორნამენტი აქვს; მარცხენა შედარებით პატარა ზომისაა. უკანა ფეხებზე ეტყობა ჭდების ერთი ჩრდი. განსაკუთრებით კარგად ჩანს მარჯვენა უკანა ფეხის გაყოფილი ჩლიქი. ჭდები დაუყვება გამოსახულების ზურგსაც და კისერთან უერთდება უკვე ნახსენებ ქერცლინარ ორნამენტს (თმას).

გულმოდგინე დაკვირვების შედეგად შეიმჩნევა ირიბი ჭდეებით შემკული ტანსაცმლის მსგავსი რამ. ასეთივე ჭდეებია მუცელზე.

II. ვაც-კაცის ფიგურა ჩამაგრებულია წაკვეთილი კონუსის მსგავს გადანატებში, რომელიც, აღმათ, ჭურჭლის (ყანწ-რიტონის) დაბოლოებას წარმოადგენდა (როგორც ჩანს, ორივე ნაწალი ცალკეება დამზადებული და შემდეგ შეერთებული). ეს გადანატები შემკულია დაბალი რელიეფით გამოსახული წრიული გორმეტრიული ორნამენტით, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად.

II ა) პირველი და მეორე ნაწილების გადაბმის ადგალს მოსდევს გორმეტრიული ორნამენტი, შემდგარი ორმაგი ხაზებით გა-

მოსახული 6 სამკუთხედისაგან. ამ სამკუთხედების შიგნით მოთავსებული პორიზონტალური ხაზები გადმოცემულია პაწაწინა კლეიპით ხაზების რაოდენობა სამკუთხედში სხვადასხვაა.

II ბ) მომდევნო გორმეტრიული ორნამენტი ცხრა რომბითაა წარმოდგენილი. აქც, ისევე როგორც სამკუთხედებში, ხაზები გადმოცემულია პაწაწინა კლეიპით.

II გ) რომბშულ იორნამენტს მოსდევს მსხვილი რელიეფური ხაზები, რომლებიც ჩამოჰვევანან ე. წ. წლოვანების წრეებს. ასეთივე დაღარული რელიეფური წრეებია ყანწ-რიტონის მესამე ნაწილზეც. ეტყობა, ამ წრიულ ხაზებს ჭურჭლის უმეტესი ნაწილი ეკავა.

III. მესამე ნაწილი ძალიან დაზიანებულია (გაბრტყელებულია). თუ შევეცდებით მისთვის პირვანდელი ფორმის დაბრუნებას და მოვლუნავთ, ცხადი გაზდება, რომ ეს არის რაღაც ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი. მისი ორნამენტების (რაც მიუხედავად დაზიანებისა, კარგად არის შემორჩენილი) პირველი ორი ნაწილის ორნამენტებთან შედარებისას ჩანს, რომ ორნამენტის გადმოცემის ხერხები სამივე ნაწილზე ერთი და ივივა. წრიული ხაზები მესამე ნაწილზეც ისეთივეა, როგორც მეორის ბოლოზე (ე. წ. წლოვანების წრეები). ისინი გადმოცემულია რელიეფური ხერხით და დიდი ადგილი უჭირავს მესამე ნაწილზე. ამ წრიული ხაზების ზევით და ქვევით, ორ-ორ ხაზს შეუა (რომლებიც აგრეთვე რელიეფურადა გადმოცემული და აქვს ვერტიკალური ჭდეები) მოქცეულია ოთხი ძაფისგან შემდგარი თოკის მსგავსი ორი ე. წ. გრეხილი ორნამენტი, რომლებიც ერმთანეთისაგან ძაფების განლაგებით განსხვავდებიან.

ორნამენტის გადმოცემის ერთგვარობა, მასალის ადენტურობა და აღდგენილი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ მესამე ნაწილი წარმოადგენს იმ ჭურჭლის — ყანწ-რიტონის პირ-გვერდს, რომლის ბოლოს გადანატები შემორჩენილია ცალკე, პირველ-მეორე ნაწილების სახით (სურ. 21).

ყანწ-რიტონის პირ-გვერდის ზედა ნაპირს წრიულად დაუყვება მცენარეული ორნამენტი, რომელიც სუროს გამოხატავს (ორნამენტის სიგანე 4 სმ-მდე) საფიქრებელია, რომ აქ გამოსახულია კოლხური სურო (კ. კოხის მიხედვით), რომელიც კოლხეთის გარდა გავრცელებულია ჭანეთში, ართვინის მხარეს და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე⁴⁹. ცნობილია, რომ სურო დაკავშირებულია დიონისეს კულტთან და ხშირად გვხვდება ხოლმე დიონისესა და, განსაკუთრებით, მისი თანმხელები სილენის, მენადების და სატირების გამოსახულებებ-

⁴⁹ ს. ვაკე ვილი, ჩვენი ხეები და ბუჩქები, თბ., 1960, გვ. 38. სურ. 16.

ზე⁵⁰. სოფ. მთისძირის ზემოთ განხილული ყანწ-რიტონის გარდა სუროს გამოსახულება გვხვდება სხვა რიტონებზეც. მაგ.: ბულგარე-თში ე. წ. „როზოვეცის განძულობის“ რიტონზე⁵¹ ან ერმიტაჟში დაცულ ცხენისგამოსახულებიან რიტონზე⁵².

ვაც-კაცის ფიგურისა და მთლიანად ყანწ-რიტონის შემკულობა-
ში უხვადაა გამოყენებული ჩელიეფური ორნამენტი. ოსტატი ეცადა
ე. წ. ქერცლისებური, მარაოსებური და ირიბი ჭლევებისაგან შემდგა-
რი ორნამენტებით გადმოეცა ფიგურის კუნთები და ცალკეული
ნაკვთები. შემკულობის ტექნიკა წარმოდგენილია ამოკაწვრის და
დაჭდევის ხერხებით. ნახმარია წამახულწვერიანი სპეციალური ინ-
სტრუმენტები.

რიტონი ძირითადად იხმარებოდა ღვინის სასმელად. მას ჰქონდა ცხოველის რქისებური მოყვანილობა, ხოლო ქვედა ნაწილი სხვა-დასხვა არსებათა სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენდა. რიტონები ძირითადად ორგვარია: 1 — მოკლეყელიანი რიტონები, რომლებიც ცხოველის დიდი თავის გამოსახულებას წარმოადგენენ და 2. — რიტონები ყანწისმაგვარი ფორმისა, რომელთა ბოლოზეც გამოსახულია პატარა ფიგურები⁵³. სწორედ ამ უკანასკნელისნაირია სოფ. მთისძირის რიტონი.

ცხოველის ჩექს ადამიანი დიდი ხანია იყენებს სასმისაღ. საქართველოში ამგვარ სასმისს ლვინის სასმელად იყენებენ და ყანწს ეძნიან. საქართველოში მეღვინეობის ძალიან ჭელი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ყანწ-რიტონი აქ სასმისების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა.

საერთოდ, რიტონის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს⁵⁴. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რიტონი დაამზადეს მცირე აზიაში⁵⁵. მეორე ნაწილის აზრით, რიტონის საშობოო

⁵¹ сб. Фракийское искусство..., таб. 277.

⁵² об. Тревер К. В., Памятники греко-бактрийского искусства М.-Л., 1940, таб. 33.

⁵³ Б. Н. Аракелян, Клад серебряных изделий из Эребуни, СА, 1971, № 1, զ. 144 ս. 91 թունաբերդության տօնիքականը.

⁵⁴ ob. Šárka Svoboda, B. Svoboda, D. Cončev, Neue denkmäler antiker toreutik, Praha 1956; H. Hoffman, Tarentine Rhyta, Mainz 1966.

55. ට. මංගල ආනාජ 30 ලං, ප්‍රාග්ධනුවල තෙලුගු තොටෝ සිතුරුව, තද., 1961,

საძებნელია ირანისკენ⁵⁶, საიდანაც შემდეგ გვარცელდა სრვაგან; ხოლო პ. ტრევერის⁵⁷ და მ. მაქსიმოვას⁵⁸ აზრით, გამორიცხულია, რომ ჩიტონები გაჩენილიყო მაინცდამაინც ერთ რომელიმე ცენტრში და იქიდან გავრცელებულიყო შემდეგ სხვაგან. მეც ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ რიტონი შეიძლება სრულიად დამოუკიდებლად გაჩენილიყო მეცნველობის მიმდევარ (რევსანი პირუტყვის მომშენებელ) ამა თუ იმ ტომში მათი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. გამოფხეული გასუფთავებული რქა თავისი ფორმით ყველაზე უფრო ბუნებრივი, ჩვეულებრივი და მარტივი სასმისია. მისი ჯერ კიდევ დაიდი სხის წინათ სასმისად გამოყენების ერთ-ერთი საბუთია ქვის ხანის გამოსახულება—ქალი რქის ყანწით ხელში (ბარელიეფი ლოსკელიდან, საფრანგეთი)⁵⁹, რომელსაც ასევე ეწოდება — „ვენერა რქით“. თავისი ფორმის მიხედვით ყანწ-რიტონს ნათლად ეტყობა, რომ თავდაპირველად ის მზადდებოდა ცხოველის რქისაგან, ხოლო დროთა განმავლობაში დაიწყეს მისი სხვადასხვა მასალისაგან და სხვადასხვანაირად (ფორმები) დამზადება. ეს სხვადასხვაობა აშერად შეიმჩნევა და შეიძლება მათი ღანწილება დამახასიათებელი ნიშნებით გეოგრაფიული მხარეების მიხედვით.

ყანწ-რიტონის დამზადებაში უფრო განვითარებული საფეხური უნდა იყოს მთლიანად ლითონისაგან მისი გაკეთება, როგორიცაა „მთისძირის“ ყანწ-რიტონი. როგორც ჩანს, ამ ღროსისთვის რიტონი უკვე სარიტუალო ჭურჭლის დანიშნულებას იძებს. მას ჩვეულებრივი რქის მიბაძებით ამზადებენ ლითონისაგან, თიხისაგან⁶⁰ ან სპილოს ეშვისაგან⁶¹ საგანგებო რელიგიური ცერემონიალებისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია გამოსახულებები, სადაც მთოლემოვნები პერსონაჟებს ხელში ყანწ-რიტონი უჭირავთ. მაგალითად, გუდაუთის რაიონში აღმოჩენილია მჯდომარე აღამიანის გამოსახულება. მას ხელში ყანწ-რიტონი აქვს⁶². მცხეთაში არმაზისხვის

⁵⁶ M. Rostovtzeff, The animal style in South Russia and China, London 1929, p. 7-14.

⁵⁷ Тревер К. В., лаб. №36, гл. 107—108

⁵⁸ М. И. Максимова, Ритон из Келермеса, СА, XXV, 1956, с. 215—235.

⁵⁹ сб. А. А. Монгайт, Археология Западной Европы, т. I, М. 1973, с. 153—рис. 2.

⁶⁰ ob. — H. Hoffman, Tarentine Rhyta, Mainz 1966

⁶¹ сб. — Қоғам бейнеси бөлімшесі, М. Е. Массон, Г. А. Пугаченко а. Парфянские ритоны Нисы, Труды «ЮТАКЭ», Ашхабад, 1959, т. IV.

⁶² Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, таб. XVII, рис. № 11.

№ 6 სამარხში ნაპოვნია ქალღმერთ ფორტუნას გამოსახულება „სიუხვის ყანწით“ ხელში⁶³, ან კიდევ მავე ქალღმერთის გამოსახულება, „სიუხვის ყანწით“ ვერცხლის ლანგირზე ციხისინიდან⁶⁴. 1973 წ. ვანშიც აღმოჩნდა „დიონისეს“ მცირე ფიგურა „სიუხვის ყანწით“ ხელში⁶⁵ და ა. შ.

გამოსახულება-ფიგურები ყანწ-რიტონით ხელში საქართველოს გარეთ ბევრგანაა დადასტურებული. ყანწ-რიტონის საკრალურ-რელიგიურ ღანიშნულებაზე მიგვანიშვებს აგრეთვე მისი „სიუხვის რქად“, ყანწად წარმოდგენა. „სიუხვის ყანწი“ არის სიმდიდრის და დოვლათის ფრიად გავრცელებული სიმბოლო. ამგვარი ყანწ-რიტონი — „სიუხვის რქა“ ერთ-ერთი ატრიბუტი იყო გვას, ერქვენეს, პლუტოსის, ფორტუნას, ტიხეს, ხანდახან კიბელას, დიონისეს, დიხშანას⁶⁶ და კიდევ ზოგიერთი სხვა ღმერთის თუ ქალღმერთის სიმბოლურ სახეში, რაც ხშირად გვხვდება მათ გამოსახულებებშე.

ყანწ-რიტონის სამარხეულ ნივთებში შეხვედრის სახშირე და ზოგიერთი ყანწის სასმისაც ხმარების უვარვისობა-მოუხერხებლობა გვავარაუდებინებს, რომ ყანწ-რიტონის ერთ-ერთი საკრალური ფუნქცია იყო მისი გამოყენება მიცვალებულის კულტონ და ფიგურებულ რიტუალში (სამარხში ჩატანება, ან სულის მოსახსენებელ დღე-ებში განსვენებულის საფლავზე ყანწ-რიტონით მოსახსენებლის შესმა და ა. შ.). მაგალითად, ერმიტაჟის ცხენისგამოსახულებინი რიტონი, რომელსაც ძალიან მოუხერხებელი პირი აქვს სასმელად⁶⁷, ან ყანწ-რიტონები პანაგურიშტიდან (ბულგარეთი)⁶⁸. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს ყანწ-რიტონის სარიტუალო-დეკორატიულ დანიშნულებასაც. მთისძირის ყანწ-რიტონს კი, ალბათ, უფრო პრაქტიკულ-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

სოფ. მთისძირში აღმოჩენილ ყანწ-რიტონს ჭერჯერობით ზუსტი და პირდაპირი ანალოგია არ ექვენება⁶⁹. მთატვრული სტილის თვალ-

⁶³ მცხთა, I, თბ., 1955, ტაბ. XVIII, VIII.

⁶⁴ ნ. ხოშ ტარია, ციხისძირი, თბ., 1962, ტაბ. III.

⁶⁵ ინვ. № 07:1:73:648.

⁶⁶ იბ. კ. ტრევერის დას. ნაშრ., ტაბ. 15, 17.

⁶⁷ ინვ. ტაბ. 33.

⁶⁸ Bulgaria's treasures from the past, the gold treasure of Panagyurishte, Sofia 1965; Венедиков И., Панагюриштенски клад, София, 1961.

⁶⁹ თხის გამოსახულებანი რიტონი ხშირად გვხვდება, რიტონი „სემიბრატნი“ ყორლინდან, იბ. Goldschatz der skythen in der Eremitage, Len. 1970. ტაბ. 117, 119; რიტონი პანაგურიშტიდან, И. Венедиков, Панагюриштенский клад, София, 1961, ტაბ. 12. მაგრამ თხა-აღმირის გამოსახულებანი რიტონი ჭერჯერობით მარტო მთისძირშია დადასტურებული.

სასრისით იგი რამდენადმე უკავშირდება აღმოსავლურ ე. წ. აქე-მენიდურ სტილს, ხოლო ე. წ. აღმოსავლურ-ბერძნული სტილისაგან უფრო შორს დგას. რქების გაღმოცემა დაღარული წრიული ხაზებით დამახასიათებელია „აქემენიდური“ ხელოვნებისთვის⁷⁰. ჰორიზონტ-ოლურ-რელიეფურ ზოლებიანი და კანელურებიანი რიტონები ხშირია⁷¹ და მათი უმრავლესობა აღმოსავლური წარმოშობისაა. აღმოსავლური სტილის დამახასიათებელია აგრეთვე ვაც-კაცის მცერდზე გმოხატული ცხოველის ყურების ფოთლისებური მოყვანილობა⁷².

საყურადღებოა, რომ ვაც-კაცის ფიგურის გაღმოცემაში გამოყენებულია ე. წ. წიწვისებური ორნამენტი, რომელიც გარკვეული ჰერიოდის კოლხურ კერამიკას ახასიათებს და გეომეტრიული ორნამენტი, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო ძვ. წ. V-IV საუკუნეების ძვროს იმ სამკაულების სტილთან, რომელთა კოლხური წარმოშობაც ამჟამად უდავოა (ოქროს დიადემა, „სხივანა“ და ჭვირულ-ბურთულიანი საყურები, სასაფეთქლე რგოლები⁷³). მათი ზოგიერთი ორნამენტი მეორდება აგრეთვე ამავე ტრიოს ვერცხლის ნაკეთობებზე⁷⁴. ორნამენტის ეს მსგავსებაც გვაფერებინებს, რომ სოფ. მთისძირის „ნაშეუების“ სამარხში ნაპოვნი ყანწ-რიტონი ზოგადად ძვ. წ. V-IV სს. უნდა იყოს დამზადებული. ამის საფუძველს გვაძლევს მასთან ერთად აღმოჩენილი ნივთებიც.

მთისძირის ყანწ-რიტონი უნდა იყოს ადგილობრივი ხელოსნის ნახელავი. რომელიც განიცდიდა მაშინდელი აღმოსავლური (ე. წ. აქემენიდური) ხელოვნების გავლენას; ხოლო სიუჟეტი (ფიგურის სახე), ჩემი აზრით, ადგილობრივი რელიგიური წარმოღების ჟაჟოფია.

ყანწ-რიტონის ბოლოზე, როგორც ეს ზემოთაცაა აღნიშნული, ნახევრად აღამიანი და ნახევრად თხა ანუ ვაც-კაცია გამოსახული. მეის გავაიგივე ნადირთმფარველ ღვთაება ოჩოპინტრე-ოჩოპინტე-ოჩო-

⁷⁰ შრ. მაგ., Kantor H., Achaemenid jewellery in the Oriental Institute, journal of Near Eastern Studies XIV, №1, 1957, ტაბ. IV, V.

⁷¹ იბ. Goldschatz der... დას. ნაშრ., გვ. 117; 119; K. B. Тревер, დას. ნაშრ. ტაბ. 33; ბ. Н. Аракелян, დას. ნაშრ., გვ. 148; სურ. 5; P. Фрай, Наследие Ирана, M., 1972, სურ. 121, 122, 123.

⁷² თო. ლ თ რ თ ჭ ი ფ ა ნ ი ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 33.

⁷³ თო. ლ თ რ თ ჭ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის სტილისათვის, თსუ შრომები, თბ., 1971, B I (138), გვ. 51—63.

⁷⁴ ვანი, I, გვ. 19.

კოჩთან⁷⁵ (ვაც-კაცი), რომლის სხეულის ზოგიერთი ნაწილი მამალი თხისა, ხოლო ზოგიც — ადამიანისა, ისევე, როგორც ეს სოფ. მთისძირის ყანწ-რიტონზეა გამოსახული. ნადირობმარველი ღვთაება ოჩოპინტრე გავრცელებული მითოლოგიური სახე უნდა ყოფილიყო მთელ დელ საქართველოში⁷⁶. საინტერესოა ექვთიმე მთაწმილელის ცნობა ქართველთა წარმართობისძროინდელი ღვთაების (ზოჩი) სახელის შესახებ, რომელიც ი. ჯავახიშვილს გაიგივებული აქვს ოჩოპინტრესთან: „სახელის-დებანი იგი საქართველოთა ქერპანი, რომელი მათ ღმრთად შერაცხნეს რომელნიმე მამათა და რომელნიმე დედათა — სრულიად მოისპერ: დიოს, ანუ აპოლონს, ანუ არტემს ანუ ბოჩი (ოჩოპინტრე — გ. გ.) და გაცი, და ბადაგონ, და არმაზ ანუ რომელ იგი წნევასა ყურძნისასა ბილწისა შის დიონისეს საჭელსა იტყვიან, და სიცილსა აღაზრენენ, ესე ყოველი საეშმაკო არს...”⁷⁷ საგულისმმა, რომ ღვთაება ბოჩი (ოჩოპინტრე) ნახევრებია დიონისეს სახელთან ერთად. საფიქტებელია, რომ ვაც-კაცი რამდენადმე დაკავშირებული იყო დიონისეს მისტერიებთან. ამაზე მიგვანიშნებს სუროს გამოსახულება მთისძირის ყანწ-რიტონზე, რომელიც დიონისეს წრის ღვთაებისთვისაა დამახასიათებელი და თვით ყახწრიტონის, ღვინის შესასმელი ჭურჭლის დანიშნულება. ოჩოპინტრეს (ვაც-კაცის) თავისი ფუნქციით და გამოსახულებით საერთო ნიშნები აქვს ბერძნულ ღვთაება პანთან, რომელიც ხშირად აგრევე თხაკაცად არის გამოხატული. ბერძნების წარმოდგენით პანი მხიარული ტყის ღმერთია. პანის გამოსახულება საქართველოში რამდენიმე აღგილასაა დადასტურებული. საერთო ბერძნული რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ პანი დიონისეს ერთ-ერთ თანმხლებ ღვთაებად იქცა.⁷⁸

სრულიად არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ვაზის კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს, ყოლოდათ დიონისეს მსგავსი ადგილობრივი ღვთაება⁷⁹ თავისი თანმხლები ღვთაებითურთ (ოჩოპინტრე), რომელთანაც ასიმილირდა საბერძნეთიდან შემდეგ გავრცელებული დიონისეს კულტიზა.

⁷⁵ ამ სიტყვების ეტიმოლოგიასთვის იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის სტორა, წიგნი I, თბილისი, 1960, გვ. 82—88; ნ. გაფრინდშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 234.

⁷⁶ იხ. ი. ჯავახიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 85.

⁷⁷ მცირე სულის ენონი (გმოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა), თბ., 1972, გვ. 58.

⁷⁸ Dictionnaire de la Mythologie, Paris, 1969, გვ. 342.

⁷⁹ ვანი I, გვ. 19.

⁸⁰ В. Тарн, Эллинистическая цивилизация, М., 1949, с. 307.

ქართულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი დღესასწაულების ზოგიერთი რიტუალური მომენტი — თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება და სხვ. (მაგ., ბერიკობა) გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, სოფ. მთისძირის რიტონზე სწორედ ამ ღვთაებებთან დაკავშირებული მისტერიების დროს თხად გადაცმული მამაკაცია გამოსახული, რომელიც ღვთაება ოჩოპინტრეს (ვაც-კაცს) განასახირებდა.

რაც შეეხბა სამარხს, სოფ. მთისძირის „ნაშუების“ სამარხი კლდოვან დედაქანში იყო ამოკვეთილი⁸¹. მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ხის სარეცელზე⁸². სამარხი თიხა-მიწით და ქვა-ლორლით იყო ამოქსებული, ხოლო ზემოდან ქვა ედო⁸³. აქ იყო ვანში (ახვლედიანების გორაზე) აღმოჩენილი სამარხების მსგავსი ორმოსამარხი. ამაზე მიგვანიშნებს როგორც სამარხის ტიპი, ასევე გადარჩენილი ინვენტარი. ამ ინვენტარის შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ სოფ. მთისძირის სამარხი ეკუთვნის ადგილობრივ წარჩინებულ პირს. შესაძლოა, რომ ეს დიდებული ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი გარკვეულ როლს ასრულებდა „ვანის ქვეყნის“ სასოფლო რაიონების („მთისძირის“) მართვა-გამგეობაში.

სოფ. მთისძირის ამ წარჩინებულის სამარხში ჩანს ქვ. წ. V-IV სს-თვის დამახასიათებელი (იხ. ზემოთ) ტრადიციული ელემენტები, რაც გვაფიქტებინებს, რომ ეს სამარხი ზოგადად ქვ. წ. V-IV სს. უნდა თარიღდებოდეს.

„ნაშუების“ ამ სამარხის სინქრონულ სამარხებთან შედარებისას (ვანი⁸⁴, ითხვისი⁸⁵) დაკრძალვის წესი დაახლოებით ერთნაირი ჩანს, მაგრამ ქონებრივი განსხვავება შეიმჩნევა.

⁸¹ „ნაშუების“ სამარხის თითქმის მთლიანი განაღებურების გამო ჩვენთვის უცნობია სამარხში ნიერების ვან ლავება, მიტომ სამარხზე მხოლოდ გათარჩენილი ნიერების მიხედვით, კ. სტურუას გაღმოცემით და 1974 წ. არქ. ლაზევრების შედეგებით შეიძლება მსჯელობა.

⁸² ვავის ენოთ რენის ლურსმანი, ინვ. № 07:6; 74:134.

⁸³ სამარხის აღმოჩენის კოლმეურნე კ. სტურუას ნათევამის მიხედვით.

⁸⁴ იხ. ვანი I, გვ. 111—133; 203—239, სურ. 183, 184.

⁸⁵ იხ. ი. გამო შიგ ე. ითხვისის სამარხი, ერქ. საქართველოს სახელმიწოდებელის „მოამბე“, XXV—B, თბ., 1968, გვ. 31—45.

3. კერამიკა

სოფ. მთისძირში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის ზოგიერთ სახეობაზე. ასე მაგალითად, ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ძევლი „მთისძირის“ სამოსახლოს ცხოვრების მეორე ჰერიოდის, ხელისნობის ისეთი დარგის შესახებ, როგორიც არის მეთუნეობა. სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკა დანიშნულების მიხედვით საოჯახოდ (სუფრის, სამზარეულო) და სამეურნეოდ ნაწილდება. მათში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი (სურ. 12, 14).

სოფ. მთისძირში საოჯახო (სამზარეულო) კერამიკის ერთ ნაწილს წარმოდგენენ ქოთნები. ისინი ძირითადად ძირ-კედლის და პირ-ყელის ფრაგმენტებით არიან წარმოდგენილი. შემორჩენილია ავრეთა ყურების, კედლების და სუფების ფრაგმენტებიც. მათში ვამოყოფა ერთი ძირითადი ჯგუფი და მისი ვარიაციები. ქოთნებში ჭარბობს სადა პირისილიანი, მოკლეყულიანი, ან ვარელყელიანი, ბრტყელძირა და ე. წ. ზოომორფული ოვალურგანიველთანი ყურები. ხშირად გვხვდება სადა, აგრეთვე ოვალური განიველების მქონე ცურები. ნიმუშები ტანის მოყვანილობის მიხედვით ორგვარია — ქვემოთ ოდნავ მუცელგამობერილი და კასრისებური. ქოთნის კორპუსის ზედაპირი უმტესად წნევით გამოყვანილი პრიალა ზოლებითაა დაფარული. ზოგან ეს ზოლები თითქმის გადაშლილია. ქოთნის ყელი ხშირად შემცულია ირგვლივი ღარებით, რომლებიც, წამახული საგნით არის გაკეთებული. ისინი ძირითადად რუხადაა გამომწვარი, მოშავო ან მოყავისფრო ზედაპირით. ამნაირი ქოთნების ძირის დიამეტრი მეტყობს 7 სმ-დან 20 სმ-დან, ხოლო კედლის სისქე მეტყობს 6 მმ-დან 8 მმ-დან.

ქოთნებს სადა და ე. წ. ზოომორფული ყურები აქვთ. ისინი უმტესად ოვალურგანიველთანები არიან. ზოომორფულ ყურებზე რქები ხშირად სუსტადა გამოსახული. სადა ყურები უშეტესად თანაბრადა მორკალული.

სოფ. მთისძირის პირველი პერიოდის კერამიკასთან ვენეტიკურად არის დაკავშირებული მეორე პერიოდის კერამიკა. არქეოლოგიურ მასალაში ეს კარგად შეიმჩნევა ე. წ. ზოომორფულ ყურებზე დაკვირვებისას. აშკარად ჩანს, რომ შედარებით კარგად გაარიალებული და გრძელიქებიანი ზოომორფული ყურები რამდენადმე დეგრადირდება. ისინი თანდათან კარგვენ ჩქისებურ ფორმას, თიხაც

შედარებით უხეში ხდება. საინტერესოა, რომ სოფ. მთისძირში ამგვარი ზოომორფული ყურისნაირი რქებიანი სახელურის მქონე ხუფებიც აღმოჩნდა. ასეთი სახელურიანი ხუფების გარდა დასტურდება სადა, ცილინდრულსახელურიანი, დახრილკალთიანი ჩუფებიც.

სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ჯამებიდან გამოიყოფა შემდეგი ტიპები — ბრტყელძირა, ირიბკალთიანი, შესქელებული პირისკიდიანი; ბრტყელძირა, ირიბკალთიანი, პირი ჭრილში სამკუთხაგანიველთანი (ასეთი ჯამები უშეტესად დიდი ზონისებია); ბრტყელძირა, ირიბკალთიანი, შივნით პირგადაზნექილი. ჯამები ძირითადად სადა.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე ე. წ. კოლხური სასმისების თითქმის ყველა ტიპი აღმოჩნდა. ესენია: კონუსურტანიანი, ცილინდრულტანიანი, ჰიქისებურტანიანი, ფეხიანი, ძირწვეტიანი, კათხისნაირი და სხვ. კოლხური სასმისები ე. წ. წინარეგელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სახეობაა და სხვა კერამიკულ ნაწარმთან შედარებით უკეთ არის შესწავლილი⁸⁶.

ძევლი „მთისძირის“ სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვეპრებისა და დერვების ნატეხებით. როგორც ჩანს, კერამიკის ეს სახე ფართოდ იყო გავრცელებული ძევლი „მთისძირის“ მოსახლეობაში, რაღაც მათი ნატეხები ყველაზე მრავალრიცხოვანია. ქვეპრებს მარცვლეულის, ღვინის, ზეთის და სხვა სითხის შესანახად იყენებდნენ.

ქვეპრის პირის გვირგვინებს შორის გვხვდება როგორც პირგადმოწნექილი ნიმუშები, რომლებსაც განიერი, ორნამენტირებული კიდე აქვთ, ასევე განივევეთში სამკუთხედის ფორმის მქონე ფრაგმენტები. თითქმის ყველა პირი ერთნაირად არის გაფორმებული კაწვრით შესრულებული ე. წ. თევზიტხური და ბალისებური რომბული ორნამენტებით. ქვეპრის მუცელგამობერილი კორპუსი შემკულია რელიეფური ქედებით და მათ შორის აღვილი დაფარულია წვრილი კონცენტრული ღარებით. ისინი უმეტესად თანაბრად და კარგადაა გამომწვარი 750-800° ტემპერატურაზე. ქვეპრების თიხა შეიცავს კირქვის, კვარცის და ხანდახან პიროქსინის წვრილ მინარევბასაც (ძვ. წ. VI-IV სს. კოლხური ქვეპრის ტექნოლოგიური თვისებები შეისწავლა ტექნ. მეცნ. კანდიდატმა ო. ფიცხელაურმა)⁸⁷.

⁸⁶ იბ. თ. მი ქ ე ლ ა ძ ე, ძირანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-ზავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის სტორიდან, თბ., 1974, გვ. 60—65; Е. Г. Гиголაშვილი, Д. Д. Качарова, Қерамика Колхида VI—IV вв. до н. э., Қраткие сообщения института археологии АН СССР, № 151, М., 1977, с. 77—80 და იქ მოთხოვებული ლიტერატურა.

⁸⁷ იბ. 6. ვ ა ქ ა ძ ე, გ. ლ თ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კოლხური ქვეპრი, კონცენტრული დაფარული საქართველოს მეცნიერების, V, თბ., 1975, გვ. 93—106 და იქ დასახ. ლიტ.

ვერტიკალურქედებიანი ქვევრების მომდევნო ტიპად უნდა ჩაითვალოს ურთიერთგადამეცენტრედებიანი ქვევრები, რომლებიც შეიძლება წინარეელინისტურ (ადრეანტიკური ხანის ბოლო) ხანას მივაკუთვნოთ. ამგვარი ქვევრების ფრაგმენტები შედარებით ცოტაა სოფ. მთისძირში ნაპოვნი.

ნამოსახლარის ტერიტორიაზე სამეურნეო კერამიკის შეორევული, დერგები მცირე რაოდენობითა დადასტურებული. ისინი ძირითად იმეორებენ ამავე პერიოდის ქვევრების ფორმასა და შემკულობას.

სოფ. მთისძირისნაირი ამავე ხანის კერამიკა ფრიად გავრცელებულია არა მარტო მდ. რიონის შუა წელის ძველ ნამოსახლარებზე და სამაროვნებზე, არამედ მთელს კოლხეთში — სოხუმის, ოჩამჩირის, ქობულეთ-ფიჭვნარის და ბათუმის მიდამოებში. მდინარეების: ტეხურის, ცხენისწყლის, სუფსის, ნატანების, ენგურის, ყვირილის ხეობებში და სხვ. ამ კერამიკას რიგი თავისებურებები ახასიათებს.

ქ. წ. VII-IV სს. კოლხური კერამიკა სწრაფმშრუნვა ჩარჩხეა გაკეთებული. ფიქრობენ, რომ ასეთი ჩარხის გამოყენება იმას მოწმობს, რომ მეთუნეობა „დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგად“ ყალიბდება⁸⁸. აქედან გამომდინარე, მეთუნეობის ჩასხვა, როგორც ხელოსნური დარგისა, კოლხეთში, აღბათ, დაიწყო ქ. წ. II თავწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დასაწყისში, ხოლო ქ. წ. VIII-VII სს. კერამიკა რომ ამგვარ ჩარჩხეა დამზადებული (შაგ. მთისძირი, დაბლაგომი, ანაკლია), უკვე დაბეჭითებით შეიძლება ითქვას.

ადრეანტიკური ხანის ჭურჭელი გამოირჩევა ფორმების სიმრავლით და გაფორმების მრავალფეროვნებით. ამ დროის კოლხური კერამიკა გენეტიკურად არის დაკავშირებული წინ ხანის კერამიკულ ნაწარმთან. მას მიღებული აქვს წინამორბედი ხანის კერამიკის დამზადების ტექნიკური და ესთეტიკური მიღწევები. ამან განაპირობა ის, რომ მეთუნეობა ქ. წ. VI-IV სს-ის კოლხეთში ხელოსნობის ერთ-ერთ განვითარებულ დარგად ჩამოყალიბდა⁸⁹.

ამ ხანის მეთუნეობის განვითარების მაჩევენებელია თიხის ნაკე-

⁸⁸ ხ. თ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგა და საქართველოს მეცნ. სტორის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. უზრუნალი „მაცნე“ (სტორის, არქეოლოგის, ეთნოგრაფისა და ხელოვნების სტორის სერია), 1976, № 2, გვ. 114—115 და იქ დასახ. ლიტ.; ბ. А. Рыбаков, Ремесло древней Руси, М., 1948, с. 44—45.

⁸⁹ თ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგა და საქართველოს..., დას. ნაშრ., გვ. 114.

თობების მრავალფეროვნება და სიმრავლე — მრავალნაირი მოყვანილობის, დიდი მოულობის ქვევრები, დერგები; სხვადასხვაგარი ქოთნები, დოქები, სასმისები, გამები თუ ქურებისათვის (ლითონსაღნობი) განკუთვნილი საბერველი მიღები და სხვ. სამწუხაროდ, კერამიკის გამოსაწვავი ქურები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. მის მიუხედავად უკვევლია, რომ ეს კერამიკა (კოლხური კერამიკა) ადგილობრივად არის დამზადებული. ამას ადასტურებს „ტიპოლოგიური თავისებურებანი, რომელიც არ გვხვდება კოლხეთის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე თიხის შემადგენლობა. ლაბორატორიულ-ტექნიკული გურული შესწავლამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლებს თითქმის ერთგვაროვანი შემადგენლობის თიხა აქვთ“⁹⁰.

ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა ძირითადად მორუჩო ფერის, ან მოყავისფრო-ნაცრისფრებიდანია, ისინი ხშირად ან ნაპრიალებია ან წნეხვით გამოყვანილი ხაზები ეტყობათ ზედაპირზე. სხვადასხვანაირი დანიშნულების და ფორმის კერამიკა ერთიანდება შემცულობით — რომბული ბადე, სავარცხლისებური იარაღით შესრულებული ტალღვანი ორნამენტი, რელიეფური სპირალური ხაზები, კონცენტრული წრეები, ე. წ. თევზითჭური და წიწვისებური ორნამენტი. ჭურჭლის გაფორმების ეს ძირითადი სახეები ერთი და იმავე დროს სხვადასხვანაირი დანიშნულების და ფორმის კერამიკაზე დადასტურებული.

კოლხური კერამიკა თავისი მონაცემების მიხედვით საკმაოდ კარგი თვისებებისაა. მათი ფორმა და ორნამენტი უმეტესწილად პარმნიულად არის შერწყმული ერთიმეორესთან. ასეთი კერამიკული ნაწარმის დიდი რაოდენობა და მრავალფეროვნება კოლხეთის ტერიტორიაზე მოწმობს, რომ ამ დროს ჭურჭელს უკვე მასობრივად აწარმოებდნენ ფართო მომხმარებლისათვის. ამაზე მიგვითითებს კერამიკული ფორმების რამდენადმე სტანდარტიზება. ე. წ. კოლხური კერამიკის გავრცელებას ქ. წ. VII ს-დან ფიქრობენ, ხოლო ქ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული კი ის საესებით ჩამოყალიბებული სახით გვევლინება⁹¹. ეს სრულიად აქარად ჩანს სოფ. მთისძირის ამ ხანის კერამიკაზე დაკვირვებისასაც. ამგვარი კერამიკის

⁹⁰ იქვე, გვ. 113.

⁹¹ Е. Г. Гиголაშვილი, Д. Д. Кацаравა, Керамика Колхида VI—IV вв. до н. э., КСИА, № 151, М., 1977, с. 77—80.

ფართოდ გვრცელების პერიოდი კი ემთხვევა ძვ. წ. V ს-ს და IV ს-ის პირველ ნახევარს⁹². მომდევნო ხანაში კერამიკული ნაწარმი განიცდის შესამჩნევ ტიპოლოგიურ ცვლილებებს.

4. უცხოური ნაწარმი

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე ოქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის ერთი მცირე ნაწილი, კერძოდ უცხოური კერამიკა, წარმოდგენას გვიქმნის იმ სავაჭრო ურთიერთკავშირებზე, რომლის ორბიტაშიც მთელ კოლხეთთან ერთად ჩამდული იყო ძველი „მთისძირის“ მოსახლეობაც. ეს უცხოური ნაწარმი ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული ტარით (ამფორები) და საოჯახო მოხმარებისთვის განკუთვნილი შავლაკიანი ჭურჭლით (სურ. 15, 16, 17, 18, 42).

სამოსახლოს მეორე პერიოდის ამფორები, რომლებიც ღვინის, ზეითუნის ზეთის, დამარილებული თევზის და სხვ. შენახვისთვის და ტრანსპორტირებისთვის იყო განკუთვნილი, ძველ „მთისძირში“ წარმოდგენილი კუნძულ ქიოსის და ქ. მენდეს ნაწარმით.

ქიოსური ამფორების ფორმები პირველად არქეოლოგმა ბ. გრაკოვმა განსაზღვრა. მათი იდენტიფიცირება ბ. გრაკოვმა მოახდინა ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრისა და V ს-ის დასაწყისის ქიოსური ვერცხლის მონეტების საფუძველზე, რომლებსაც შუბლზე ძირშვეტიანი ყელგამობერილი ამფორის წინ მჯდომი სფინქსი აქვთ გამოსახული⁹³. შემდგომში ეს მოსაზრება უფრო და უფრო განმტკიცდა, არქეოლოგმა ი. ზეესტმა აღნიშნული მონაცემების და ჩრდილოეთ შავიზღვისპირებში აღმოჩენილი დიდალი არქეოლოგიური მასალას შესწავლის საფუძველზე მოვდა ქიოსური ამფორების კლასიფიკაცია⁹⁴. ამგვარად, დღესდღეობით უკვე შედარებით კარგადაა შესწავლილი ქიოსური ამფორები. მართალია, ამნაირი ამფორების ქვეტიპების გან-

⁹² იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ოქეოლოგია და საჭართველოს..., დასახ. სურ., გვ. 115—116; თ. მიქელაძე, ძებანი კოლხეთისა და სამხრეთა-აღმოსავაზე შემთხვევის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, ტაბ. XXIV.

⁹³ Б. Н. Г рак о в, Тара и хранение сельскохозяйственных продуктов в классической Греции в IV—III вв. до н. э. (Из истории материального производства античного мира), Известия Государственной Академии Истории материальной культуры, № 108, М.—Л., 1935.

⁹⁴ Б. И. З е е ст, Керамическая тара Боспора, МИА, № 63, М., 1960, с. 75—79.

კითარების საფეხურების მოქცევა ვიწროქრონოლოგიურ ჩარჩოებში გერჩერობით ჭირს. ქიოსურია ამფორებმა ძირითადად განვითარების ორი ეტაპი განვლო. პირველი — ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარისა და V ს. დასაწყისში მისთვის დამახასიათებელია მოელიფსო პირის კიდე, დაბალი და გამობერილი ყელი, რომელიც დახრილ მხრებს უკრთლება; კორპუსი კერაცხისნაირი მოყვანილობისაა; ფოსიანი ძირი, ფოსო შედარებით ლრმა არის; ოვალურგანიკეთიანი ყურები პირის გვირგვინის ქვეშ იწყება. მეორე — ძვ. წ. V ს. ამფორების ყელის ზედა ნაწილი გამობერილია, ხოლო ქვედა ცილინდრული; ქსულზე უჩნდება წიბო და ფოსო დაბლდება; ამფორის პროპორციები შედარებით წაგრძელებული ხდება⁹⁵.

სამწუხაოდ, სოფ. მთისძირიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალაში არც ერთი ქიოსური ამფორა არ არის მთლიანად გადარჩენილი. არც რომელიმე მათგანის მთლიანად რესტავრირება ხერხდება, რადგან ისინი დადასტურებულია მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახით, მაგალითად:

1. ამფორის პირ-ყელის და ყურის ფრავმენტი (ინვ. № 07:6:74: 241). პირს მოელიფსო მოყვანილობა აქვს; ყელი გამიბერილია; ყური პირის გვირგვინის ქვემოთ იწყება. იგი ჭრილში ოვალურია; თიხა დამახასიათებელია ქიოსური ამფორისათვის — ლია მოყვის-ფროა მოწითალო ელფერით; საკმაოდ კარგად არის განლექილი; ვიზუალურად დაკვირვებისას შეიმჩნევა ქარსისა და კირქვის წვრილი ნამცეცები.

2. ამფორის ქუსლ-კედლის ნატეხი (ინვ. № 07:6:76:228). ქუსლს ფოსო აქვს; ქუსლზე ეტყობა წიბო, თიხა დამახასიათებელია ქიოსური ამფორისათვის — ლია მოყვისფროა მოწითალო ელფერით; საკმაოდ კარგად არის განლექილი; შეიმჩნევა ქარსის წვრილი ნამცეცები. საინტერესო, რომ ფსკერზე იყო რაღაც დანალექი. გადავეცი საანალიზოდ. გამოირკვა, რომ ეს არის ყურნის წვენის ან უკვე ღვრნის დანალექი (ანალიზი ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში — პროფ. თ. კეზელი).

ქიოსური ამფორების სოფ. მთისძირშიც დადასტურება მხარს უბამს ამ ღროის კოლხეთში საერთო ვითარებას, რადგან ძვ. წ. V ს. ქიოსური ამფორების ნატეხები მრავლადა აღმოჩენილი კოლხეთის ზღვისპირა და შიდა რაიონებშიც⁹⁶.

⁹⁵ И. Б. З е е ст, Керамическая..., с. 74—75.

⁹⁶ თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და მეტა კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 85.

უცხოური ამფორების მეორე ჯგუფი, შესაძლოა, ქალაქ მენდეს ნაწარმით იყოს წარმოდგენილი (სურ. 15, 17). უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში თანდათან განმტკიცდა აზრი, რომ ე. წ. „სირჩისებურ ქუსლიანი“ ამფორები მენდეს წრეს ეკუთვნიან. მათი უმთავრესი დამახსიათებელი ნიშნებია ქუსლის ფორმა, რომელიც მაღალია, ცილინდრული და ქვედა ნაწილში ფართოვდება. მას დაბოლოებაზე პატარა, დაბალი ფოსო აქვს. ამფორის თიხა ბაცი ყავის-ფერია; ეტყობა კვარცის და ქარსის წვრილი მინარევები. ამფორის ზედაპირი რამდენადმე ხაოიანია⁹⁷.

სოფ. მთისძირის ნამოსახლარზე ე. წ. „დახურულ კომპლექსში“ (დეიშვილების გორის ზედა ტერასის ძელურ-ბათქაშიან ნაგებობაში) ორმოჩნდა ამგვარი ამფორის ორი თითქმის მთლიანი ეგზემსლარი: 1. ამფორას (ინვ. № 07:6:76:28) მაღალი, ცილინდრული და ქვედა შხარეს გაფართოებული წიბოიანი ქუსლი აქვს. ქუსლის დაბოლოებაზე პატარა, დაბალი ფოსო შეიძინევა; ცილინდრული ქუსლიდან დაწყებული ამფორის კორპუსი თანაბრად ფართოვდება; მხრები დაქანებულია და მისი შუა ნაწილიდან იწყება ყური, რომელიც ოვალურგანივეკეთიანია; თიხა ბაცი ყავისფერია მოწითალო ელფერით, ეტყობა კვარცის, ქარსის და ცოტა პიროქსენის წვრილი ნამცეცები.

2. ამფორას (ინვ. № 07:6:76:29) ცილინდრული, მაღალი ქუსლი აქვს. ქუსლი ძირისკენ სქელდება. ქუსლს ძირი წატეხილი აქვს. ცილინდრული ქუსლიდან დაწყებული, ამფორის კორპუსი თანაბრად ფართოვდება; მუცელი გამობერილი აქვს. ყური ოვალურგანივეკეთიანია; პირის კიდე ოდნავ გარეთა გადმოხრილი და გვირგვინის ძირი ღარით გამოიყოფა. ამფორის თიხა ბაცი ყავისფერია, ეტყობა კვარცის და ქარსის წვრილი მინარევები. მისი ზედაპირი ხაოიანია.

ქ. მენდეს ამფორები ფრიად გავრცელებულია ჩრდილო შავიზღვისპირეთში და თარიღდება ძვ. წ. V-IV სს.⁹⁸

უცხოური კერამიკის ერთი გგუფი შავლაკიანი ქურჭლის ფრაგმენტით არის წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ პატარ-პატარა ნატეხებით არიან შემორჩენილი. კარგად განლექილი თიხის და საკმაოდ მაღალხარისხოვანი ლავის მიხედვით ისინი ატიკურ ნაწარმს ჰვევანან. შემორჩენილია ამგვარი (შავლაკიანი) კერამიკის ერთი შედარებით დიდი ნატეხი (ინვ. № 07:6:74:57). ეს არის სკიფოსის

⁹⁷ И. Б. Брашинский, Амфоры Менды («о локализации группы амфор с рюмообразными ножками»), сб. Художественная культура и археология античного мира, М., 1976, с. 67—74 და იქ მოთხებული ლიტ.

⁹⁸ И. Б. Брашинский, Амфоры Менды..., с. 69.

ძირ-კედლის ნატეხი. ძირ-ქუსლი ცილინდრული მოყვანილობისაა, ხოლო შიდა ზედაპირი ჩაზნექილი აქვს და შასზე წრიულად არის ქუსლი. თიხა კარგად არის განლექილი და მონაცრისფრო-მოწითალო ფერისაა; ზედაპირი საკმაოდ მაღალხარისხოვანი შავი ლავით აქვს დაფარული.

შავლაკიანი კერამიკის სხვა ნატეხები იძღვნად პატარებია, რომ ძნელია მათი მიკუთვნება ჭურჭლის რომელიმე ფორმისათვის. ყველა მათგანის თიხა კარგად არის განლექილი. ერთი ნატეხი (ინვ. № 07:6:76:90) რაღაც ჭურჭლის ქუსლის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც დავინახეთ, ძველ „მთისძირში“ აღრენტიკური ხანის იძოვორტი ძირითადად კუნძულ ქიოსიდან, ქ. მენდელან და ატიკიდან შემოტანილი ნაწარმით არის წარმოდგენილი. ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანიტკური სამყაროს ამ მსხვილი საწარმოო ცენტრების ნაწარმი შიდა კოლხეთის სასოფლო თემებშიც აღწევს.

ეს ყველაფერი თანხედება (ძვ. წ. VI ს-დან) კოლხეთში ჯერ იონიურ (მაგ. ქიოსური, სამოსური, ლესბოსური), ხოლო მომდევნო ხანში ატიკის სავაჭრო-სახელმსახი ცენტრებთან ურთიერთობის აქტივიზაციას. ძვ. წ. V ს. სამოცდაათიანი წლებიდან, როცა ათენმა ქალაქი ბიზანტიონი საბოლოოდ დაიპყრო, იწყება ატიკელთა განუყოფელი სავაჭრო ექსპანსია შავიზღვისპირეთის ქვეყნებში⁹⁹. ამ სავაჭრო ურთიერთობებში კოლხეთთან ჩაბმული იყო ქ. მენდეც. სრულიად სხვა სურათი გვაქვს ძვ. წ. IV ს. ბოლოსათვის და III ს-ში — ქიოსურ და ატიკურ იძოვორტის სახაბნის სინოპტიკი ნაწარმი, რომელიც რაოდენობის მხრივ უფრო მეტია აღმოჩენილი ძველი „მთისძირის“ სამოსახლოზე.

თავი ۷

სოფ. მთისძირი ძვ. წ. IV (მეორე ნახევარი) — I სს-ში

„მთისძირის“ სამოსახლოს ცხოვრების მესამე ეტაპი მოიცავს ძვ. წ. IV (მეორე ნახევარი)-I საუკუნეებს. ამ ქრონოლოგიური ჩარჩოს ზედა თარიღის შესახებ (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი) უკვე მეონდა საუბარი და ამიტომ აქ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ხო-

⁹⁹ იბ. И. Б. Брашинский, Афины и Северное Причерноморье в VI—II вв. до н. э., 1963, с. 25—26.

შველი „მთისძირის“ ცხოვრების მესამე ეტაპის ამსახველი (მ-
წ. VI ზოლო — I საუკუნეები) არქეოლოგიური მასალა ძირითადად
აღმოჩნდა „ადეიშვილების“, „მთისძირის“, „ნიკურაძეების უბანსა“
და მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე. ამ ხანის სამოსახლო დახ-
ლოებით წინას ტოლია. სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე მოპოვებუ-
ლი მესამე ეტაპის ამსახველი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენა
შველი „მთისძირის“ ცხოვრების სხვადასხვა შხარეზე —
და სავაჭრო
ურთიერთობებზე.

1. სამოსახლო და მისი სამართვანი

՚Ծոճեցի ամ զըռքյա՛՛ կրամօրիտալ պատուղանոց գաճաեղջրալո. մագալո-
տալ, „մտօնմանուն“ շորէս վայրուն Յալաթու մելուր-ծառյա՞ման նա-
ցեցոնքին նաևտյա՞մ դաժանակուրա յամունու, ხոլու վայու նացեցի մե-
նոնքին կըալու ակլումաելու առ հանս. ամբարու մելուր-ծառյա՞ման նա-
ցեցոնքին նաևտյա՞մ առու մուցենուղու մըլու „մտօնմանուն“ ուստո-
ւունքին մըսամյ յըրակուսդրունոնդըլու մուցելու սամուսելուն լուրուրուն. սացուլուսեմու, հում ամ յըրակուս սամուսելուն մելուր-ծառյա՞ման նացո-
ծոնքին, վայրուն յըրակուսացան ցանսեցազեցիւ, վայու, եսու դա տո-
ւամունքու ցայցուենուղու ուրագունու առ Շյօմինեցա.

სოფ. მთისძირის „ნიკურაძეების უბანზე“ და „გეფერიძეების ნა-
სახლარზე“ აღმოჩენილი ქვევრსამარხები წარმოდგენას გვიშმიან
ამ დროის სამოსახლოს მცხოვრებთა დამარხვის წესის შესახებ. სოფ-
ლის ტერიტორიაზე დადასტურდა ორი ერთმანეთისაგან დაშორებუ-
ლი სამაროვანი: ერთი „გეფერიძეების ნასახლარზე“, რომელიც თი-
თქმის სულ განადგურებულია, ხოლო მეორე—„ნიკურაძეების უბან-
ზე“, რომლის ორი სამარხი რამდენადმე მთლიანად არის შემონახუ-
ლი.

სოფ. მთისძირის ქვევრსამარხები, ზოგადად ძ. წ. III-II სს. თარიღდებიან. მათი ინვენტარი კი სინქრონულ-იდენტურია დაბლა- გომში, დაფუნარში და საერთოდ მოელ შიდა კოლხეთში იღმოჩენილი ქვევრსამარხების ინვენტარისა. „გეფერიძების ნასახლარის“ ქვევრ- სამარხები ცუდადა შემონახული. კერამიკის ნატეხებთან ერთად აქ ქვევრსამარხების ფრაგმენტებში აღმოჩენილია ადამიანის ჩონჩხის ნაშთები, გრინჯაოს მრგვალგანიველთანი და გრძებილეროიანი კი- სრის რყალების ნატეხები (მაგ. ინვ. № 07:6:75:3; 2); აღმოჩენდა ავ- რეთვე მინისებური პასტის მძივები (მაგ. ინვ. № 07:6:76:91). ისინა მომწვანო ფერისაა და ვერცხლის ელფერი დაპკრავთ.

„გეფერიძების ნასახლარის“ ქვევრსამარხებთან შედარებით კარგად არის გადატჩენილი „ნიკურაძეების უბნის“ ქვევრსამარხები. ამ ქვევრსამარხებიდან, როგორც უკვე აღვნიშვნე, ორი თითქმის მთლიანად არის შემონახული. ერთი ქვევრსამარხი ჰორიზონტალურ, ხოლო მეორე ვერტიკალურ (ძირით ზემოთ) მდგომარეობაში ყოფილა მიწაში ჩადგმული. ისინი ერთმანეთისაგან დაახლოებით 30-ოდე მეტრით იყო დაცილებული. ორივე ქვევრსამარხში დადასტურდა ადამიანის თავის ქალის და ძვლების ნაშთები; კერამიკის ნატეხები. კერამიკიდან ორი დოჭი თითქმის მთლიანად არის შემონახული (სურ. 45, I). აქედან ერთი სამტუჩა, მოკლე და სქელყულიანი, ხოლო მეორე პირგადაშლილი დოჭია. ორივე დოჭის თახა ადგილობრივია (ინა-

ხებოდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში, ინვ. № 7216, № 7217; ამჟამად გამოფენილია გელათის მუზეუმში). ამგვარი კერამიკა ხშირად გვხვდება დაბლაგომის და დაფნარის ქვევრსამარხებში და ზოგადად ძვ. წ. IV ბოლო-III სს. თარიღდება.

საერთოდ, როგორც ჩანს, ძველ „მთისძირში“ სამარხად გამოყენებოდა ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების კოლხური ქვევრები. ისინი რუხადა გამომწვარი და შავზედაპირიანია; პირი ფართოა; კედლები ხშირად შემცულია ურთიერთგადამკვეთრი რელიეფური ქედებით და წვრილი კონცენტრული ხაზ-ლარებით.

ქვევრსამარხები აღმოჩენილია კავკასიის მთელ ჩივ რეგიონებში. საერთოდ, მიცვალებულის ქვევრში დამარხება, სხვადასხვა დროს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიაც ჰქონიათ წესად. ღლემდე ცნობილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ქვევრსამარხების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე და საერთოდ კავკასიაში ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ვარაუდობენ.

კავკასიაში ქვევრსამარხების გავრცელების შესახებ სხვადასხვა-გვარი მოსაზრებები არის გამოთქმული. არქეოლოგი მ. ივაშჩენკო ფიქრობდა, რომ ქვევრსამარხები დასავლეთ ამიერკავკასიიდან გავრცელდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში¹, ხოლო აზერბაიჯანელი არქეოლოგები კი ფიქრობენ, რომ ქვევრსამარხები აზერბაიჯანიდან გავრცელდა დასავლეთ ამიერკავკასიაში².

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებებისა, ცნადია, რომ როგორც არ უნდა იქნეს გააზრებული ქვევრსამარხების გავრცელების მიმართულების საკითხი, თვით ამგვარი სამარხების არსებობა კოლხეთში მევნეობა-მეღვინეობის და, საერთოდ, განვითარებული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

ქვევრსამარხების გაჩენა კოლხეთში, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ძვ. წ. IV ს. ბოლოდან არის სავარაუდო. ქვევრსამარხების რაოდენობის მიხედვით მდ. რიონის შუა-წელი ძირითადი რეგიონია კოლხეთში (ნიგორზოვა, დაფნარი, დაბლაგომი, მთისძირი, ფარცხანაყანევი, ქუთაისი, წყალტუბო, მაღლაკი, ბანოჭი, ქვიტირი, კოდოგანი, ოდილაური, იჯამეთი, ჩხარი, ძევრი,

ციხესულორი და სხვ.)³. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მის წინ არსებულისაგან და მიგვანიშნებს ცვლილებებზე დასავლეთ საქართველოს (კოლხეთი) ტერიტორიაზე. ამას კი აქ ქართების (მესხები) გაღმისახლება-ასიმილაციას უკავშირებენ⁴. შესაძლოა, რომ ამ ცვლილებების შედეგად არის დანგრეული ძეველი „მთისძირის“ მეორე ეტაპის ბოლო ხანის ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობები.

საერთოდ, სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე, მდ. რიონის შუა წელზე და მთელ ცენტრალურ კოლხეთში ძვ. წ. IV მეორე ნახევრიდან მოყოლებული, არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეიმჩნევა ახალი ელემენტების ჩასახვა, რომლებიც თანარსებობენ ქველთან. ეს ცვლილებები შეიმჩნევა დაკრძალვის წესში (ქვევრსამარხები), კერამიკაში (ე. წ. წითლად მოხატული კერამიკა, მსხლის ფორმის პირგადაშლილი დოქები, ბრტყელი ძირითადაშლილი ჯამები და სხვ.).

2. ხელოსნობა

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მესამე ეტაპის აღვილობრივი კერამიკოსების თიხის ნაწარმში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

ძეველი „მთისძირის“ ცხოვრების მესამე ეტაპის ამსახველ კერამიკულ მასალაში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა საოჯახო დანიშნულების ჭურჭელი. ამნაირი კერამიკა სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე შედარებით ცოტაა დაღასტურებული. ისინი ძირითადად წარმოდგენილია ჯამების, თევშების, ქოთნების და ღოქების ფრაგმენტებით. მათი თიხა, წინამორბედი ხანის კერამიკის თიხასთან შედარებით, უკეთ არის დამუშავებული და გამომწვარი. მა კერამიკის ზედაპირი ზოგჯერ საფარველით არის დაფარული და ნაპრიალებია. მათზე ჩშირად ე. წ. ტალღოვანი და რომბული, გაპრიალებული, ხაზებიანი ორნამენტია დატანილი; დაახლოებით IV ს. ბოლოდან უკვე ჩნდება სალებავებით შესრულებული შემკულობა (ე. წ. წითლად მოხატული კერა-

¹ მ. მ. ივაშენკი, კუвшинные погребения Грузии и Азербайджана, თეზисы, 1951, წაკითხული მოხსენების ხელნაქვედი ინახება სე. სსრ მეცნ. ფად. ისტორიის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფიის, ინსტიტუტის არქვში.

² С. М. Казиев, Альбом кувшинных погребений Мингечаври, Баку, 1961, с. 6—8 და იქ დას. ლიტ.

³ ქვევრსამარხების გავრცელების რუკა იხ. Н. Ш. Кигурадзе, Дагипарский могильник, Тб., 1976, таб. I; გ. გამყრელიძე, ქვევრსამარხები საქართველოში, თეზისები სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენციის, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, თბ., 1970, გვ. 4—5.

⁴ დაწვრილებით იხ. თთ. ლორთ ქიფანიძე, განის ნაქალაქარი, განი I, გვ. 41; მისივე, „ეანის ქალაქი“, უკრ. „ცამარი“, 1968, № 7, გვ. 133—143.

შივა). ამგვარი თიხის, ფორმების და გაფორმების კერამიკა დადასტურებულია ძვ. წ. IV (მეორე ნახევარი)-I სს. თითქმის შეულ შიდა კოლხეთში. სოფ. მთისძირის ეს კერამიკა განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ვანის და საყანჩისას თანადროულ ჭურჭელთან. გამორიცხული არ არის, მათი ნაწილი ძველი „ვანის“ კერამიკულ სახელოსნოებში იყოს დამზადებული.

სამოსახლოს ისტორიის მესამე ეტაპის კოლხურ კერამიკაში გამოიყოფა ჯამების სამი ძირითადი ტიპი. პირველი ეს არის ბრტყელძირიანი პირგადაშლილი ჯამები (მაგ. ინვ. № 07:6:76:105; № 07:6:74:209) ნაცრისფერმოყავისფრო თიხით და მოწითალო-ყავისფრად ნაპრიალები ზედაპირით; მეორე — ე. წ. ყელიანი ჯამები, აგრეთვე ბრტყელძირა და მოშავოდ ნაპრიალები (მაგ. ინვ. № 07:6:76:81; № 07:6:75:201), ხოლო მესამე ტიპის ჯამები პირით ზიგნით არიან ჩაზნექილი და პატარა ქუსლი აქვთ (მაგ. ინვ. № 07:6:76:84; № 07:6:74:98). ისინი ყავისფერ-მონაცრისფრო თიხით გამოიჩინებიან. საერთოდ, სამივე ტიპის ჯამების თიხა შედარებით კარგად არის განლექილი და თანაბრადა გამომწვარი.

პირველი ტიპის ჯამები წინამორბედი ხანის კოლხური კერამიკისთვის რამდენადმე უცხოა, ხოლო ამნარი ფორმის ჯამება აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ძვ. წ. V-IV სს-ში ჩნდება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ამ ფორმის ჯამების დამზადების წესი კოლხეთში აღმოსავლეთიდან არის შემოსული⁵.

რაც შეეხება მეორე და მესამე ტიპის ჯამებს, ისინი კოლხეთისათვის დამახასიათებელია და მათში წინამორბედ ხანასთან კავშირი იგრძნობა (ფორმების მიხედვით).

ჯამების გარდა, სუფრის ჭურჭლიდან დადასტურდა ელინისტური ხანისთვის დამახასიათებელი თევზის რამდენიმე პატარა ნატე-ხიც. ეს ფრაგმენტები შედარებით კარგად განლექილი თიხისაა და გადანატეხში ყავისფერ-მონაცრისფროა. ზედაპირი მოწითალო-ყავისფრად აქვთ ნაპრიალები. თიხა თანაბრად არის გამომწვარი.

ქოთნების ნატეხები, რომლებიც აღმოჩენილია ძველი „მთისძირის“ მესამე ეტაპისდროინდელ კულტურულ ფენებში, ფორმისა და გაფორმების მიხედვით ძირითადად ერთგვაროვანია. ესენია ბრტყელძირიანი, თანაბრად მომრვალებულკორპუსიანი, დაბალყელიანი და პირგადაშლილი ქოთნები. ქოთნებს არავითარი შემქულობა არ

⁵ იხ. 6. მათიაშვილი, ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 65.

ამშვენებთ. თიხა ხშირად კარგად არის განლექილი. მასში შეიმჩნევა კირქვის წვრილი ნამცეცები. ქოთნის თიხა ხშირად კარგად არის გამომწვარი (მაგ. ინვ. № 07:6:74:107). ამგვარი ქოთნები ფორმით ჰყავანი წინა ეპოქის კოლხურ ქოთნებს, მათში იგრძნობა გენეტიკური კავშირი.

საოჯახო ჭურჭლის კიდევ ერთ საინტერესო ჯგუფს ქნიან სოფ. მთისძირში აღმოჩენილი დოქტი, რომლებისგანაც ძირითადად ორი ტიპი გამოიყოფა. დოქტების ორივე ტიპი ქვევრსამარხებში შემონახული მთლიანი ეგზემპლარებით და კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი.

პირველი ტიპის დოქტებს ბრტყელი ძირი და მრგვალი, ზემოთ ოდნავ წაგრძელებული, ყელში გადამავალი კორპუსი აქვთ. დოქტის პირის კიდე გადმომშლილია. დოქტის ზოგი ნატეხი შემკულია ე. წ. წიწვისებური ჭდეებით. მაგალითად: ქვევრსამარხებში აღმოჩენილი დოქტის (ინახება გელათის მუზეუმში) საერთო სიმაღლეა 21 სმ, ძირის ღმ-8,9 სმ; ძირი ბრტყელია, მუცელი — მრგვალი, ზემოთეენ ოდნავ წაგრძელებული, ყელში გადამავალი. დოქტის ყელის სიმაღლეა 6,5 სმ; პირის კიდე გადაშლილია; მისი ღმ 7 სმ-ია; მრგვალგანივერილიანი ყური პირის კიდიდან იწყება; ყელზე და მუცელზე ჩელიეფური ხაზები და მათ შორის ჭდეები ეტყობა; თიხა საკმაოდ კარგად არის გამომწვარი. მასში შეიმჩნევა კირქვის წვრილი მინარევები.

მეორე ტიპის დოქტები მრგვალი კორპუსით და მოკლე ყელით გამოიჩენიან. მათი პირის კიდე ტრიმბრივ შეზნექილია და წარმოადგენს დოქტის ტუჩს. მაგალითად, ეს დოქტიც ქვევრსამარხებშია აღმოჩენილი (ინახება გელათის მუზეუმში). მისი საერთო სიმაღლეა — 18 სმ; ძირის ღმ — 9 სმ; ძირი ბრტყელია; მუცელი მრგვალი; ყელი — სქელი და მოკლე; პირის კიდე სწორად აღისა; ტუჩი ორმხრივ შეზნექილია; საღაა, შემქულობა არ შეიმჩნევა; თიხა კარგად არის გამომწვარი. მასში შეიმჩნევა კირქვის წვრილი ნამცეცები.

ზემოთ განხილული ტიპის დოქტები დამახასიათებელია ძვ. წ. IV ბოლო III სს. ქვევრსამარხების ინვენტარისთვის და ხშირია მათი შეხვედრა მდ. რიონის შუა წელის ნამოსახლარებზე. მაგ., დაფნარი, დაბლაგომი, ფარცხანაუნევი, ქუთაისის მიდამოები და სხვ.

საინტერესოა, რომ სოფ. მთისძირის ელინისტური ხანას ფენებში გეხვდება უსახო მოწითალო-ყავისფერი კერამიკა (მესამლოა დოქტის ნატეხები), რომლებზეც ხშირად წითელი ზოლებია დატანილი (მაგ. ინვ. № 07:6:76:107).

სოფ. მთისძირის მესამე ეტაპის სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებით. მათი ნატეხები აქ დიდი რაოდენობით არის დაღასტურებული. შეიძლება ითქვას, რომ ქვევრის ფრაგმენტები ამ ხანის კულტურულ ფენებში ყველა სხვა კერამიკას სჭარბობს. ნანახია რამდენიმე მთელი ეგზემპლარიც. სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ხანის ქვევრები რუხადა გამომწვარი და მოშავოზე-დაპირიანია; გადანატებში ზოგვერ ფენოგრანია. თიხაში ჩანს კირქვის წვრილი მნარევები. მთლიანი ეგზემპლარების მიხედვით ქვევრების ფორმები ასეთია—პირის გვირვავინი ჭრილში მარტივი პროფილისაა; ყელი — ცილინდრისებური; ძირი — ბრტყელი, ხოლო მთელი კორ-პუსი კვერცხისნაირი მოყვანილობის. ქვევრები წინამორბედ ხანასთან შედარებით ღარიბულად არის გაფორმებული. შემკულობა ძირითადად ამორტულ-რელიფური ხერხებითაა გადმოცემული. აქ ძირი-თადად გვხვდება ე.წ. ოვაზიფხური, სოლისებური და ფოსოებიანი ორნამენტი, ხოლო ქვევრის მთელი კორპუსი დაფარულია კონცენტ-რული რელიფური ხაზებით. ეს კონცენტრული რელიფური ხაზები ზოგან შეიმჩნევა, ხოლო ზოგან გადახეხილია. ქვევრის კორპუსი ხშირად შემჯულია ურთიერთგადამკვეთრი ქედებით. მათ შორის მანძილი კი ისევ კონცენტრული ხანა-ღარებით არის შემჯული. ასეთი ქვევრები შესაძლოა, რომ უფრო წინამედინისტური ხანიდან მოყოლებული, ელინისტური ხანის პირველ ნახევარში არსებობდა, ხოლო უქი-დებო ან მხოლოდ ვერტიკალურქედებიანი ქვევრები კი უფრო ელი-ნისტური ხანის მეორე პერიოდისთვის არის დამახასიათებელი.

ელინისტური ხანის ქვევრები ტიპოლოგიურად წინა ეპოქის კოლხურ ქვევრებს უკავშირდება და დადასტურებულია კულტეთის ამ ხანის მეტწილ ნამოსახლარებში.

ელინისტური ადგილობრივი თიხის ტარა წარმოდგენილია კოლხური ამფორებით. საერთოდ ამფორები, რომ-ლებიც სხვადასხვა ცენტრში მზადდებოდა, გამოიყენებოდა ტარად, რომლითაც გადაქმნდათ ღვინო, ზეთი, მარცვლეული და სხვა პრო-დუქტები. ამფორები ფრიდა საინტერესო მონაცემებს იძლევიან როგორც შინა (კოლხური), ასევე გარე (უცხოური) სავაჭრო კავშირული თერიტორიობების შესახებ.

ე.წ. კოლხური (ყავისფერკეციანი) ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ელინისტური ხანის ნამოსახლარებშე ისტორიული კოლ-ხეთის მთელ ტერიტორიაზე. აქ თითქმის არ არის ამ ხანის ნამოსახ-ლარი, სადაც ამგვარი ამფორები არ აღმოჩენილიყო. ასეთი ამფო-რები დადასტურებულია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნამოსახლა-

რებზეც⁶. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ ამგვარი ამფორები ადგილობრივი, კოლხური წარმოებისაა⁷.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით დადასტურ-და კოლხური ტიპის ამფორების ნატეხები. მათში ზოგადად გამოიყო-ფა ორი ქვეტიპი. ერთი — შედარებით გრძელი, ცილინდრულ მოყ-ენილობის ქუსლიანი ამფორა, ხოლო მეორე — დაბალი, შედარებით განიერქუსლიანი, რომელიც გამოირჩევა ქუსლის წვერის შესქელე-ბით და მას პირობითად ე.წ. ლილისებურსაც კი უწოდებენ. ორეულ ქვეტიპის ამფორას ფსკერის ზედაპირზე აქვთ რელიეფური ხეია. ამფორის ყურების მიხედვითაც შეინიშნება განსხვავება. ერთის უზ-რები ჭრილში ოვალურია, ხოლო მეორის უფრო ბრტყელია. ამ მეო-რე ტიპის ამფორების თიხაც შედარებით ბაცი-აგურისფერია.

სამწუხაოდ, სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე მთლიანი კოლხუ-რი ამფორა ქერქერობით არ აღმოჩენილა და ამიტომ მათი მთლიანი ფორმის შესახებ პარალელური მასალის მიხედვით გვიწევს საუბარი. საერთოდ, კოლხური ამფორების დამახასიათებელი თვისებაა ქუს-ლის შიგნიდან ფსკერზე რელიფური ხეია და კორპუსის კვერცხისე-ბური მოყვანილობა. საფიქრებელია, რომ რელიფური ხეია ფსკერზე ამფორების დამზადების თავისებური ტექნოლოგიური წესის ბრალი იყოს.

საერთოდ, კოლხურ ამფორებს, ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავე-ბების გარდა, ახასიათებს კიდევ რიგი სხვაობებისა (განსხვავება თი-ხის ფერში, მოცულობაში, ზოგიერთი ნაწილის დამუშავებაში), რის საფუძველზეც სავარაუდოა, რომ ისინი მზადდებოდა კოლხეთის სხვა-დასხვა პუნქტში. მაგრამ ქერქერობით ამ წარმოების ცენტრების და-დგენა და ამფორების კლასიფიცირება მათ მიხედვით ჭირს. „ვან-ში“ დამზადებული ამფორები ალბათ „მთისძირშიც“ იმბარებოდა. შე-საძლოა, რომ ამფორები (ტარა) ძველი „მთისძირის“ კერამიკულ სახელოსნოშიც მზადდებოდა.

⁶ И. Б. Зеест, Керамическая тара Босфора, МИА, М., 1960, с. 108;
Ю. Г. Виноградов, Н. А. Онейко, Об экономических связах Гераклей Понтийской с Северным и Северо-Восточным Причерноморьем в антическое и римское время, СА, М., 1975, № 1, с. 87—89.

⁷ ი. რ. Путуриძე, Колхидские амфоры из Вана, КСИА, № 151, М., 1977; с. 68—71 და იქ მთითებული ლიტერატურა. ვდრ. ბ. Ю. Михлин; Амфоры «коричневой» глины из Северо-Западного Крыма, СА, М., 1972, № 2, с. 60—66.

⁸ ვ. გამყრელიძე

ელინისტური ხანის სამშენებლო კერამიკა სოფ. მთისძირში წარმოდგენილია კრამიტით. ისინი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება „ადეიშვილების“, „მთისძირის“ გორებზე და მათ ახლოში ხლო. ამ ხანის კრამიტი ძირითადად დადასტურებულია ნატეხების სახით; შემორჩენილი ზოგი თითქმის მთლიანი ეგზემპლარიც. ისინი წარმოდგენილია ბრტყელი გვერდებაკეცილი (სოლენის ტიპის) კრამიტით. ამავე ხანის ლარიანი (კალიპტერის ტიპის) კრამიტი სოფ. მთისძირში ჭრ არ აღმოჩენილა. კრამიტების გადანაკეცი ჭრილში ოთხეუთხა და მათი სიმაღლე დაახლოებით 6 სმ-დან 4 სმ-დან 4 სმ-დან მერყეობს. კრამიტების სისქე დახლოებით 1,5 სმ-დან 2,3 სმ-დან მერყეობს. გადანაკეცები ბოლოებში დაბლდება და ოდნავ მორქალულია შეინისაკენ. კრამიტის თიხა ძირითადად მუქი ყავისფერია და ეტყობა მსხვილი მინარევები. თიხაში ყველაზე მეტი რაოდენობით შეიმჩნევა კირქვის და პიროქსენის წვრილი ნამცეცები, ხოლო კვარცის ნამცეცები შედარებით ცოტაა. კრამიტის თიხა უშეტესად კარგად არის გამომწვარი. მათ ზედაპირზე ემჩნევთ ხის ყალიბის კვალი.

სოფ. მთისძირის ამ ხანის კრამიტებიდან ცნობილია ნიშნიანი კრამიტების ნატეხები (მაგ. ინვ. № 07:6:74:1; № 07:6:76:305). ზუსტად ამგვარი ნიშნიანი კრამიტები არის აღმოჩენილი დაბლაგომში; ასეთივე ნიშნიანი კრამიტებია ვანის ნაქალაქარზეც. საერთოდ, სოფ. მთისძირის ახლომახლო „ვანის ქვეყანაში“ ბევრგან არის ერთნაირი ნიშნიანი კრამიტები აღმოჩენილი (ვანი, საყანჩია, მთისძირი, დაბლაგომი, შუამთა; კრამიტები ინახება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ფონდებში). სოფ. მთისძირის კრამიტებზე ნიშნები დატანილია კრამიტის გამოწვამდე. სამოსახლოს ამგვარი კრამიტები გამოიჩინებან დიდი ზომებით, მძიმე თიხით (მაგ. ინვ. № 07:6:74:34; № 07:6:75:98), ეს კრამიტები ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ კრამიტებს ჰგვანან. ამიტომ შესაძლოა სოფ. მთისძირში დადასტურებული კრამიტების ნაწილი „ვანის“ სახელოსნოებიდან იყოს შემოტანილი.

საფიქრებელია, რომ სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დაღასტურებული მეორენარი, შედარებით პატარა, არამარტ თიხიანი კრამიტები, რომლებიც უფრო ხშირია არქეოლოგიურ მასალაში, მზადდებოდა თვით ძეველი „მთისძირის“ სახელოსნოში. ასეთი კრამიტების ნაშთები მიკვლეულია „მთისძირის“ გორის შვერის პლატოს ჩაჭურეულ ნაგებობაშიც. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობების გადასახურად იყენებდნენ შედარებით მსუბუქ კრამიტს.

ელინისტური ხანის ძეველ „მთისძირში“ ფეიქრობის განვითარებაზე უნდა მიუთითობდეს კვირისტაცების აღმოჩენა. თიხის კვირისტაცები ამ ხანის ფენებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა დადასტურებული. ისინი ძირითადად კონუსისებური, წაკვეთილი კონუსისებური და ბიკონუსისებური ფორმის არიან. მაგალითად: ა) კვირისტავი კონუსისებური ფორმისა (ინვ. № 07:6:76:69). მისი დმ — 45 მმ, სიმაღლე — 36 სმ; თიხა მოყავისფროა, კირქვის წვრილი მინარევებით; იგი კარგად არის გამომწვარი.

ბ) კვირისტავი ბიკონუსისებური ფორმისა (ინვ. № 07:6:76:27). მისი დმ — 30 მმ, სიმაღლე — 24 მმ. ეს კვირისტავი უკეთესად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული. თიხა ყავისფროა, ემჩნევა კირქვის და პიროქსენის უწვრილეს ნამცეცები.

კვირისტავების არსებობა დაკავშირებულია ქსოვასთან და გამოიყენებოდა ძაფის დასართავად. საინტერესოა, რომ სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე არც ერთი საწაფი (საქსოვი დაზიგისა) არ არის აღმოჩნილი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ ძაფი ართავდნენ სასოფლო თემებში („მთისძირში“), ხოლო შემდეგ ეს ნამზადი, ნახევარფაბრიკატი მიჰკონდათ ქალაქის („ვანის“) საქსოვ სახელოსნოებში.

3. უცხოური ნაწარმი

ძეველი „მთისძირის“ ცხოვრების მესამე ეტაპის უცხოური ნაწარმი ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული ტარით (ამფორები) და საოჯახო მოხარებისთვის განკუთხნილი ჭურჭლით (სურ. 46).

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სენებული დროის უცხოურ კერამიკაში რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზეა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ დიდი ცენტრის, ქ. სინბექეს ნაწარმი. სინბექი თიხიანი კერამიკის ფრაგმენტები ხშირად გხევდება სოფ. მთისძირის ამ ხანის კულტურულ ფენებში. ზოგიერთი პატარა ფრაგმენტით ძნელია ჭურჭლის ფორმის დადგენა, ხოლო დიდი ნატეხები კი ძირითადად ამფორების ნაწილებს წარმოადგენენ. ამფორები უმეტესად ქუსლ-კედლის და ყურ-ყელის ნატეხებით არის შემორჩენილი (მაგ. ინვ. № 07:6:74:109; № 07:6:231). მათი ქუსლი ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობისაა. თიხა ბაცი მონაცრისფრო-იასამნისფერი. თიხაში დიდი რაოდენობითაა შერეული პიროქსენის ნამცეცები. ამგვარი თიხიანი კერამიკა (ამფორები, ლუთერიები, კრამიტი) დადასტურებულია ელინისტური ხანის ფენებში დასავლეთ და შუა კოლხეთის ნამოსახლარებზე. ჩერჩერობით

კოლხეთის ყველაზე იღმოსავლეთი პუნქტი, სადაც სინოპტიკურმა კერა-
მიკამ შეაღწია, არის სოფ. ჭოგანარი.

ქალაქი სინოპე განთქმული იყო ზეითუნის ზეთის, კერამიკის და კარგი ხარისხის ღვინის წარმოებით. სინოპურ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო საერთაშორისო ბაზარზე. როგორც ჩანს, სინოპეს ელინისტურ ხანაში კოლხეთთან საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა. ეს ურთიერთობა იმდენად ინტენსიური იყო, რომ რამდენადმე გაელენაც კი იქნია კოლხეთში კრამიტის და ამფორის ფორმების ჩამოყალიბებაზე, მათი აქ ჩასახეა-წარმოების პირველ ეტაპზე⁸.

ელინისტურ ხანაში სინოპეს დაწინაურებას ხელი ჟეფრე ათენის ჰეგემონობის დაკარგვამ, ზღვაოსნობის კიდევ უფრო განვითარებამ. ძვ. წ. III ს-ის ბოლოს სინოპეს ეკონომიკის დაქვეითება განპირობა პონტოს სამეფოს მოძალებამ, მაგრამ პონტოს პოლიტიკამ დაპყრობილი ქალაქების მიმართ. (ერთგვარი ავტონომია, ვაჭრობა-წარმოების წახალისება) ახალ გაფურჩქვნამდე მიიყვანა სინოპე⁹. სინოპეს ასეთ მნიშვნელოვან როლს შევი ზღვისა აუზში ვანაპირობებდა მისი ახლო მდებარეობა შავიზღვისპირა ცენტრებთან და სტეადა-სხვა პროდუქტების ფართო წარმოება.

სოფ. მთისძირში სინოპტური ამფორების წარმოებას ცენტრის დაღვენას ძალიან ააღვილებს მეტად დამახასიათებელი თქა—ბაკი მონაცრისფრო-იასამნისფერი ან მოყავისფრო ელფერის, პირკქსნის მარცვლების დიდი რაოდენობით შემცველი. სინოპტური ამფორების განვითარების ეტაპები კარგად არის ცნობილი და შესწავლილი. სამწუხაროდ, ჩვენი მასალა არ იძლევა მის ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსების საშუალებას.

სინოპტიკის გარდა, სოფ. მთისძირის ამ ხანის ფენებში იმპორტული კერამიკის რამდენიმე უფორმო ნატეხი აღმოჩნდა. ისინი კარგად განლექილი თიხისგან არის დამზადებული და თანაბრავდაა გამომწყვარი. კერამიკის ეს ნატეხები თიხის მიხედვით აღგილობრივი არ არის. მათი საჭარმოო კუნტრის დადგენა ძნელია.

ამრიგად, „მთისძირის“ იმპორტული თიხის ნაწარმი ელინისტურ ხანაში წარმოდგენილია ძირითადად სინოპეთი. აქედან ჩანს, რომ ძველი „მთისძირი“ ჩაბმული იყო კოლხეთის გაჭრობაში მცირე აზიის მსხვილ საქალაქო ცენტრთან.

⁸ የዚ. ልጠኑ ተቋዎች እና ገዢ, አንድነት ስልጣኑ ማረጋገጫ ተብሎ በመለከተው
ተስ, 1966, ጋዜ. 127.

⁹ И. Б. Брашинский, Синопа и Колхида, сб. Вопросы древней истории, IV, Тб., 1973, с. 180—190.

კოლ. გთისძირი ახ. ვ. I-VIII სს-ში

„მთისძირის“ სამოსახლოს ისტორიის ბოლო პერიოდი ა. წ. I-VIII საუკუნეებს მოიცავს. ამ მონაცემთის ცალქე გამოყოფილია სას ეკურნობით სოფ. მთისძირის სტრატიგრაფიულ მონაცემებს და კერამიკულ მასალას. აგრეთვე ვითვალისწინებთ საერთო ისტორიულ სიტუაციას, რომელიც იმ ღრის კოლხეთში იყო. კერძოდ, პონტოს და შემდეგ რომის სახელმწიფოთა ექსპანსიის შედეგად კოლხეთი დაშალა ცალკეულ ნაწილებად. მხოლოდ ა. წ. IV საუკუნის ბოლოსათვის კოლხეთი, მდ. ჭირობის შესართავის სექტორიდან გაგრამდე, ისევ გაერთიანდა. გამიერთიანებელი ლაზიკის სამეფო იყო, რომელმაც დაიქვემდებარა სვანები, ლეჩები მელები, აბაშები, აფშილები, სანიგები.

„მთისძირის“ ამ ეტაპის სამოსახლოს ცხოვრებაში შეიმჩნევა ტეხილი, რომელიც ე.წ. წ. გვანანტიკური ხანის პირველ ნახევარზე მოღის. არქეოლოგიური მონაცემებით მტკიცდება, რომ „მთისძირში“ ამ დროს ცხოვრება ასამდენადმე ჩავდა. სამაგიროდ, სამოსახლოს ცხოვრებაში გამოცატება იგრძნობა ვეიანანტიკური ხანის ბოლოს და ადრეულ შუა საუკუნეებში. ამ დროის ამსახველი არქეოლოგიური მასალა ძირითადად აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ძველი „მთისძირის“ სამოსახლოს ცხოვრების ეს ეტაპი წარმოდგენილია ნაგებობების ნაშთებით და შესაბამისი კულტურული ფენებით. აქ წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალა გარკვეულ წარმოდგენას ვაიქმნის ძველი „მთისძირის“ მცხოვრებლებზე და მათი ცხოვრების ზოგიერთ მხარეზე—მოსახლეობის შეირ დაკავებული ტერიტორიის ფარგლებზე, დასახლების წესზე, მეოთხეობაზე და სავაჭრო ურთიერთობებზე.

1. სამოსახლო

დასახლების წესი ამ დროის სამოსახლოზე შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: სამოსახლოს ნაგებობები ისევ ტერასებზეა განლაგებული, განსაკუთრებით რაციონალურადაა თვისებული „ადეიტვი-

¹ օֆ. Տայարակը լուս է սերմանուս բարձրագույն Ի (ՀՀ ք. ց. մշակույթի նախարարություն), տե., 1970, թ. 537—562.

ლების“ გორის წვერის პლატო, რომელზედაც, ალბათ, ნაგებობების მოზრდილი კომპლექსი იდგა. საერთოდ, როგორც ჩანს, საფორტიფიკაციო ნაგებობები ბორცვ-გორის ტერასებზე იყო გამართული. „ადეიშვილების“ გორის წვედ ტერასაზე შეიმჩნევა ქვით ნაგები გალავნის კვალი. გორის ბუნებრივი რელიეფი მოხერხებულად იყო გამოყენებული ნაგებობების გასამართვად და თავდაცვითი სისტემის შესაქმნელად. ასეთნაირ გორებზევევა ამ ხანის ციხესიმაგრები აგებული — ნოქალაქევში, ქუთაისში (უქიმერიონი), დიმიში, ტოლებში, შორაბანში, სკანდაში, შეეფში და სხვ. ამგვარ გორებზე განლაგებული, ქვით და დუღაბით ნაგები ციხესიმაგრები ამ დროის კოლხეთისთვის ურიად დამახასიათებელია. ასეთი სასიმაგრო ნაგებობები იდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში — გზების ჩასაკეტად, გარკვეული მხარის ან „ქვეყნის“ საზღვრების დასაცავად.

ძველი „მთისძირის“ მეოთხე ეტაპის სამოსახლო, ალბათ, პატარა, მცირე ციხე-ქალაქი იყო, რომელიც, ერთი მხრივ, გარკვეულ ეკონომიკურ მხარეს საზღვრავდა (იხ. ქვემოთ), ხოლო მეორე მხრივ, სამცხედან, სამხრეთიდან მომავალ (მდ. ყუმურის ხეობაზე) ერთ-ერთ გზას ჰკრავდა. ციხე-ქალაქის განვითარებაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა მის რიონ-ფასისის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარეობას (უცხოური ნაწარმი).

როგორც ცნობილია, „ვანის“ ქალაქი, რომლის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაშიც შედიოდა „მთისძირი“, ახალი წელთაღრიცხვის დასწყისისათვის უკვე დანგრეულია. იგი ამის შემდეგ, როგორც ქალაქი, აღარ აღდგენილა. „ვანისაგან“ განსხვავებით „მთისძირი“, როგორც ჩანს, გვიანანტიკური ხანის მეორე ნახევრისათვის ისევ გამოცოცხლდა — აღდგა.

ძველი „მთისძირის“ ცხოვრების ბოლო ეტაპის სამოსახლოს შენებაში ძირითად საშენ ზასალად გამოყენებულია ქვა, აგური, ქრამიტი, კირხსნარი. როგორც ვხედავთ, წინამორბედ ეპოქებთან შედარებით სრულიად იცვლება ნაგებობების მასაგბი ძირითადი საშენი მასალა; ხე და თიხამიწა შეცვალა ქვამ და კირის დუღაბმა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქვა და კირის დუღაბი უფრო მავარი და საიმედო იყო თავდაცვითი ზღუდე-ნაგებობების ასაგებად. სამოსახლოს ცხოვრებაში გამოიყოფა ორი სამშენებლო პერიოდი, რაც ყველაზე მეტით ჩანს, „ადეიშვილების“ გორის წვერის პლატოს ნაგებობების ნაშთებზე დაკვირვებისას (№ 12 თხრილი).

ამ სამოსახლოს ნაგებობების წარმოსადგენად ფრიად საინტერესოა „ადეიშვილების“ გორის წვერის პლატოს ნაგებობათა კომპ-

ლექსის ნაშთები. ეს ნაგებობა *in situ* მდგომარეობაშია არქეოლოგიურად შესწავლილი.

არქეოლოგიური კვლევის დროს გამოიკვა, რომ ნაგებობის შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ქვა (ქვიშაქვა, რიყის ქვა, კირქვა, თირის ქვა), აგური, კრამიტი, ზოგჯერ კი თეთრი მარმარილო და ხეც. კირხსნარი გამოყენებულია როგორც შემაკავშირებელ მასალად, ასევე კუდლის შესალესად და იატაკის გასაკეთებლად.

რიყის ქვები მდ. რიონის ჭალიდან არის ამოტანილი, თირის ქვა და ქვიშაქვაც აქვთ მოპოვებული, ხოლო კირქვა და თეთრი მარმარილო სხვა ადგილიდან არის მოტანილი, რადგან სოფ. მთისძირის ახლომახლო მათი ასებობა არ შეინიშნება. კირქვა, როგორც ზემოთაც აღვინიშნე, შესაძლოა შემოტანილი იყოს დაბლაგომიდან ან ინაშაურიდან, სადაც ის დიდი რაოდენობით მოიპოვება.

ნაგებობა ოთხეუთხა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავსისაგან. აღმოსავლეთი სათავსის შიდა ფართობია 5,50 მX 21,00 მ — 115,50 კვ. მ, ხოლო დასავლეთი სათავსის შიდა ფართობი 5,50 მX 5,50 მ — 30,25 კვ. მ. ნაგებობა თითქმის ზუსტადა ორიენტირებული ქვეყნის მხარეების მიხედვით: აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ნაგებობის შესწავლაში უხადყო, რომ საქმე გვაქვს შენობის ორ სამშენებლო პერიოდთან (სურ. 25,26).

შენობას სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს. „ადეიშვილების“ გორა, რომელზედაც ეს ნაგებობა იდგა, როგორც უკვე აღვინიშნე, რამდენადმე წინ არის წამოწეული ასეთივე გორების რიგიდან და, ერთის მხრივ, აკონტროლებს მდ. რიონის ხეობის კარგამიზრდილ ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, — მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ ერთ-ერთ გზას ჰკრავს.

ნაგებობის ჩრდილოეთი მხარე შედარებით მეტადაა დანგრეული, რომელიც მიწის დაცურების შედეგადაა ჩაშლილი (ამ გორაზე და მის ფრიდონებზე აღმართ ნაგებობების მოზრდილი კომპლექსი იყო განლაგებული). განსაკუთრებით დაზიანებულია შენობის კუთხეები, ხოლო ედლები საგრძნობლად დეფორმირებულია.

ნაგებობის ფუნდამენტის ქვები მეტი სიმტკიცისათვის ჩაწყობილია კლდოვან დედაქანში (თირი) ამოჭრილ ბუდეებში². ქვები ბუდეებში გაჭედილია კირხსნარის საშუალებით.

² ამ მხრივ ის იმეორებს განს ნაქალაქარის და თვით ადეიშვილების გორის ანტიკური ხანის ნაგებობის (ზედა ტერასა) სამშენებლო ტრადიციებს.

სამხრეთი კედლის ფუნდამენტი 29,40 მ სიგრძისაა. ამ კედლის სიგანე 1,00 მ-ია. კედელი და მისი ფუნდამენტი ფლეთილი ქვითაა ნაგები. ფლეთილი ქვების ამ წყობაში გამოიჩინება ფასაღის მხარე, სადაც ქვები შედარებით სწორი მხრითაა დალავებული. ინტერიერის მხარეს კი უფრო უსწორმასწორო წყობა შეიმჩნევა. ამ კედლის წყობაში ძირითადად ქვიშაქვაა ნახმარი, ხოლო რიყის ქვები და სხვა ჯიშის ქვები უფრო ნაკლებად ჩანს. სამხრეთი კედლის დასავლეთი მხარე (ზოლო 6 მ) ამოყვანილია დიდი ქვებით, მაგალითად, ყველაზე დიდი ქვის ზომებია — 1,12×1,00 მ. ეს ქვა მართყუთხებისანია და გათლის კვალი არ ეტყობა. კედლის სხვადასხვა კომპონენტების და-საკავშირებლად გამოყენებულია კირხსნარში კირის ცოტა რაოდენობაა ნახმარი, ამიტომ კირხსნარით დაკავშირებული ქვების წყობა ადვილად იშლება. კედლის ზოგიერთ მონაკვეთში კირხსნარი ისე ცოტაა ნახმარი, რომ მისი არსებობა საერთოდ არ შეიმჩნევა. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ინტერიერის მხარეს, და-საწყისიდან 1,50 მ-ზე დადასტურდა კონსოლის მსგავსი რამ.

ნაგებობის დასავლეთი კედლის ფუნდამენტი 7,50 მ სიგრძისაა, ხოლო სიგანე აქც 1,00 მ-ია. ამ კედლის აშენებისას, როგორც ჩანს, უფრო ბევრი კირხსნარია ნახმარი, რაღაც კედელი კირხსნარისაგან გადათერებულია. სხვა მხრივ ეს კედელი სამხრეთი კედლისაგან ნაკლებად განსხვავდება. შედარებით კარგადაა შემორჩენილი დასა-ვლეთი კედლისა და ჩრდილოეთი კედლის კუთხე. აქ შიდა კუთხის გასაკეთებლად სპეციალურად გამოთლილი ქვაა ნახმარი. ჩრდილოეთი კედლის ფუნდამენტი 29,40 მ სიგრძიდან შემორჩენილია მხო-ლოდ 16,00 მ. ამ კედლის დანარჩენი ნაწილი ჩაშლილია დაბლა და ფუნდამენტის კლდოვან დედაქანში ამოჭრილი ბუდეებიდან შეიმჩნევა. ჩრდილოეთი კედლის სიგანეც 1,00 მ-ია. ეს კედელი დიდად არ განსხვავდება სამხრეთი კედლისაგან, თუ არ ჩავთვლით ზიდ ქვებს. რომლებიც აქ ნაკლებადაა გამოყენებული.

შენობის აღმოსავლეთი კედელი ზომებით ისეთივეა, როგორც დასავლეთი კედელი (სიგრძე 7,50 მ, სიგანე — 1,00 მ). ამ კედლის შენებაში სხვა კედლებისაგან განსხვავებით უფრო მეტი რიყის ქვაა ნახმარი. კედლის შუა ნაწილში დატანებულია შესასვლელი, რომე-ლიც პატარა დერეფანში შედის. ეს დერეფანი წარმოდგენილია ორი კედლის ნაშთებით, რომლებაც ებჯინება აღმოსავლეთის დიდ კე-დელს. მათი სისქე 50—50 სმ-ია, ხოლო სიგრძე 1,80 მ (ცალ-ცალქე). მათ შორის ფართობი, რომელიც პატარა დერეფანს წარმოადგენს, არის 1,80 მ×1,60 მ—2,88 კვ. მ. სამხრეთი კედლიდან ეს პატარა

დერეფანი 1,40 მ-ითაა დაცილებული, ხოლო ჩრდილოეთი კედლი-დან 1,50 მ-ით (სურ. 29).

დერეფანში 2,35 კვ. მ. ფართობზე დადასტურდა კირხსნარისი იატაკი. იატაკის სისქე 11 სმ-ია. იატაკი არის მოვარდისფრო-თეთრი, რაღაც კირხსნარს დამატებული აქვს კერამიკული ფხვნილი. გათხრის დროს იატაკზე აღმოჩნდა აგურისა და ლარიანი, გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტის ნატეხები. საერთოდ, ნაგებობის შესწავლისას 400-მდე აგურისა და 500-მდე კრამიტის ფრაგმენტი ვიპოვეთ. მათში ხერხდება ტიპების გამოყოფა.³

ფრიად სანტერესოა, რომ აგურისა და კრამიტის ნაშები იღმო-ჩნდა კირხსნარიანი იატაკის ქვემოთაც. ისინი არეული იყო იატაკის ქვეშ ფიქსირებულ ღორლნარევ მიწაში, რომელიც იატაკის შემზღე-ბას წარმოადგენდა. ეს ფატი რჩ სამშენებლო პერიოდზე მოუთი-ოება. ამასვე უჭირს მხარს აღმოსავლეთის სათავსში სამხრეთის კე-დელზე მიღმეული ძლიერ დაზიანებული კედლის საძირკველი. ის აღმოსავლეთი კედლის იატაკის სისქე 0,80 მ-ია. ამ კედლის შენებაში კირხსნარი თითქმის სულ არ არის ნახმარი. ნაგებობის გეგმაზედაც ეს კედელს ზედმეტად გამოიყერება. საფიქრებელია, რომ კედელი პირველ სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის, როცა მეორე სამშენებლო პერიოდის იატაკისთვის ღორლიანი მიწა მოასწორეს, ეს ნაკედლარი ღორლში მოაცია. ამგვარად, ნაგებობაში სრულიად აშკარად გამოიყო-ფა რჩ სამშენებლო პერიოდი.

აღმოსავლეთის სათავსის აღმოსავლეთი კედლის ინტერიერის მხარეზე შერჩენილია კირხსნარიანი შელესილობა (სურ. 30). შელე-სილობა თეთრი-მოვარდისფრო ფერისაა. მოვარდისფრო ელფერი კერამიკული ფხვნილის შერევის შედეგადაა მიღებული. ნაგებობის მთელ შიდა ფართობში შეინიშნება დანახშირებული ძელების კვალი. ეს ძელები აღბათ გადახურვის კონსტრუქციაში გამოიყენებოდა.

შენობა აღმოსავლეთით გრძელდებოდა, რაღაც ამ მიბართულე-ბით აღმოჩნდა 3,50 მ-მდე სიგრძის კედლის ნაშთები. დანარჩენი დანგრეულ-ჩაშლილია გორის ფერდობებზე. სეთივე მდგომარეობა-შია შენობის სამხრეთით მდებარე ნაგებობები. სამხრეთი კედლის შუა ნაწილთან, ფასადის მხრიდან 40 სმ-ის დაშორებით, საძირკველის ღონებზე აღმოჩნდა ქვევრი. ეს ადვილი ჩანგრეულია და ქვევრი მთლიანიდ მოჩანს ჭრილში. ქვევრი აღმოჩენილი ნაგებობის გვერდ-

³ სამშენებლო კერამიკაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზე შენობაში იყო ჩადგმული, რომელიც მიწის ეროვნია-გადაადგა-ლების შედეგად დანგრეულ-დაცურებულია დაბლა, „ადეიშვილების“ გორის ცერტობებზე.

ნაგებობაში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, ვიპოვეთ თიხისაგან გაყეთებული არქიტექტურულ-დეკორატიული დეტალის ნატეხი (ინვ. № 07:6:76:399, სისქე — 29 მმ). მისი თიხა მოყავის-ფრასა. მასში შეიძინევა კირქვის წვრილი ნამცეცები. საერთოდ ასე-თი თიხა დამახსიათებელია სოფ. მთისძირის კერამიკისათვის. მასზე რელიეფურად არის გამოსახული ყლორტების მსგავსი ორნამენტი, რაც აკროტერიუმის პრიმიტიულ ფორმას წააგივს. ეს არქიტექტურული დეტალი შენობის კუთხების დასამშენებლად გამოიყენებოდა.

ნაგებობაშივე დასავლეთი სათავსის აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა ქვიშაქვის ცილინდრული მოყვანილობის არქიტექტურული დეტალი (ინვ. № 07:6:77:67). დეტალის სიმაღლე 17,5 სმ, ხოლო ღმ — 8,3 სმ.

ნაგებობაში რამდენიმე ლითონის ნივთი აღმოჩნდა. ესენია: ორი ცალი რკინის დანა. ერთი აღმოჩნდა სამხრეთის კედელთან (ინვ. № 07:6:77:32), იგი ცალბირაა, სიგრძე — 11 სმ, სისქე — 3,1 მმ; დაჟანგებულია, წვერის საწინააღმდეგო ბოლოზე ეტყობა მომწვანო ლაქები; შესაძლოა ბრინჯაოს ტარი ჰქონდა. მეორე დანა (ინვ. № 07:6:77:91) ძლიერ დაჟანგებულია და მოღუნული. ჰგავს სასხლავ დანას; სიგრძე — 5,7 სმ, სისქე — 3,5 მმ; აღმოჩნდა ნაგებობის დერეფანში, კირხსნარიან იატაჭზე.

ამის გარდა, ლითონის ნივთებიდან აღმოჩნდა ტყვიის ბრტყელა თვალური ფორმის საწონი (ინვ. № 07:6:77:82). საწონი აღმოჩნდა ჩრდილოეთის კედელთან (პირველი სამშენებლო პერიოდი). საწონის სიგრძეა 7,3 სმ, სიგანე — 5,9 სმ, სისქე — 4 მმ, წონა — 110 გრ. ფირფიტა ერთ ბოლოში გახვრეტილია. მისი ფერი ბაცი მონაცრის-ფრია (სურ. 50). შესაძლოა, რომ ეს შვეულის საწონია და ნაგებობების შენებაში გამოიყენებოდა.

საერთოდ „ადეიშვილების“ გორის წვერის პლატოს ნაგებობაში საკმაოდ მრავალფეროვანი არქიტოლოგიური მასალა აღმოჩნდა — კერამიკის, მინის, რკინის ნაწარმი. მათში განსაკუთრებით ჭარბობს კერამიკული ნაშთები.

ნაგებობის *in situ* ნაშთები, რომელიც აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორის წვერის პლატოზე, არქიტოლოგიური მასალის მიხედვით, აგებული უნდა ყოფილიყო გვიანანტიკური ხანის ბოლოს (პირველი სამშენებლო პერიოდი). ის აღბათ ფუნქციონირებს VIII ს-ის ჩათ-

ულით (მეორე სამშენებლო პერიოდი). არქიტოლოგიური მონაცემების შინედვით გამორიცხული არ არის, რომ ამ აღგილზე უკვე გვიანანტიკური ხანის პირველ ნხევარში იდგა რაღაც ნაგებობა, რომელიც შემდეგ დაინგრა ან დაშალეს და გამოიყენეს ახალი ნაკეპობის ასაშენებლად.

2. კერამიკა

არქიტოლოგიური მასალის ერთი ნაწილი, რომელიც სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დადასტურდა, წარმოდგენას გვიქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის ზოგიერთ სახეობაზე. კერძოდ, ამ შინაცემების მიხედვით შესაძლოა ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ „მთისძირის“ ისტორიის ბოლო ეტაპის ხელოსნობის ისეთი დარგის შესახებ, როგორიც არის მეთუნეობა. სოფ. მთისძირში დადასტურებულ კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა სამშენებლო, საოჭახო, ტარა და სამეურნეო კერამიკა.

სოფ. მთისძირის ამ დროის სამშენებლო კერამიკა წარმოადგინილია კრამიტით და აგურით. შათში ხერხდება რამდენიმე ტიპის გამოყოფა. სამოსახლოს არქიტოლოგიური შესწავლის დაწყებიდანვე ხშირად გვხვდებოდა კრამიტის ნატეხები. აქ დადასტურებულია ჩოვორუც ელინისტური ხანის, ასევე გვიანანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების კრამიტი. ელინისტური ხანის კრამიტის შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი. შემდგომი პერიოდის კრამიტებს კი ახლა განვიხილავთ.

კრამიტის ტიპების გამოსაყოფად განსაკუთრებით მყარი საფულეო მოგვაც „ადეიშვილების“ გორის პლატოს (№ 12 თხრილი) ნაგებობამ, რომელიც *in situ* მღვმარეობაშია გათხრილი. ამ შენობის კირხსნარიან იატაჭზე და მის ქვეშ დადასტურებული კრამიტის ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება თქვას, რომ ორ სამშენებლო პერიოდში სხვადასხვანაირი კრამიტი გამოიყენებოდა.

მეორე სამშენებლო პერიოდის კრამიტის ნაშთები, რომლებიც აღმოჩნდა კირხსნარიან იატაჭზე, წარმოადგენს ბრტყელ-გვერდების კრამიტის ფრაგმენტებს. კრამიტებს ოდნავ ტრაპეციული მოყვანილობა აქვთ და შედარებით დაერთობულ მხარეზე, აკეცილ გვერდებზე მხრებისმაგვარი ამოჭრილები აქვს. ზოგ შემთხვევაში კრამიტებს გარეთა მხარეზე სიგრძივ დაუყვება დაბალი რელიეფური ქედები. მათ შორის მანძილი 1,5 სმ-დან 2 სმ-დე მერყეობს. კრამიტის გადანაკეცები ჭრილში ოთხუთხაა და მათი სიმაღლე 4,5

სმ-დან 2,0 სმ-მდე მერყეობს. კრამიტების თიხა ძირითადად ბაცი ყავისფერია და ეტყობა მინარევები. მინარევებში ყველაზე მეტი რაოდენობით შეიმჩნევა კირქვისა და პირქვენის წვრილი ნამცეცები. კრამიტის თიხა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ კარგად არის გამომზარი, ემჩნევა ხის ყალიბის კვალი. მეორე სამშენებლო პერიოდის ფენაში ღრამიტი არ აღმოჩენილა.

პირველი სამშენებლო პერიოდის კრამიტი კი ორი ტიპითაა წარმოდგენილი. ერთი ეს არის ბრტყელი, გვერდებაკეცილი, მძიმე კრამიტი. ამგვარი კრამიტი უფრო ხშირია სოფ. მთისძირის ანაკრეფ არქეოლოგიურ მასალაში, ვიდრე მეორე სამშენებლო პერიოდის ტაპის კრამიტები. ასეთი ტიპის კრამიტები უფრო დიდია და ზომებით დაახლოებით უტოლდება ელინისტური ხანის კრამიტებს. მათი თავისებურება ის არის, რომ გადანაკეცი ჭრილში სამკუთხედისნაირია და გლუვია. გადანაკეცი ბოლომდე სწორად მიდის. მისი სიმაღლე 4,2 სმ-დან 6 სმ-მდე მერყეობს, სისქე კი — 1,8 სმ-დან 2,5 სმ-მდე. კრამიტის ზედაპირი სადაც; არ ჩანს რაიმე დამღა და არც ჩამო სხვა ნიშნი. მეორე — ღარისი კრამიტის ფრაგმენტები ცოტაა აღმოჩენილი. მისი ერთი ბოლო მკვეთრად დავიწროვებულია, ხოლო მეორე ბოლოზე შეიმჩნევა ოდნავი შესქელება. კრამიტის თანაბარი მორქალვა არ აქვს (სურ. 32). ეს კრამიტები დამზადებულია ერთნაირი თიხისაგან. თიხა კარგადაა განლექილი, მაგრამ ზოგან მაინც შეიმჩნევა მინარევები — კირქვა და უწვრილესი კენჭები; ხშირად არათანაბრადაა გამომწვარი. ამ ტიპის კრამიტებსაც ეტყობათ ყალიბის კვალი. შეიმჩნევა ხის ყალიბის ფიცრის ზოლების ანახევდები. თიხის მიხედვით საფირქებელია, რომ კრამიტები აღგილობრივად მზადდებოდა.

როგორც არქეოლოგური მასალის, ისე წერილობითა წყაროების მიხედვით ახლა ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ელინისტურ ხანაში კრამიტის უკვე ფართოდ იყენებდნენ. კრამიტის ნაშთები აღმოჩენილია დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ არქეოლოგიურ ძეგლზე⁴. საყურადღებოა სტრაბონის ცნობა: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალქებითაც და დახებითაც, ისე, რომ იქ არის კრამიტიანი სახურა-

⁴ იხ. ოთ. ლორთქიფანთქ, ან ტყეური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 143; ჯ. ჭლმარა, სამშენებლო კერძოების წარმოება აღრეფეოდალური ხანის საქართველოში, კრებ. საქართველოს, კავკასიონისა და მახლობელი აღმოსავლეთის სტრატიკის საკითხები, თბ., 1968, გვ. 278—291; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, თბ., 1957, გვ. 127.

ვები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი...“ (Strabo XI, III, I).

როგორც ჩანს, ადრეულ შუა საუკუნეებში კრამიტი ძირითადად უამოიყენებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენობების გადასახურად. კრამიტით იყო გადახურული საფორტიფიციალი ნაგებობები, მაგალითად: ვარდცირეშინ, ვაშნარშინ, ბიჭვინტაში⁵, ულევში⁶ და სხვ.

ადრეული შუა საუკუნეების კრამიტი ჩამოპავს ანტიკური ხანის კრამიტს⁷. ეს მოსაზრება სოფ. მთისძირის პირველი სამშენებლო პერიოდის კრამიტებზეც ვრცელდება. მეორე სამშენებლო პერიოდის მხრანი კრამიტები კი როგორც ფორმით, ისე სიდიდით უფრო შორს დგას ელინისტური ხანის კრამიტებისაგან. სოფ. მთისძირის პირველი სამშენებლო პერიოდის კრამიტი ელინისტური ხანის კრამიტისაგან იმით განაკვეთდება, რომ მათი გადანაკეცი თათქმის ბოლომდე სწორად მიღის და ჭრილში უფრო სამკუთხედისნაირია; თიხა შედარებით ბაცი ფერისაა და უფრო კარგად არის განლექილი.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დადასტურებულია დიდი რაოდენობით აგურის ფრაგმენტები. მიუხედავად ამისა, აგურის წყობა ნაგებობის შემორჩენილ კედლებში არსად არ გვხვდება.

აგურები ძირითადად ერთნაირია, მაგრამ მათში მაინც შეიძლება ორი ტიპის გამორჩევა, რაც დამოკიდებულია უფრო მათ ზომებსა და გაფორმებაზე, ვიდრე მოყვანილობაზე.

პირველი, ეს არის კვარტიტული ფორმის აგური, რომელსაც კუთხებიდან ურთიერთგადამკვეთი ორ-ორი ღარი დაუყენება (სურ. 31). მისი სისქე 4 სმ-დან 5 სმ-მდე მერყეობს, ხოლო სიგრძე-სიგანე უფრო ხშირად 23 სმ×23 სმ-ია. მეორე — შედარებით უფრო მოგრძო აგური, რომლის სიგრძეც ზოგჯერ 30 სმ აღწევს. მოგრძო აგური, როგორც წესი, უღარებოა.

აგურებს ეტყობა, რომ ხის ყალიბშია ნაკეთები, რაღაც მათზე

⁵ ვ. ჭავარიძე, ნაქალაქარი ვარდცირის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ქუბ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 84—105.

⁶ В. А. Леквицадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, კრებ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1961, გვ. 138—167.

⁷ იხ. დიდი პიტიური, I (რედ. ა. აფაქიძე), თბ., 1975; დიდი პიტიური, II, თბ., 1977.

⁸ ხ. ხოშ ტარი ია, სოფ. ულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა იკადემიის „მოამბე“, 1946, № 1—2, გვ. 81.

⁹ ჯ. ჯ. ღამია, დას. ნამრ., გვ. 283.

ნის ანაბეჭდები შეიმჩნევა. ზოგ აგურს კი ხელით შესწორების კვალიც ემჩნევა. ხელითვე ა-ეთებდნენ, ალბათ, ურთიერთგადამკვეთრარებსაც.

საქართველოს ტერიტორიაზე აღრეული შუა საუკუნეების შენობებში აგური ნახმარი მხოლოდ როგორც დამხმარე საშენი მასალა. იგი გამოყენებულია V-VI სს. საფორტიფიკაციო ნაგებობების კედლის ე.წ. „opus mixtum“-ისებურ წყობაში — მაგ. შორაპანი, სკანდე, ვარდციხე, ნოქალაქევი და სხვ. სამწუხაოდ, აღვიშვილების გორის წვერის ნაგებობაში აგურის წყობა არ დადასტურდა; საფიქრებელია, რომ აგური საერთოდ ცოტი იყო ნახმარი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ საქართველოს აღრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებისათვის აგური არ იყო ძირითადი საშენებლო მასალა. გამოყენების მხრივ ქვა იდგა პირველ ადგილზე¹⁰.

აღვიშვილების გორის წვერის ნაგებობაში ნანახი აგურების მეორე ტიპი დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს აღრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე: ბიჭვინტა¹¹, ინჯიტის ტბა¹², ოჩამჩირე¹³, ვაშნარი¹⁴, ტოლები¹⁵, ვარდციხე¹⁶, შორაპანი¹⁷, სკანდე¹⁸ და სხვ. ხოლო პირველი ტიპი — კუთხებიდან ურთიერთგადამკვეთრორ-ორ დარიანი აგური კი განსაკუთრებით ახ. წ. V-VII სს. ფენების-თვის არის დამხასიათებელი¹⁹.

ძველი „მთისძირის“ საოჯახო (სამზარეულო) კერამიკის უმეტეს, შეიძლება ითვას, ძირითად ნაწილს შეადგენს ქოთნები. ისინი ძირი-

10 Г. Н. Чубинашвили, Н. П. Северов, Пути развития грузинской архитектуры, Тифлис, 1936, с. 81.

11 ა. ა ფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, კრებ. დიდი პატიუნტი I, თბ., 1975, გვ. 99—101, სურ. 101, 2; გ. ა ფაქიძე, ბიჭვინტის საშენებლო კერამიკა, კრებ. დიდი პატიუნტი II, თბ., 1977, გვ. 223—248.

12 თო. ლორთქიფანიძე, ინგიტის ტბის მიზანობრივი ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, კრებ. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის, III, თბ., 1963, გვ. 98.

13 ცნობა მოვაწოდა არქეოლოგმა გ. კვრიკვალიძე.

14 В. А. Леквиnadze, დას. ნაშრ., გვ. 163.

15 ს. ყაუხიშვილი, ბიჭვინტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში, „გეორგია“, II (დამტება), ტფილისი, 1936, გვ. 301—320.

16 ე. ფაფარიძე, დას. ნაშრ., გვ. 84—105, სურ. 7.

17 ს. ყაუხიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 304—307.

18 იქვე, გვ. 307—308.

19 თო. ლორთქიფანიძე, დას. ნაშრ., გვ. 98.

თაღად პირ-ყელის და ძირ-კედლის ნატეხებითაა წარმოდგენილი, შემორჩენილია აგრეთვე ყურებისა და კედლების ფრაგმენტებიც-როგორც ფრაგმენტთა ანალიზი გვიჩვენებს, ქოთნები ყოფილა მუცელგამობრილი, მოკლეყელიანი და სადა. ქოთნის ძირები ბრტყელია და სადა, კედლები ძირისკენ ვიწროვდება (მაგ. ინვ. № 07:6:77 — 48, 51, 55, 49). მათი კედლის სისქე 5 მმ-დან 7 მმ-მდე მერყეობს, ხოლო ძირის დიამეტრი უმცეს შემთხვევაში — 6 სმ-დან 9 სმ-მდე. საინტერესოა ერთი ქოთნის ძირ-კედლის ნატეხი (ინვ. № 07:6:77:47). მას ფსკერზე ეტყობა წრიული ღარები (მისი ღმ — 7,1 სმ, კედლის სისქე — 7 მმ).

ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტების (მაგ. ინვ. № 07:6:77 — 39, 56, 50) მიხედვით მათ ყელი მოკლე აქვთ; პირის კიდე გადაშლილი, სადა. მათი პირის დიამეტრი 10 სმ-დან 7 სმ-მდე მერყეობს. ქოთნების თიხა ძირითადად ბაცი მოყავისფრო ფერისაა კირქვის და პიროქსენის წვრილი მინარევებით; უკეთ არის განლექილი, ვიდრე აღრეანტიკური-ელინისტური ხანის მასიური, აღგილობრივი კერამიკის თიხა.

ამგვარი თიხიანი და ფორმის ქოთნები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის გვინანტიკურ-აღრეული შუა საუკუნეების სხვა ძეგლებზეც, მაგ., ვარდციხე, ციხესულორი, ბიჭვინტი. ბიჭვინტიში აღმოჩენილ ქოთნებზე ფიქრობენ, რომ ისინი ანალოგიურია ტანაისის და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კერამიკის ფორმებისა, რომლებსაც ახ. წ. II—III სს. ან ახ. წ. IV ს-საც მიაკუთვნებენ²⁰. მოუხედავად ამისა, ამგვარი ქოთნების ქრონოლოგიურ ჩარჩოზე ჭერჩერობით ძნელია დაბეჭიობით ღაბარაკი.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საოჯახო კერამიკის მცირე ნაწილს წარმოადგენენ ჯამებისა და ღოქების ნატეხები.

ჯამები ძირითადად კალთამომრგვალებული, პირით ოდნავ შიგნით გადაწენექილი და ბრტყელძირიანებია (მაგ. ინვ. № 07:6:77 — 101, 105, 112). მათი თიხა რუხი მოყავისფრო ფერისაა; ემჩნევა კირქვისა და პიროქსენის წვრილი მინარევები; თიხა შეღარებით უხეშია.

ღოქები ძირითადად ყელ-ყურის ნატეხებითაა წარმოდგენილი. აქ არის ღიდი პირგადაშლილი და ცალყურა ღოქების (მაგ. ინვ. № 07:6:77 — 106, 108) ნატეხები. ფრიად საინტერესო მოყვანილობის ღოქების პირ-ყელის ფრაგმენტია — ინვ. № 07:6:77:83. მისი პირის გა-

20 ახ. ლ. ასათაძე, ბიჭვინტის სამზარეულო კერამიკა, კრებ. დიდი პატიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 203; შდრ., T. M. Арсеньева, Лепная керамика Танаиса, МИА, № 127; M., 1965, с. 169—201.

რეთა მხარე კუწუბოებითაა წარმოდგენილი. ეს ნალვენთისნაირი კუწუბოები პირს ძალიან უცნაურ შეხედულებას ძლევს. პირის შიდა ღმ — 3,9 მ; კედლის სისქე — 4მ მ; ყური, რომელიც პირდა-პირ პირის გაღმისხრილობიდან იწყება, ჭრილში ბრტყელი მოყვანი-ლობისაა. თიხა აგურისფერია კირქვის და პიროქსენის ჭვრილი მი-ნარევებით.

№ 12 თხრილის ნაგებობაში აღმოჩნდა თიხის ცილინდრული მოყვანილობის ბრტყელიძირა უცნაური ნივთი (ინვ. № 07.6:77:31). იგი შეგნიდან ღრუა; შემორჩენილი სიმაღლე — 16 სმ, ძირის დმ — 14 სმ; კედლის სისქე — 7 მმ; ტანის დმ — 7 სმ; ტანი შემცული მსხვილი გოფრირებით, ხოლო ქვემოთ ძირისკენ ეჭვება ოთხი ქედი მანძილი მათ შორის ღარებითა შესრულებული. თიხა მორუხო-ყავისფერია, კირქვის და პირქვესნის წვრილი მინარევებით; იგი ცუდად არის გამომწვარი. თიხის მიხედვით აღვილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ რაღაც ნივთის ფეხია (შესაძლოა ლარნაჯის) (სურ. 33).

„მთისძირის“ სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ძირითადად ქვევრებით. მათგან ყველაზე უფრო საყურადღებოა თითქმის მთლიანად შემორჩენილი ქვევრი, რომელიც ჩადგმულია „ადეიშვილების“ გორის წვერის პლატოს ნაგებობის სამხრეთი კედლის შუა ნაწილთან, ფასადის მხრიდან (ინვ. № 07:6:77:53). მიწა ჩამოშლილია და ქვევრი ჭრილში კარგად მოჩანს (მისი სიმაღლე 150 სმ-მდეა; კედლის სისტემა — 15 სმ; პირის დმ — 40 სმ, ძირი ბრტყელია — ღმ— 10 სმ); პირის კიდე გადმოშლილია და ჭრილში გლუვებუთხებიან სამეურნეოს ჩამოჰკავს. პირის კიდე და სიერთოდ ქვევრის სხვა ნაწილებიც სადაა. მხოლოდ ტანზე შეიმჩნევა ძნელად გასარჩევი კონცენტრული რელიეფური ხაზები, რომლებსაც დაბალი ვერტიკალური ქედები ჰქონია. თიხა ყავისფერ-მოწითალოა; მინარევები — პირქვენი და კირქვა. ქვევრი მოკვებული იყო რიყის ქვებით და ღორღით.

ამგვარი ქვეკრების ნაშთები დიდი რაოდენობით არის დადასტურებული სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე. საინტერესოა ქვეკრების რამდენადმე განსხვავებული ორი, ფორმით ერთნაირი ძირი. პირველი (ინვ. № 07:6:77:52; ძირის ღმ — 13,3 სმ, კეცის სისქე — 18 მმ) ძირი ბრტყელია და ძირთან დაუყვება ღარი. თანა ყავისფერია პირველის წერილი მინარევებით. მეორე (ინვ. № 07:6:77:54; ძირის ღმ — 12 სმ, კეცის სისქე — 16 მმ) ძირი ბრტყელია და ძირთან დაუყვება შედარებით უფრო ღრმა ღარი. თანა ყავისფერია პირველის და კირქვის წერილი მინარევებით.

ასეთი ქვევრები ხშირია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღრეულ შეა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში, მაგალითად, ციხესულორი, ნოქალაქევი და სხვ.

სამოსახლოზე აღმოჩნდა ლუთერიების ნატეხები. მათგან ყველაზე საინტერესოა ტუჩ-კედლის ნატეხი (ინვ. № 07:6:77:92). ეს ფრაგმენტი აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორის (№ 12 ოჩრილი) ნავებობის დასაცლეთ სათავეში ტიხართან, პირველი სამშენებლო პერიოდის ფენაში. იგი მასიურია, კედლის სისქე — 9 მმ. თიხა მოყავისფროა, მინარევებიანი — მოჩანს კირქვის, პიროქსენის და კვარცის წვრილი მინარევები; პირის კიდე შიგნითაა გადახრილი და კალთები ოდნავ დახრილია; პირის კიდე ერთგანაა გაჭრილი და მასში გამოსასვლელი ღარია (ტუჩი); თიხის მიხედვით ადგილობრივი ნახელავია. ამგვარი სახეობის კერამიკა, რომელიც თავდაპირველად ძერძნული სამყაროდან გაფრცელდა კოლხეთში, ელინისტურ ხანში ფრიად მაღლ მოიკიდა ფეხი და მისი ადგილობრივი წარმოებაც ღაიწყეს. აღნიშნული ტიპის ადგილობრივი კერამიკა გვხვდება ვარდცისში²¹, ვანში²², გუდავაში²³, ოჩამჩირეში²⁴, ბიჭვინტიში²⁵, ინკოტის ტბასთან²⁶ და სხვა ელინისტური, გვიანანტიკური და ადრეული შუასუკუნების ხანის ძეგლებზე.

ძველი „მთისძირის“ ისტორიის ბოლო ეტაპის პირველი ნახევრის ფენებში ოღონჩნდა ადგილობრივი ამფორების ფრაგმენტები. ისინი ძირითადად პირ-ყურების, ძირების და კედლების ნატეხებით არიან წარმოდგენილი. მაგ.: ა) კონტუსისებურ ძირიანი, ოდნავ ძირმობრევალებული ამფორის ჭუსლკავლის ნატეხი (ინვ. № 07.6:77:23). მას ფსკერზე ემჩნევა რელიეფური ხვია; კედლის სისქე 5 მმ, თიხა მოყავისტრო ფერისაა. მასში შეიმჩნევა კირქვის და პიროქსენის წვრილი ნამცეცები. ბ) ამფორის პირ-ყულის ნატეხი (ინვ. № 07.6:77:

22 ဒေါ်၊ № 12 ဆန်ရာပါတေသန ဤလေပိုင်စုံဖြစ်ဖူး ပေါ်ပါ၏ အလွှာဝါယာများ
၂၀ ပုံစံများ ဖြစ်ပေါ်ခဲ့တော်ကို ချုပ်ဆုံးပို့ပါ။

23. 3. ზ. გ. ა. რ. ჰ. ი. ბ., ვ. ლ. ე. ვ. ვ. ი. ნ. ე. გ. გუდივაში 1971 წ. ჩატარებული რეკოლოგიური გათხრების ანგარიში, ქრებ. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 139—153.

²⁴ Качарова Д. Д., Город Гизиос в античную эпоху (Автореферат канд. диссерт.), Тб., 1972, с. 21—29.

²⁵ რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, კრებ. Աթ., IV, თბ., 1965, გვ. 115; მისცვე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, კრებ. Աթ., III, თბ., 1963, გვ. 81.

²⁶ መ. լորտվօնք, օնքութեալիքնեալիք, 33. 105.

8. გამყრელიძე

58); პირის დმ — 5,1 სმ; კედლის სისქე — 5 მმ; პირის ნატეხი პროფილირებულია — ქედები დაუკვება და ოდნავ გაღმოშლილი პირის კიდე აქვს; თიხა მოყავისტროა; თიხაში შეიმჩნევა პირქქენის და კირქვის ნამცეცები. გ) დიდი რაოდენობით დადასტურდა ბრტყელ და ოვალურგანივეგეთინი ყურები. მათი თიხა მოყავისტროა და ეტყობათ კირქვის და პირქქენის ნამცეცები.

ნაპოვნი ფრაგმენტებიდან საინტერესოა ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:77:46), რომელსაც ზედა ნაწილში ამოფხაჭნილი აქვს ორი ერთნაირი ნიშანი. ზუსტად ასეთივე ნიშნიანი ყურია აღმოჩენილი ბიჭვინტის ნაქალაქარის გათხრისას²⁷.

მართალია, სოფ. მთისძირში ამ დროის მთლიანი ამფორა არ არის აღმოჩენილი, მაგრამ პარალელური მასალის მიხედვით ცნობილია, რომ ამგვარი—მოყავისტროდ გამომწვარი, კონუსური ფორმის, ოდნავ მომრგვალებულირიანი, ბრტყელ და ოვალურგანივეგეთიანი ყურებისა და ოდნავ გადმოშლილი პირის მქონე ამფორები ხასიათდებან წელის შეზნექილობით. ამ ტიპის ამფორები კი ელინისტური ხანის ბოლოდან მოყოლებულია ას. წ. VII საუკუნემდე გვხვდება. საფიქრებელია, რომ ისინი წინამორბედი ხანის ამფორებთან გენეტიკურად არიან დაკავშირებული. ისინი დადასტურებულია ვარდციხეში²⁸, ბიჭვინტაში²⁹, გუდავაში³⁰, ნოქალაქევში³¹.

სამწუხაროდ, კოლხეთის გვიანანტიკურ-ადრებული ჭუა საუკუნეების დასაწყისის აღილობრივი კერამიკა ჯერჯერობათ არ არის სათანადო შესწავლილი და გამოვეყენებული, რაც ამნელებს ჭურჭლის ზოგი ტიპის ფორმის, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოების დადგენას. რაც შეეხება უცხოურ კერამიკას, მისი დიდი ნაწილის საწარმოო ცენტრები ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ეს კი ართულებს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გარკვევას.

²⁷ დიდი პიტიურტი I (რედ. ა. აფაქიძე), თბ., 1975, ტაბ. 40.

²⁸ ვ. ჭავარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, კრებ. ფერდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 94, სურ. 2.

²⁹ ქ. ბერებენშვილი, რ. ფუთურიძე, ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები (კატალოგი), დიდი პიტიურტი I, გვ. 252—278, ტაბ. 65.

³⁰ ვ. ჭავარიძა, ვ. ლექებიძე, გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის, III, თბ., 1974, გვ. 139—152 სურ. 3, 4.

³¹ ვ. ზაქარაია, ნ. ლომთური, ვ. ლექებიძე, ნოქალაქევიან-არქეოლოგი, უზრნ. „ძეგლის მეცნარი“, № 39, თბ., 1975, გვ. 47—51.

3. უცხოური ნაწარმი

„მთისძირის“ ცხოვრების ბოლო ეტაპის ამსახულია არქეოლოგიური მასალების ერთი მცირე ნაწილი, კერძოდ უცხოური ნაწარმი, წირმოდგენის გვიქმნის იმ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომელშიაც მთელ კოლხეთ-ლაზიკასთან ერთად ჩაბმული იყო „მთისძირიც“. ეს უცხოური ნაწარმი წარმოდგენილია კერამიკათ და მინით.

სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე დადასტურდა გოფრირებული ანუ დაღარულტანიანი ამფორის რამდენიმე ნატეხი — ძირითადად ამფორის ყელის ან მუცლის ნატეხები (მაგ. ინვ. № 07:6:77 — 113, 111). მათი თიხა ერთნაირია — მოწითალო ყავისფერი, ქარსის და პირქქენის წვრილი მინარევებით.

ცნობილია, რომ პორიზონტალურლაციებიანი ზედაპირები შემოდის ას. წ. III და განსაკუთრებით IV ს-ში, ხოლო ას. წ. V-VI სს-ში გოფრირება კიდევ უფრო ვრცელდება³². ამგვარი ამფორები დადასტურებულია ოჩამჩირეში³³, სოხუმში³⁴, ბიჭვინტაში³⁵ და სხვ. სოფ. მთისძირის გოფრირებულტანიანი ამფორების ნატეხებიდან საინტერესოა ერთი ყელ-პირის მოწითალო-ყავისფერთინიანი ნატეხი (ინვ. № 07:6:76:169). სამწუხაროდ, ნატეხი პატარაა, რაც აძნელებს მისი სადაურობის გარკვევას. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, რომ ბენებული ფრაგმენტი ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთიდან (ქერსონესი)³⁶ შემოტანილი გოფრირებული ამფორის ყელის ნატეხია. ამგვარი ამფორები კი ას. წ. II-III სს-ით თარიღდებიან³⁷.

სამოსახლოს ბოლო ეტაპს კულტურულ ფენებში დადასტურდა „წითელლაკიანი“ კერამიკის ფრაგმენტები. დღეისათვის ამგვარი კერამიკა ე. წ. „terra sigillata“ საკმაოდ მყარ დამათარილებელ მა-

³² В. Ф. Гайдукевич, Раскопки Тиритаки в 1935—1940 гг., МИА, № 25, М., с. 100.

³³ Д. Д. Качарашвили, Город Гиэнос в античную эпоху (Автореферат канд. диссерт.), Тб., 1972, с. 21—28.

³⁴ М. М. Трапез, Раскопки древнего Севастополиса в районе Сухумской крепости в 1959 г., ТАбхаз ИЯЛИ, XXXIII—XXXIV, Сухуми, 1963, с. 243.

³⁵ რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, კრებ. მსკ, III, თბ., 1963, გვ. 69—83.

³⁶ И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА, № 83, М., 1960, с. 113, таб. XXXI, 75.

³⁷ იქვე, გვ. 113.

სალად ითვლება. სოფ. მთისძირის ამ კერამიკაში ძირითადად გამოიყოფა ორი ფორმის გამ-თეფშების ფრაგმენტები. მაგალითად:

1. ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:77:65). გამს პირის კიდე შეგნით აქცის გადახრილი, საღა, კარგად განლექილი თიხისაგან არის გაკეთებული: დმ — 13,8 სმ; სისქე — 6 მმ; გამომწვარი თიხის ბაცი ყავისფერია, მოწითალო ელფერით. თიხაში შეიმჩნევა ქარსის უმცირესი მარცვლები. ლაყი ძალიან ცუდად აქცის შერჩენილი.

2. თეფშის პირ-კედლის და ქუსლის ნატეხი (ინვ. № 07:6:77:66). თეფშის პირი გარეთ არის გადაშლილი პირიზონტალურად. პირის დმ — 17,4 სმ; სისქე — 5 მმ; ძირის ქუსლის სიმაღლე — 4 მმ; საღა; კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული. თიხის ბაცი ყავისფერია. მასში შეიმჩნევა ქარსის უმცირესი ნამცეცები. ლაყი მოწითალო-ყავისფერია.

სეროთოდ, წითელლაკიანი კერამიკა ჩვენში უკვე ელინისტურ ხანაში³⁸ ჩნდება, ხოლო გვიანანტიკურ ხანაში კი გაცილებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. იგი გვევდება როვორც ზღვისპირა, ისე შიდა რაიონებშიც. კეროთოდ, წითელლაკიანი კერამიკა აღმოჩენილია გონიოში, ბათუმის ციხესა და ციხისძირში, ქობულეთ-ფრჭვნარში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ბიჭვინთაში, გაშარში, ნოქალაქევში, ქუთაისა და წებელდაში³⁹. საყურადღებოა, რომ ამ რიგის კერამიკა ბევრია ზღვისპირეთში, განსაკუთრებით სოხუმსა და ბიჭვინთაში. ხოლო ზღვიდან დაცილებულ შიდა რაიონებში კი გერჯერობით ცოტაა ნანახი. ამდენად კიდევ უფრო საინტერესოა სოფ. მთისძირის „წითელლაკიანი“ კერამიკის ფრაგმენტები. ამგვარი კერამიკა კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების ახ. წ. IV-V სს-ის ფენებში გვხვდება⁴⁰.

ურიად საინტერესო № 12 თხრილის ნაგებობის პირველი სამ-

³⁸ ნ. მათიაშვილი, მიპორტული კერამიკის ერთი გუფი ვანიდან, უზრნალი — საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე“, თბ., 1964, № 6, გვ. 299—306.

³⁹ იხ. რ. ფუთურიძე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძეგლი ცოხის ტერიტორიიდან, კრებ. მსე, IV, თბ., 1965, გვ. 95—105; გ. კ. შამბა, ახაചარხი — древний могильник нагорной Абхазии, Сухуми, 1970, გვ. 28—30; თ. ლ. რთქმი ფანაძე, ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა, უზრნალი — საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. ვანკ-ის „მომზე“, თბ., 1962, № 1, გვ. 231—255 და იქ დას. ლიტერატურა.

⁴⁰ თ. ლ. რთქმი ფანაძე, ბიჭვინთის წითელლაკიანი..., გვ. 240—245.

შენებლო პერიოდის ლენაში ნაპონი ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტი (ინვ. № 07:6:77:57). კრამიტიდან შემორჩენილია გადანაკეცი და ძირის ნატეხი. გადანაკეცი ჭრილში სამკუთხედისმაგრია. ყველაზე საინტერესოა ის, რომ კრამიტის თიხა სინოჟურია. ის გამოირჩევა პიროვნების მსხვილი ნამცეცებით და მოისფრო-ნაცრისფერი ფერით. რაღაც გადანაკეცის ფრაგმის (სამკუთხე) მიხედვით ის ელინისტური ხანის სინოჟურ კრამიტს არა ჰგავს და და თანაც აღრეული შუა საუკუნეების ფენასთან არის ნაპონი, საფიქრებელია, რომ გვიანანტიკური ხანის სინოჟურ იმპორტთან უნდა გვქონდეს საქმე (მოჭიქული კერამიკის ნაშთები სოფ. მთისძირის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლისას არ დადასტურებულა).

სამოსახლოს უცხოური ნაწარმის კიდევ ერთ გვეფნს შენის მინა (სურ. 34). ის ძირითადად მინისფერიანი სასმისებით არის წარმოდგენილი. მაგალითად: მინისფერიან სასმისის ფეხი (ინვ. № 07:6:77:88). მისი ძირის დმ — 3,5 სმ, ქუსლის გარშემო ჩატანებული აქცის მილი, რომელიც ოდნავ რელიეფურად არის გამოხატული ფეხის ძირითად ნაწილთან. ფეხის სიმაღლე — 1,6 სმ. მინა ნაკლებად ირჩებულია: შეიმჩნევა წვრილი ბუშტები. იგი მომწვანო-ჭაობისფერია, გამჭვირვალე.

მინისფერიანი სასმისების გარდა ნამოსახლარზე აღმოჩენილია მინისავე რაღაც სხვა ჭურჭლების ნატეხები. სიმცირის გამო მათი ფორმების განსაზღვრა ჭირს.

სოფ. მთისძირის მსგავსი ფეხიანი სასმისები ცნობილია ჯერ კიდევ მცხეთის ახ. წ. VI-VIII სს-ის სამარხებიდან⁴¹. ამნირი ტიპის სასმისებს დიდი ქრონოლოგიური ჩარჩო აქვს. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისინი აღმოჩენილია ციხისძირში, გონიოში, ბობოყვათში, ბიჭვინთაში, გარდციხეში, ვაშნარში და სხვ⁴².

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი ფეხიანი სასმისები ახ. წ. IV-V სს-ში ჩნდება⁴³. სეროთოდ, ფეხიანი სასმისების დამზადე-

⁴¹ ნ. მათიაშვილი, აღრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების სიტონიისათვის, თბ., 1967, გვ. 68—69.

⁴² იხ. ლ. ჩხაიძე, მინის ნაწარმი ვაშნარის ნაქალაქერიდან, კრებ. სამსახურთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ., 1975, გვ. 107—114; ო. ღამბაშვიძე, ბიჭვინთის ციხე-ჭალაქის კოშკის გათხრის შედეგები, კრებ. — დიდი პიტიუნტი II, თბ., 1977, გვ. 120-144; გ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭლები შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978, გვ. 21—22 და იქ დას. ლიტ.

⁴³ Г. Д. Белов, Стеклоделие в Херсонесе, СА, № 3, 1965, с. 238; Н. П. Сорокина, Стекло из раскопок Пантикея, МИА, № 103, М., 1962, с. 226.

შის ცენტრი შესაძლებელია ხმელთაშუაზღვისპირეთის რომელიმე ქვეყანა იყოს, კერძოდ, სირია-პალესტინა, ეგვიპტე.

4. „მუნიციპალიტეტის“ საკითხისათვის

საგულისხმოა, რომ სოფ. მთისძირის ამ დროს სამოსახლოსთან, რომელიც გამაგრებული პუნქტის ნაშთებს წარმოადგენს, დადასტურდა ტოპონიმი მუხური (სოფ. დაბლაგომისკენ) (ტოპონიმი ჩავიწერეთ ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის დროს 1976 წ.⁴⁴, იგივე ტოპონიმი ჯერ კიდევ 1930 წ. დაადასტურა ნ. ბერძნიშვილმა, როგორც ამას ს. ყაუხეჩიშვილი გადმოვცემს⁴⁵; მუხური მეგრულად ნიშნავს მხარეს). საფიქრებელია, რომ ეს იყოს ბიზანტიური ა. წ. VI ს-ის წყაროებში აღწერილი გამაგრებული ქალაქი მუხირისი თუ მოხირისი (Μουχεῖριας, Μοχήρησις)⁴⁶, ან მუხირისის მხარის ერთ-ერთი გამაგრებული პუნქტის ნაშთები, რომელიც ამავე სახელწოდების მხარეში მდებარეობდა — პროკოპი ქესარიელი (BP II 29; BG VIII 1, 14, 16, 17), აგათია (II 19,22; III 6, 7, 19, 28; IV 9, 13).

პროექტი კესარიელი ერთგან „მოხირის“ ქალაქად იხსენიებს — ლაზიკაში „... ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ ოთვობოლისი და მოხირისი“ (BP II 29), ხოლო მეორეგან აღნიშნავს — არქეოპოლისიდან გამობრუნებულმა სპარსელებმა „ქუთაისისა და მოხირისისაკენ დაიხიეს“ ... ოპი თე **Κούτაის καὶ Μοχήρησιν ἀπεχώρησαν** (BG VIII, 17). ამ შემთხვევაშიც მუხირისი უფრო რაღაც პუნქტად ჩანს. თუ ამას დავუშვებთ, მაშინ ქოთაისი და მოხირისი ერთმანეთი-საგან დაცილებულ პუნქტებად უნდა წარმოვიდგინოთ. ეს ორივე პუნქტი არქეოპოლისიდან აღმოსავლეთისაკენ არის, მაგრამ ერთ-მანეთის ახლო არ მდებარეობენ (მაგ. წავედი მცხეთასა და თბილი-სისკენ კი არა, არამედ წავედი თბილისისკენ, რადგან მცხეთა გორი-დან მომავალი კაცისთვის თბილისისკენ არის). მეორე მხრივ, ამ-

⁴⁴ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ხელმძღვანელი ისტ. მეტ. კანდ. თ. შერემეთა.

⁴⁵ იბ. გვორგია II, ტფილისი, 1934; გვ. 178; გვორგია, II, თბ., 1965, გვ. 208—210; შპრ. ო. ლ ა ნ ჩ ი კ ა, დასაცუეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიული (მუხრანის), „მაცნე“ (ისტორიის... სკრინი), 1974, № 4, გვ. 136.

⁴⁶ დასკლოებით ამგვარი მოსაზრება პირუველად აყალ. ნ. ბერძენიშვილის მონაცემებშიც დატრდნობით გმოთქვა აყალ. ს. ყაუხჩიშვილმა, გეორგია II, 1965, გვ. 208—210.

თაისთან ერთად პროკოპი ახსენებს მოხირისს და არ ახსენებს „შესანიშნავ ქალაქს როდოზოლისს“, რომელიც ახლოა ქოთაისთან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქოთაისს პროკოპი კესარიელა „შესანიშნავ ქალაქებში“ არ იხსენიებს..აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ქოთაისი ამ მხარის (მოხირისი) ერთ ნაწილშია, ხოლო მოხირისი (პუნქტი) — მეორე ნაწილში მდებარეობს. პროკოპი კესარიელი ამ ირ პუნქტს (ქოთაისი, მოხირისი) შესაძლოა, რომ მოხირისის მხარის შემომფარგვლელობით ასკექტში ხმარობდა. ასე ვთქვათ, ასახულებს ამ მხარის ორ რამდინადმე განაპირობაზე გამაგრებულ პუნქტს.

აგათიაც მუხირისს (მოხირისს) ზოგჯერ გეოგრაფიული პუნქტის მნიშვნელობით იხსენიებს — „სპარსელები იმყოფებიან მუხირისსა და კოტაისში“ (აგათია III 6); „მერმერო კვლავ მოვიდა მუხირისსა და კოტაისის ციხეში“ (აგათია II 19); „მერმერო კვლავ დაბრუნდა კოტაისსა და მუხირისში“ (აგათია II 22). აქედანაც ისე გამოდის, რომ თითქოს მარტო კოტაისის (ქოთაისი, ქუთაისი) სანახებში ყოფნა მთელ მოხირისს მხარეში ყოფნას არ ნიშნავს; ამისათვის საჭიროა მუხირისის გამაგრებული პუნქტის დაკავებაც.

ს. ყოუხეჩიშვილს მოხირის-მუხირისად მიაჩნია „Notitia dignitatum-ში (V ს.), დასახელებული სიმაგრე მოხორა (Mochora), სადაც ზიზანტიილთა ერთი კოპორტა იდგა⁴⁷. იუსტინიანეს ნოველებში დაცული ცნობა, სადაც ჩამოთვლილია ეგრისის ციხესიმაგრეები „...სკანდისი, სრაპანისი, მუ(ხი)რისი (Μουρίσιος) და ლისირი...“ (novella XXXI)⁴⁸, აგრეთვე VII ს-ის ცნობებში დაცული „მუკორისი“ — აღვილი, სადაც გზაზე გაიარეს ლაზიკაში გადასახლებულმა მაქსიმე აღმსარებლის თანამოაზრეებმა ანასტასი ბერმა და ანასტასი აპოკრისიარისმა, როდესაც ერთი თაკერისკენ, ხოლო მეორე სვანეთისკენ მიჰყავდათ (თეოდოსი განგრელი XCVII)⁴⁹.

⁴⁷ ვეორგიეთ 1 (თარგმნა და კომენტარები დაურთ — ს. ყაუჩხიშვილმა, ა. გამყრელაძემ, თბ., 1961, გვ. 168—178; იმ პუნქტს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ექვემ ნ. აღონცი — Н. Г. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Санкт-Петербург, 1908, с. 100; ბლო ხანებში მას დაეთანხმა ნ. ი. ლომოურიც — Notitia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის, კრებ. არქეოლოგია, კრასიური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბ., 1975, გვ. 68—69; ვ. ლევინიძე მოხორას სოჭის მახლობლად ექვემ. იხ. В. Леквиадзе, Монументальные памятники Западной Грузии (Автореферат канд. диссерт.), М., 1973, с. 10—18.

⁴⁸ გეორგია II, თბ., 1965, გვ. 35—36.

⁴⁹ ጉጋዕስ የመጀመሪያ ስርዓት አንቀጽ 1, ተሰጥቶ 1941, ፊርማ 43.

6. ლომოურს II ს-ის ბერქენი გეოგრაფიის კლავდიოს პტო-
ლემაიონის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ მოხსენიებული პუნ-
ქტის — „მეხლესოს“-ის (*Μεχλεσος*) გაიგივება ქ. მუხირისთან
შესაძლებლად მიჩნია⁵⁰.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სახელი მუხურისი (ვარიანტები —
მოხირისი, მუხირისი, მოხორა, მუ(ხი)რისი, მუკორისი, მეხლესოსი)
საკმაოდ ხშირად გვხვდება ბერძნულ-რომაულ წყაროებში. ისინი აქ
არა მარტო მხარისი, არამედ ამ სახელის რაღაც გმაგრებული პუნქ-
ტის არსებობასაც გვიდას ტურებენ. მართლაც, სრულიად შესაძლე-
ბელია, რომ ამ სხვადასხვა ვარიანტებით ერთი და იგივე პუნქტი
აღნიშნებოდა.

ზოგმა მკვლევარმა გეოგრაფიული პუნქტი მუხურისი გააიგივა
გეგუთთან, რომელიც ჭუთაისა და ვარდციხეს (როდოპოლისი) შეა-
მდებარეობს⁵¹. (მაგრამ ჯერჯერობით, ვიდრე გეგუთის ციხე-დარბაზის
ნაგრევების ტერიტორიაზე XII ს-ზე აღრეული ნაშთები არ აღმო-
ჩენილა, ასეთი ვარაუდი რეალობას მოკლებულია)⁵². მკვლევრების
ნაწილი მას აგრეთვე დახსროებით ჭუთაისა და ვარდციხეს შორის
გულისხმობს (არა გეგუთი)⁵³.

ამათგან ყველაზე სარწმუნოდ გამოიყურება ს. ყაუხეჩიშვილის
მოსაზრება, რომელიც წერს: „ქუთაისი და მოხირისი ერთ სტრატე-
გიულ ხაზზე მდებარეობენ; უკეთ რომ ეთქვათ, რიონზე (ქუთაისში)
დაბანაკებული ჯარისათვის მოხირისი მატერიალურ, სასურსათო ბა-
ზას წარმოადგენს“. იქვე: „1930 წ. 6. ბერძნიშვილის მიერ აღგი-
ლობრივ ჩატარებულმა წინასწარმა კვლევამ ამ მხრივ საგულისხმო
შედეგი მოიტანა, სახელდობრ, სწორედ ზემოაღწერილ მხარის მიღა-
მოებში, ხოლო რიონის მარცხენა ნაპირის, კულაშ-ეწერის პირდაპირ
მდებარე აღგიღებს, რომლებიც ზედ მთის ფერდობებს ეგჯინება“

⁵⁰ 6. ლომოურს II, ეგრისის სამეცნის ისტორია, თბ., 1968, გვ. 50—51.

⁵¹ იხ. კ. კაკელიძე, ეტიუდები კველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რიიდან, VII, თბ., 1961, გვ. 29; ჰელ. ჩ. კავე ტაძე, გვართის ციხე-დარბაზი.
თბ. 1958, გვ. 25 და იქ მოხსენიებული ლიტერატურა.

⁵² იხ. В. Джапаридзе, Д. Джгамая, Т. Берадзе, К. Мелитаури, Отчет о работе Вардзихской археологической экспедиции, сб. ПАИ, Тб., 1976, с. 81.

⁵³ ვ. კავე ტაძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათ-
ვის, კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური სეგლები, II, თბ., 1974,
გვ. 102; მ. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან
(მუხირისი), საქ. სსრ მეცნ. აკად. ურჩხ. „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთ-
ნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1974, № 4, გვ. 136.

სოფ. დაბლაგომთან, დღესაც მუხურს ეძახიან და მისი აღმოსავლე-
თით 5-4 კმ მანძილზე მუხურის ციხეც მდებარეობს⁵⁴.

სოფ. მთისძირსა და დაბლაგომს შორის, როგორც ზემოთაც აღვ-
ნიშნე, ტოპონიმი მუხური მართლაც დავადასტურეთ, ხოლო, სამ-
წუხარიდ, ნაციხარის ზუსტი მდებარეობა კი, თუ რომელ პუნქტს
გულისხმობს ავტორი, გაურკვეველია (იგი არც სოფ. მთისძირსა და
არც „ადეიშვილების“ გორას არ ასენებს). მიუხედავად ამისა, შე-
საძლებელია, რომ ს. ყაუხეჩიშვილი სოფ. მთისძირის აღრეული
შუა საუკუნეების ნაგებობების ნაშთებს გულისხმობს (თვითონ ნ.
ბერძნიშვილს თვის არც ერთ გამოქვეყნებულ შრომაში „მუხუ-
რისის“ ამ ლოკალიზების შესახებ არაფერი არ უწერია).

მუხირის მხარე, სადაც მუხირის პუნქტი იყო განლაგებული, ყვე-
ლა წერილობითი წყაროს მიხედვით ცენტრალურ კოლხეთში მდე-
ბარეობდა. პროკოპი კესარიელის აღწერილობით: „მოხირისი ერთი
დღის სავალ გზაზე არქეოპოლის დაშორებული და შეიცავს მრა-
ვალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზეც
ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოღის და სხვა
ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა აღგიღებზე
არ შეიძლება იგივე ითვეს. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე — სა-
ხელად რეონი“ (მდ. რიონი — გ. გ.) (BG VIII 14). მუხირის მხა-
რეს დასავლეთით მდ. ცხენისწყალი უნდა საზღვრავდეს, როდესაც
550 წ. სპარსელების ჯარი კოლხეთში შეიჭრა და „...ლაზიკის იმ
აღვილში მივიდა, რომელსაც მოხირისი ეწოდება, დასაპანაკებლად
დადგა მოხერხებულ აღგილას. იქ ჩამოღის მდინარე იპპისი (მდ. ცხე-
ნისწყალი — გ. გ.), არც დიდი და არც ნავთსავალი, რომლის გა-
დასვლა შეუძლიათ ცხენისანთ და ფეხდაფეხ მავალთაც; ამის მარ-
ჯვენა ნაპირას გაიკეთეს თერილ-სიმაგრე...“ (BG VIII 1).

სანქტერესოა მ. ლანჩავას მოსაზრება მუხირის მხარის აღმო-
სავლეთი საზღვრის შესახებ, რომელიც წერილობითი წყაროების
ახალ ინტერპრეტაციის ემყარება. მისი აზრით, მუხირის მხარე მდ.
რიონის აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა და სკანდა-შორაპნის ხა-
ზამდე მიღიოდა⁵⁵.

⁵⁴ გეორგია, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ტექ-
სტები თარგმნა, კომენტარები დაურთო ს. ყაუხეჩიშვილმა), II, თბ., 1965, გვ. 208—
210.

⁵⁵ მ. ლანჩავა, დასავლეთ საქ., დას. ნაშრ., გვ. 130—131.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ ა. წ. VI ს-ში მუხირისად იწოდება კოლხეთის ის მხარე, რომელიც მდ. ცხენისწყლიდან თითქმის სკანდა-შორაპნის ხაზამდე იყო გადაჭიმული. მისი სამხრეთის საზღვარი გადადიოდა მდ. რიონის მარცხნა მხარეზეც და მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავდა ახლანდელ მაიკოვსკის, ვანის და სამტრედიის რიონების დაბლობ ნაწილებს⁵⁶. ამაზე მიგვანიშნებს აღრეული შუა საუკუნეების ნამოსახლორები პატრიკეთში, ვარციხეში, შუამთაში, მთისძირში, ციხესულორში და სხვ. ამაზევე მიუთითებს სოფ, მთისძირთან, დაბლაგომისკენ ტოპონიმ მუხურის დადასტურება. ეფიქრობ, რომ მდ. რიონის შუა წელი ემოხევევა მუხირისის მხარის ცენტრალურ ნაწილს.

როგორც სოფ. მთისძირის ამ ეტაპის არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, დაახლოებით აღრეული შუა საუკუნეების დასწყისში სამოსახლოზე შეიმჩნევა ჯერ ჰანძრის და ნგრევის, ხოლო შემდეგ აღდგენა-რეკონსტრუქციის კვალი (მეორე სამშენებლო პერიოდი). ამ დროს აქ, აღბათ, ლაზიკის გარნიზონი იდგა. ეს პერიოდი ემთხვევა სწორედ ლაზიკის გაძლიერების ხანას⁵⁷.

⁵⁶ საკითხის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 254, 274, 425; ს. ყაუხჩიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 208—210; გ. ა. მელიკიშვილი, კი ისტორია დროის სამეფოს წარმოშობა, შრ., II, თბ., 1952, გვ. 320—321; ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 442—537; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 113—115; ნ. ლომური, ეგრისის სამეფოს ქართველი, თბ., 1968, გვ. 50—51, 76, 77; მისივე Notiti dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარეკვეთისათვის, თსუს, კრებ. არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიისტიკა, თბ., 1975, გვ. 65—78; ვ. ჯავახიშვილი, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 102; თ. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (მუხირისი), მაცნე” (ისტორიი..., სერია), 1974, № 4, გვ. 129—136.

⁵⁷ იხ. გ. ა. მელიკიშვილი, კი ისტორია დროის სამეფოს ისტორია, გვ. 66.

* * *

ამრიგად, ცენტრალურ კოლხეთში მდ. რიონის შუა წელშე, სოფ. მთისძირში აღმოჩენილი უახლესი არქეოლოგიური მასალის საფუძველშე და მრავალრიცხვანი ანალოგიური მასალის მოშველიება-გათვალისწინებით შეიძლება ზოგიერთი საერთო დასკვნის გამოტანა:

სოფ. მთისძირში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები მჭიდროდ არის დაკავშირებული მდ. რიონის შუა წელის (დაფნარი, დაბლაგომი, შუამთა, ციხესულორი, საყანჩია, ვანი, ვარციხე-ვარდიგორია, ქუთაისის მიდამოები, ფარცხანაყანევი და სხვ.) და საერთოდ მთელი კოლხეთის სინქრონულ არქეოლოგიურ ძეგლებთან. ის ამ არქეოლოგიური კულტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

მდ. რიონის შუა წელი საკვლევ პერიოდში საქმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ეს რეგიონი, სამეურნეო თვალსაზრისით, კოლხეთის დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. თუმცა მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტატუსი სხვადასხვანირი იყო.

